

ჩვენი მწერლობა

გამოდის თვეში ორჯერ პარასკეობით

ფასი 1,50 ლარი

4 მარტი 2011 №5(135)







1516
2011

ქართულ საგანეთა ბედი იერუსალიმში
დიურენმატის დეტექტიური პროზა
პოლიტიკური რომანტიზმის გმირი
დიმიტრი უჩანეიშვილის პიესა
ეკა ბუჯიაშვილის ჩანახატი
ჰესეს რიოში მარგალიტები
მამუკა ნიკლაურის პოემა
სამყარო ჩვენი სიზმარია?
მარადონა — მწერალი



წიგნის თარო



პირი და გავლენა	2	ნინო საბაშვილი ქართულ საზაფხულო ბაღში იარუსალიძეში
დღიური ჟურნალი	5	ეკა ბუჯიაშვილი ლოდი ატანის ხეობიდან (ერეკლე ტატიშვილის სულის მოსახსენიებლად)
პანორამა-ინტერვიუ	6	როინ ჭიკაძე „ქვეყანად არ არსებობს სიკეთეზე დიდი სიკეთე“ (მოამზადა ნატა ვარადაძე)
იღიას გუმთ	7	თამარ კოტირიკაძე მთარბმწმლის მრანაში
დრამატურგია	8	დმიტრი უჩანეიშვილი ვალდის ცხოვრება
პოეზია	18	მამუკა ნიკლაური ღელუგის ვეფხვის აბაჯი
დებანტიონის გამოცემა	22	ნიკა თევზაძე ფრიდრიხ დიურენშტაინის დებანტიონი პრუსია
წათვალი და წლავი	30	ვახტანგ ჯავახიძე თიქლიდან — „ისევ გალაკტიონი“
რეპორაჟი	36	თამარ ყალიჩავა პოლიტიკური რომანტიზმის გმირი (ლექცია ქაქუცა ჩოლოყაშვილზე)
	38	ელენე ამალაშვილი შავი ჩოხის მისტიკა (როსტომ ჩხეიძის ახალი ბიოგრაფიული რომანის წარდგინება)
დებანტიონის პორტრეტი	41	როსტომ ჩხეიძე ახლა კი — ფარდის ბახსნა (ნოდარ გურაბანიძის „მოხილ თუმანიშვილის თეატრი“)
კრიტიკა	44	მაია ჯალიაშვილი იქნება საგზარო მსოფლო ჩვენი სიზმარი (კატო ჯავახიშვილის პოეტური კრებული „მარცხნივ“)
პრა პორტა ხოლო	48	ნინო დეკანოიძე დედოფალბაის მისია (ასმათ სალირიძის უჩვეულო კოლექცია)
გამომავალი	50	ნონა კუპრეიშვილი ნიბნი, როგორც ბანდოვა (ოლესია თაყაიძის „სევედიანი ჩანანერები“)
ახალი თარგმანები	51	პერმან ჰეგ მონოლოგი (ნანყეტი რომანიდან „რომი მარგალიტები თამაში“)
ახალი წიგნები	54	ტარიელ რეხვიაშვილი მნიშვნელოვანი მოვლენა (ქართული ფილოსოფიური აზრის ისტორიის ონტოლოგიის გამოცემა)
დებანტიონის ცხოვრება	56	თეკლე ჯანელიძე მნიშვნელოვანი მოვლენა (რენე კალანდიას „100 ლექსის“ წარდგინება)
სხვა რეპორაჟი	57	ზურაბ ბახტაძე მარადღოვა — მწერალი
ისტორიის თეორია დაწესი	58	გურამ ყორანაშვილი სიმბრტლის მამიაშვილი მკითხველისათვის (ინგლისელი ისტორიკოსი იოსებ ჯუგაშვილ-სტალინის შესახებ)
პოეზია	63	კუპრეიშვილი, კუპრეიშვილი...

ორკვირული ჟურნალი
დამფუძნებელი „ილიონი“
მისამართი: თბილისი,
ჩუბინაშვილის №41
რედაქცია - (995 32) 96_20_62
რეკლამა - (995 93) 65_93_68
გაყვანილობა - (995 77) 11_24_30
ფაქსი: (995 32) 96_20_62
E_mail: info@mtserloba.ge



გეორგიული საბეჭდო ქარხანა შინაარსი
საბეჭდო ქარხანა, საბეჭდო ქარხანა 17
საბეჭდო ქარხანა - 995 32 53 61 62

PRINTED BY "OMEGA TFP" PRINT HOUSE
TBILISI, GEORGIA, 17 SARAJEVSKI STREET
TELEPHONE - 995 32 53 61 62

მთავარი რედაქტორი - როსტომ ჩხეიძე
პროზის რედაქტორი - ივანე ამირხანაშვილი
პოეზიის რედაქტორი - მაკა ჯოსხაძე
კრიტიკისა და თარგმანის რედაქტორი - თამარ ნატროშვილი
მხატვრული რედაქტორი - კარლო ფაჩულია დიზაინერი - მალხაზ იაშვილი
სტილისტ-კორექტორი - ნინო დეკანოიძე დაკაბადონება - თენგიზ რობიჭაშვილი
ოპერატორი - თამარ ჩიხლაძე საარქივო მენეჯერი - ეკა ბუჯიაშვილი
გაყვანილობის სამსახური - ლევან კიკნაძე
გარეკანზე: თამარ ყალიჩავა
ჯეზუალ კასრადის ფოტოგრაფია

„ჩვენი მწერლობის“ მომდევნო ნომერი გამოვა 18 მარტს



ნიწო საბაშეილი

ქართულ საზნაოთა გაღი იერუსალიშვი

ყოველ წელს აღდგომის ბრწყინვალე დღე-სასწაულზე ათეულობით ათასი ადამიანი წმინდა მინაზე, იერუსალიშვი მოსალოცად მიემგზავრება. მათ შორის მრავალად ქართველებიც არიან. აღბათ, ბევრმა ჩვენგანად არ იცის, რომ საუკუნეთა განმავლობაში ქართველებს წმინდა მინაზე ერთ-ერთი გამორჩეული ადგილი ეკავათ და საკუთარი ძლიერი თემი ჰქონდათ. ამ საკითხებზე ვესაუბრეთ ზელანდურთა ეროვნული ცენტრის მცენიერთან მამრემოლს **მალდმირი კაქალიანს**.

— პალესტინის ქრისტიანული თემების ისტორია მსოფლიო კულტურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფურცელია. ყოველი ქრისტიანი ერი მიიღობდა პალესტინისაკენ, რომ მიუხედავად ის ადგილები, რომლებზეც იესო ქრისტეს სახელთან იყო დაკავშირებული. ბერი მაცხოვრის სალოცავთა მხოლოდ მოლოცობა არ კმაყოფილებოდა და ხშირად იქვე მკვიდრებოდა.

ამ მხრივ გამონაკლის არც ქართველები წარმოადგენდნენ. საქართველოსა და წმინდა მინას შორის ურთიერთობას მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს. საქართველოს იერუსალიშვიან ჯერ კიდევ ქრისტეს მობამდე ჰქონდა კავშირი ქართლში კომპაქტურად დასახლებულ ებრაელთა მეშვეობით. როგორც მოქცევა ქართლისაა—ს ერთ-ერთი საკითხები — „რომელი აღწერა დედაკაცმან ჰურიანამ, სახელით სიდონია, ასულმან აბიათარ მღვდლისამან“ გადმოგვცემს: როდესაც იერუსალიშვი ჰურად შევლბოდა, მცხეთაში ხმა გავრცელდა, იერუსალიშვი სპარსელებმა დაიპყრეს, რასაც ქართლში მცხოვრებ ებრაელებს შორის დიდი გლოვა და წუხილი მოჰყოლია. შემდეგ გარკვეულა, რომ სპარსელები იერუსალიშვი დასაპყრობად კი არ მისულან, არამედ მოვიდნენ ახალბოხილ ღვთის ძეს სამეფო ძღვენით მიახლებიან. როგორც ჩანს, საქართველოში მცხოვრები ებრაელები პალესტინაში მიმდინარე ყველა პროცესის საქმის კურსში იყვნენ. მაცხოვრის ხელთუქმნილი კვართი საქართველოში ხომ სწორედ მცხეთელმა ებრაელმა, ელიზბა, ჩამოიტანა, რომელმაც ის რომაული მეომრისაგან შეიპოვა.

საქართველო-პალესტინის ურთიერთობა კიდევ უფროს მჭიდროს IV საუკუნიდან გახდა, მას შემდეგ, რაც იბერისა და ლაზიკაში სახელმწიფო რელიგიად ქრისტიანობა აღიარეს. ქართულმა ეკლესიამ ტოპონიმებზეც იერუსალიშვი შემოგარწმუნა და მხოლოდ. მცხეთაში აგებულ პირველი ეკლესია „წმიდა წმიდათად“ იწოდებოდა. იქვე იყო ბეთლემის ეკლესია, თაბორის, ვეთსიმინისა და გოლგოთის მთები. მცხეთის ჯვრის ტაძარი ამ უკანასკნელზეა აგებული.



პალესტინის ქართული წარწერა

მის ჩრდილოეთით მცირე საყდარი იყო, რომელსაც გოლგოთა ეწოდებოდა.

— რომელი საუკუნიდან იწყება ქართველთა ბილიგრომობა იერუსალიშვიში?

— წმინდა მინაზე ქართველების აქტიური ბილიგრომობა IV საუკუნიდან იწყება. ამ მიმართულებით ქართველების ექსპანსია საკმაოდ ძლიერი იყო. ისინი თავდაპირველად ცნობილ სავანეებში მკვიდრდებოდნენ, შემდეგ კი საუკუნთაბო მონასტრებშიც დააარსეს.

— თუ ვის ეკნობია ადრეული ხანის რომელიმე მონასტერი?

— რასაკვირველია. მაგალითად, გამორჩენილმა ქართველმა საეკლესიო მოღვაწემ, პეტრე იბერმა პალესტინაში, მათემის ეპისკოპოსად კურთხევამდე, რამდენიმე მონასტრი დააარსა. მან იერუსალიშვიში დავითის კომპის მახლობლად იბერთა მონასტერი ააგო. 1952 წელს ვირჯილიო კორპოს მეთაურობით იტალიელმა არქეოლოგებმა ბეთლემთან, სოფელ ბირელ-კატის მახლობლად პეტრე იბერის მიერ დაარსებული ერთ-ერთი ქართული ეკლესია და მონასტერი აღმოაჩინეს.

მონასტრის იატაკზე შემორჩენილი მონაიკური წარწერების მიხედვით, ის წმიდა თეოდორე ტირონის სახელზე ყოფილა აგებული.

— პეტრე იბერის გარდა, თუ არის ცნობილი სხვა ქართველი საეკლესიო პირი, რომელიც ამ მონასტრში მოღვაწეობდა?

— უფრო გვიან, VI საუკუნის მეორე მეოთხედში, იქვე იღვწოდა ქართველი მოღვაწე ანტონი აბაა, რომელსაც შეიძლება მონასტრის განახლებაშიც მოუძღვრებენ წელილი.

V-VI საუკუნეთა პალესტინაში ქართველი ბერები და ბილიგრომები იმდენად მრავლად იყვნენ, საფიქრებელია, რომ მათ იერუსალიშვი თავიანთი სასაფლაო ჰქონოდათ. ყოველ შემთხვევაში, იმხანად ქართველთა თემს იერუსალიშვი საკუთარი ეპისკოპოსი რომ ჰყავდა, ამაზე წმინდა მინაზე აღმოჩენილი ქართველ ეპისკოპოსთა საფლავის ქვები მეტყველებს.

1932 წელს ძველი იერუსალიშვი გალავნის გარეთ, იავოს კარიბჭესთან, აღმოაჩინეს ქართველი ეპისკოპოსის საფლავი. წარწერა დაცულია იერუსალიშვიში, როგველერის მუზეუმში და, პასპორტის მიხედვით, V-VI საუკუნეებით თარიღდება. წარწერა ქართველად ასე ითარგმნება: ადგილის კომპი მდებარე ქართველთა მონასტრის ქართველი ეპისკოპოსის სამარხი.

2002 წელს, არქეოლოგიური გათხრების დროს ჯონ ზელიგმანმა იერუსალიშვიის სამხრეთ-აღმოსავლეთით, სოფელ უმლეონში, საფლავის მეორე წარწერიან ქვას მიაკვლია. წარწერა ასე იკითხება:

„ესე სამარხთა იოჰანე ფურტაველ ეპისკოპოსისა ქართველისა“.



პალეოგრაფიული ანალიზის მიხედვით, წარწერა V საუკუნის დასასრულითა და VI საუკუნის დასაწყისით თარიღდება.

VI საუკუნის პირველ ნახევარში, როგორც წინაა საბა განმწმენდლის ანდერძიდან ირკვევა, ქართველები ისე მომრავლებულან საბანშიდანი, რომ თავიანთი ეკლესია შექმნათ და ზოგიერთი საეკლესიო წიგნს სასუთარ ენაზე კითხულობდნენ. იმ დროისათვის საბას ლაგერში სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლები მოღვაწეობდნენ, მაგრამ VI საუკუნის მეორე ნახევარში საბანშიდის მონასტრის მამასახლისად მარტივი ქართველი გვევლინება.

— ქართველები მოლოცვის გარდა კიდევ რას საქმიანობდნენ?

— პალესტინაში ჩასული ქართველები აქტიურ მისაღმწელოებით და სამნივობრო საქმიანობას ეწეოდნენ. ქართულად ითარგმნა წმინდა მიწაზე გაერცელებული საღვთისმსახურო წიგნები: მრავალთავები, ლექციონარები, ჟამისწირვები, იადგარები და სხვა. ზოგადად, იერუსალიმის ქართულ კოლონიაში თავს იყრიდნენ მონიშნულ ქართული საზოგადოების საუკეთესო წარმომადგენლები. როგორც ცნობილია, შოთა რუსთაველამაც სიცოცხლის უკანასკნელი წლები იერუსალიმში, ჯერის მონასტერში გაატარა.

— პალესტინაში ქართველების სიმრავლის მიუხედავად, დღეს მათი მოღვაწეობის ადრეული კვალის მიგნება საკმაოდ რთულია. რით არის ეს გამოწვეული?

— პალესტინაში ქართული სიძველეები ცოტა რომ შემორჩა, ომიქართული საფუძველი აქვს. ამათა სივემ, VI საუკუნეში საქარსელთა შემოსევამ და არაბების ბატონობამ ბევრი რამ, მათ შორის ქართული სიძველეები შეინარა. VI საუკუნის შემდეგ ცნობები ქართველების წმინდა მიწაზე მიმოსვლისა და იქ მათი მოღვაწეობის შესახებ სრულად ნამდვილად არ შენეცვტილა, თუმცა შედარებით ფრაგმენტულ ხასიათისაა. მაგალითად, VII საუკუნის სომეხი პოლიგრაფი, ანასტასი, იერუსალიმის მახლობლად „გუგარელთა“ მონასტრის ახსენებს. არსებობს ცნობები IX საუკუნეში ქართველი ბერების ზეთისხილის მთაზე და გეთისმანიაში ყოფნის შესახებაც.

— ცნობილია, რომ XI საუკუნეში ევგვიტესა და ბიზანტიის იმპერიას შორის ზავი დაიდო, რამაც ქრისტიანთა მდგომარეობა შეამსუბუქა. ამ გარემოებამ ქართველებზე როგორ იმოქმედა?

— 1036 წლის ზავს პალესტინაში ქრისტიანების უფლებათა ლეგალიზაცია მოჰყვა. ქრისტიანებს უფლება მიენიჭათ სასუთრი ბარჯით აღედგინათ დანგრეული ეკლესია-მონასტრები. ბიზანტიის იმპერატორმა იერუსალიმის პატრიარქის დანიშნვის უფლება მიიღო.

ასეთი იყო ის საერთო ფონი, როდესაც ქართველებმა წმინდა მიწაზე ფართობსმტაცებანი აღმშენებლობა დაიწყეს.

იერუსალიმის ქართული თემის აქტიური სამშენებლო მოღვაწეობა წინდა მიწაზე XI საუკუნის 30-იანი წლებიდან ჩანს. იმ დროისათვის ქართველი მოღვაწეები მრავლად იყვნენ იერუსალიმსა და მისი შემოგარენის ეკლესია-მონასტრებში, მაგრამ არ არსებობდა სასუთრო ქართული სახანე, ცენტრი, რომელიც პალესტინის მონასტრებში გახსნულ ქართველებს თავს მოუყრიდა. სწორედ ამ დროს გიორგი-პროხოზე შემეფლმა იერუსალიმის დასაფლვითი პალესტინის ქართული კოლონიის ცენტრის, ჯერის მონასტრის აგება დაიწყო, რომელიც XI საუკუნის 50-იანი წლების მიწურულს დასრულდა.

— უმულოდ გიორგი-პროხოზის შესახებ რა ვიცით?

— XI საუკუნეში ჯერის მონასტრის მშენებლობასთან დაკავშირებული წყაროებიდან შინაშეწელოვანია „პროხოზის ცხოვრება“. ამ ძეგლის მიხედვით, პროხოზე იყო „ნათესავით ქართველი, ქუყანი მიამეუთით“, რომელიც თავდაპირველად წყაროსათვის მონასტრში დამკვიდრდა. მომდევნო ხანაში მას პალესტინაში, საბას ლაგერში ეხვდავით, რომელიც ჯერის მონასტრის ამენებამდე პალესტინის ქართველთა თავმჯერის ძირითად ადგილს წარმოადგენდა. რაც შეეხება მის საქმიანობას, გიორგი-პროხოზე არა მარტო მონასტრის ამშენებელ-დამაარსებლად გვევლინება, არამედ ხელწაწერათა მომგებელ-გადამწერადაც, რომლებითაც ჯერის მონასტრის ბიბლიოთეკა იესივლდა და მდიდრდებოდა.


დღეისათვის ხელთ გვევს გიორგი-პროხოზის მიერ მოგებული სამი მისი კავადმეორეული ერთი ხელწაწერი. ეს უკანასკნელი დღეს ოქსფორდში, ჯედალის ბიბლიოთეკაში ინახება.

— ხელწაწერა გადარწარსა და ბიბლიოთეკის გამდიდრებაზე მხოლოდ ადგილობრივი მოღვაწენი ზრუნავდნენ?

— არა თქმა უნდა, არა. ახალაგებული მონასტერი საქართველოდან დახმარებას ეღებულბოდა. მას მდიდარ შეხანიარავებს უგზავნიდნენ. მონასტრის ლიტურატორული საზღვარგარეთის ქართული კერები — ათონისა და შავი მთის ქართული მონასტრები — ახალაგებდნენ. ჯერის მონასტრის შვიდნი ურთიერთობა შეუნდა სინის მთაზე არსებულ მონასტერთანაც.

— ჯერის მონასტრის გარდა, ქართველებმა კიდევ რომელი მონასტრები დააარსეს?

— XI საუკუნეშივე ქართველებმა იერუსალიმში, სიონის მთაზე, წმიდა იაკობ ზუბედის დის სახელობის მონასტერი დააარსეს. მათვე ეკუთვნისაღათ ღირსტყვისა და დიდოფუას მონასტრები. ამას გარდა მოღვაწეობდნენ პალესტინის



უფლის საღვთის ტაძარი

სხვა დიდ თუ მცირე მონასტრებში, მაგალითად, პალატი-ში, საბანშიდაში, გეოსიანიაში, შუაანსა და კაპათაში. ძალზე მნიშვნელოვანია ის გარემოებები, რომ XII საუკუნის შუა წლებიდან ქართველების ყოფნა უფლის საფლავის ტაძრის კომპლექსში, კერძოდ, გოლგოთაზე დასტურდება. იქ ქართველი ეპისკოპოსის იოანეს ხელმძღვანელობით კალიგარათა ჯგუფი აქტიურ სამშროლო საქმიანობას ეწეოდა.

— XII საუკუნეში წმინდა მინაზე ჯვაროსნული დამპყრობები დაიწყო. ამ გარემოებამ ქართულ კოლონიაზე რა გავლენა იქონია?

— წმინდა მინაზე ჯვაროსნების მისვლით სრულიად ახალი ნონასტრობა და რეალობა შეიქმნა. იერუსალიმში არსებული ტაძრების უმრავლესობას ლათინური სამღვდლოება დაეპატრონა. ამის მიუხედავად, ქართველებმა ჯვრის მონასტერი შეინარჩუნეს. ქართველთა მიერ მონასტრის ფლობას XII საუკუნის დამდეგს, იერუსალიმში ჩასული რუსი პილიგრიმი, დანიელი, საგანგებოდ უსვამს ხაზს. ჯვრის გარდა, ქართველები ქალაქში დედათა ერთ მონასტერსაც ფლობდნენ.

— რა ვითარება იყო უფლის საფლავის ტაძარში?

— ტაძართან ქართველებს კავშირსა და კომპლექსში ყოფნას ადასტურებს 1155-1156 წლებში ჯვრის მონასტერში საგანგებოდ გოლგოთისათვის გადაწერილი სინაქსარი. XII საუკუნეში ქართველები ტაძარში რომ არ ყოფილიყვნენ და არც ამის საქიროება არ ყოფილიყო, ცხადია, ხელნაწერს გოლგოთისათვის არაეინ გადამწერდა.

— გამოდის, რომ ჯვაროსანთა დროს იერუსალიმის ქართული კოლონია სხვებთან შედარებით პრივილეგირებულ მდგომარეობაში იყო?

— ერთი შეხედვით ასეთი შთაბეჭდილება იქმნება. ამ გავსახებდნენ ძელი წარმოსადგენია, თუ რაოდენ დიდი ენარგია და გამჭროხობა დასტურდებოდათ ქართველ სახელმწიფო და საეკლესიო მოღვაწეებს, რათა ახლო აღმოსავლეთში გამოჩენილ ახალ ძალასთან კარგი ურთიერთობა შეენარჩუნებინათ. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქართველთა მდგომარეობა წმინდა მინაზე ჯვაროსნების მფლობელობის მიუღწევაზე ერთნაირი არ ყოფილა.

— უშუალოდ რას გულისხმობთ?


— მაგალითად იმას, რომ ქართველებმა სწორედ XII საუკუნეში დაკარგეს იაკობ ზებედეგს ძის სახელობის მონასტერი სიონის მთაზე. აგრეთვე 70-იან წლებში ჯვაროსნებმა ქართველებს ჯვრის მონასტერი ჩამოართვეს. მართალია, ჯვრის უკუგამოსყიდვა მოხერხდა, მაგრამ იაკობის მონასტერი ქართველებმა საშუალებად დაკარგეს.

— მომდევნო პერიოდში რა პროცესები მიმდინარეობდა?

— XIII საუკუნე პალესტინის ქრისტიანულ თემთა ისტორიისათვის საკმაოდ მძიმე ხანა იყო. ზეარაზმელთა ხანმოკლე, მაგრამ გამანადგურებელმა შემოსევამ და წმინდა მინის საბოლოოდ ეგვიპტის სასულტნოს პატრონობის ქვეშ გადასვლამ ქართულ კერებზე მძიმედ იმოქმედა. XIII საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისში, კერძოდ, 1272 წელს მუსლიმებმა ქართველებს ჯვრის მონასტერი ჩამოართვეს და შექმთად აქციეს.

— რამდენ ხანს დარჩა მონასტერი მუსლიმების ხელში?

— ქართველებმა მონასტრის დაბრუნება 1310 წელს, დასავლეთ საქართველოს მეფის, კონსტანტინე დავითის



წმინდა კუუყულია

ძის დიპლომატიური ჩარევის წყალობით მოახერხეს. საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ XIV-XV საუკუნეებში, სერიოზული პრობლემების მიუხედავად, იერუსალიმის ქართული კოლონია თავისი სიმღვირის პის ალწევს. XIV საუკუნის 10-იან წლებში ქართველებმა საეურვეოდ მიიღეს უფლის საფლავის სამლოცველო — წმინდა კუუყულია და მის გასაღებს ფლობდნენ. ამაზე დასავლეთ ევროპელი პილიგრიმებიც საგანგებოდ უთითებენ. აღწინშულ საუკუნეებში ქართველებს უფლის საფლავის კომპლექსში გოლგოთა, წმინდა კუუყულია, ადამის, მარიამ მადედღვლის, ჯვრის აღ-

მოჩენისა და სხვა სამლოცველოები ეკავათ. უფლის საფლავის ტაძრის კარიბჭის სვეტზე შემორჩენილი ქართული წარწერების უმრავლესობაც სწორედ ამ ხანით თარიღდება.

საერთოდ ქართველები, სხვადასხვა დროს, წმინდა მინაზე სულ 20-მდე მონასტერს ფლობდნენ.

— დღისათვის ვინ ფლობს კუუყულიას გასაღებს?

— ამ ტიტაზე სიმნიდეს ქრისტიანული კონფესიის სამი სხვადასხვა მრწამსის წარმომადგენელი — ბერძენი მართლმადიდებლები, კათოლიკეები და სომხები ერთობლივად ადევნებენ თვალყურს. ისინი ცდილობენ, რომ ეს status quo არ დაირყვეს.

— XVI საუკუნეში პალესტინა ახალი დამპყრობლის, ოსმალთა ხელში გადავიდა. ეს გარემოება ქართველების მდგომარეობაზე როგორ აისახა?

— უაღრესად ნეგატიურად. პალესტინაში ოსმალების დამკვიდრებით იერუსალიმში კონსტანტინოპოლის ბერძენები გაძლიერდნენ. სხვა გარემოებებთან ერთად ქართველთა პოზიციებიც დასუსტება ამახაც განაპირობა.

1453 წელს თურქების მიერ კონსტანტინოპოლის აღების შემდეგ სულტანმა მეჰმედ II-მ პატრიარქ გენადიუსს სიფლი უშობა, რომლის ძალითაც იმპერიის ფარგლებში მცხოვრები ყველა მართლმადიდებელი ქრისტიანი კონსტანტინოპოლის პატრიარქს დაექვემდებარა. 1517 წლის — ე. ი. ოსმალების მიერ პალესტინის დაპყრობის — შემდეგ ეს უფლება იერუსალიმში მცხოვრებ ქართველებზეც გავრ-



ცვლდა. ამ პერიოდებიდან მოყოლებული, თუ ქართველები რაიმე სადავო საკითხთან იყვნენ დაკავშირებული, მათსა და მუსლიმური სასამართლოს შორის, ოფიციალურ შუამავალ რგოლს ბერძნები წარმოადგენდნენ. არადა, მათ ქართველებს ხელში მყოფ ეკლესია-მონასტრებზე პრეტენზია თვითონაც ჰქონდათ. ამას დაერთო, ერთი მხრივ, საქართველოს საბელმწიფოს დაშლა და ეკონომიკური დასუსტება, მეორე მხრივ, ოსმალთა მოხელეთა ბიუროკრატია, რაც მქრთამეობას პირდაპირ უკავშირდებოდა. ეკონომიკური სიდაუხტირის მიუხედავად, XVI საუკუნის ში-იან წლებში, კახეთის მეფის ლევან II-ის მიერ გაგზავნილი ფულით გოლგო-

თისა და აღდგომის ეკლესიები გაჩაზლდა. ასეთი მატერიალური შეწევნები ფრაგმენტულად ხდებოდა და საერთო ფონის გამოსწორებაზე დადებითად ეერ აისახებოდა. ამგვარად, XVI საუკუნიდან მოყოლებული, ქართველები პალესტინაში კუთვნილ ქონებას თანდათან, ერთმიერის მიყოლებით კარგავენ. დასავლეთ ევროპული წყაროს მიხედვით, ქართველი ბერების უფლის საფლავის ტაძარში ყოფნე უკანასკნელად, 1646 წლით თარიღდება. ბოლ საეანე კი, რომელიც მათ ხელში იყო, ჯერის მონასტერი გახლდათ. ჯვარი XVII საუკუნის მიწურულს ბერძენთა საპატრიარქოს მფლობელობაში გადავიდა.

დღირის ფრცვლაზიდან

ეკა ბუჯიაშვილი

ლოდი ატინის სეოზიდან

(ერაკლე ტატიშვილის სულის მოსახსენიებლად)

შეთანხმებაც არ სჭირდებოდათ, ისე იკრიბებოდნენ.

აი, აქ, ერეკლე ტატიშვილის საფლავთან, სადაც დიდი ლოდი ასვენია — ნიკო სამადაშვილის მიერ ატინის ხეობიდან ჩამოტანილი თავისი მასწავლებლის სხოუნის პატივსაცემად.

მერეც ასე გაუფრთხილდებოდნენ ამ სხოვნს.

და შეინახავდნენ...

და უჭირისუფლებდნენ...

მოიკონებდნენ... მოიკონებდნენ...

სევდიანნივე და ღიმილიანნივე.

ყოველნიურიად 1 თებერვალს შეიკრიბებოდნენ — შეთანხმებაც რომ არ დასჭირდებოდათ ისე — ჭიჭა ღვინოსაც ნაუჭქეცდნენ და გაისინებდნენ მოღვაწის, რომელმაც ხიდი გადო დასავლეთთან, საფუძველი ჩაუყარა ქართულ მთარგმნელობის სკოლას და ბევრიწლიად განსაზღვრა მისი დონე.

ათნაულენები ვასულიყო მას შემდეგ, ახლა ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოებას გადაეხარებინა ეს ტრადიცია.

სუსხიანი ქარი ნამქერს სახეში გვაყრიდა.

და ციოდა... ციოდა...

ერეკლე ტატიშვილის შთამომავალი შოთა ტატიშვილი მადლობას უფიდა როსტომ და პაატა ჩხეიძეებს ამ ტრადიციის შენარჩუნებისა და გაგრძელებისათვის:

— მე ვალბი ვარ მათ წინაშე, რადგან სწორედ ამ დაბმინებმა დამაფიქრეს საკუთარ ფესვებზე და ასე გმონია 60 წლის ასაკში ახალ ცხოვრების ვიწებე.

ერეკლე ტატიშვილის კიდევ ერთი მოსწავლის, ალექსანდრე გამყრელიძის შვილი, ნანა გამყრელიძე კი იკონებდა:

— 22 იანვარს დავობდე და ბატონ ერეკლეს მიუწერია დედაქმისთვის: ეთერ, არ იწილდე, ლეკვი ღომისა სწო-



რია, ძე იყოს თუნდა ხვადიო. ის წერილი კარგა ხანს „ეგვიფისტყასიანში“ გვეკონდა შენახული. ბიბლია გვაქვს კიდევ პატარა, ინგლისურენოვანი, მამასათვის ურუქებია წარწერით: „ალექსანდრე, მომიკვებდე“... და ფსალმური — ასევე ერეკლეს მინანქრით.

ლოდზე, ნიკო სამადაშვილის მიერ ატინის ხეობიდან ჩამოტანილ ლოდზე წარწერა გაუფრთხილდება ნლების მხეებასა და ქარებს. ამასაც აღვადგენთ, — ამბობს როსტომ ჩხეიძე, რადგან ერეკლეს სხოენა ქართული კულტური სხოენა; ერეკლეს გამარჯვება — ქართული კულტურის გამარჯვება.

მერე ჭიჭა ღვინოსაც ნაუჭქეცენ... მოიკონებენ... მოიკონებენ... სევდიანნივე და ღიმილიანნივე.

მანამდე სიონის ტაძარში შეკრებილყვნენ. მამა თეიმურაზი (შავაძანძე) აღავლენდა ერეკლე ტატიშვილის სულის მოსახსენიებელ პარაკლისს.

გალობდნენ სიონის ტაძრის გუნდის წევრები: ღამა ზაალიშვილი (რეგენტი), ღამა იაკობიძე, ლევან ფანგანო.

რიტუალს კი ესწრებოდნენ: როსტომ ჩხეიძე, კოტე გოგოლაშვილი, პაატა ჩხეიძე, ზვიად კვარაცხელია, მია ჯალაშვილი, ლევან კიკნაძე, ეკა ბუჯიაშვილი, ნინო ვახანი, შოთა და დიტო ტატიშვილები, თამარ ყალიჩა, ნინო დეკანოიძე, ირმა ჩინჩალაძე, თეკლე ჯანელიძე...

ცამე ამქონდა ღოცვა სანიღებს და იქიდან მადლი ჩამოჰქონდა.

მამა თეიმურაზი ღოცავდა შეკრებილებს.

და თბილდა... თბილდა...



როინ ჭიკაძე

„ქვეყნად არ არსებობს სიკეთეზე დიდი სიკეთე“



- თქვენი აზრით, რა არის უკიდურესი გაჭირვება?
- სულიერი სიღატაკე.
- თად ისურვებდით ცხოვრებას?
- თელავში.
- რა არის უმაღლესი ბედნიერება?
- მშობლობა.
- თქვენი საყვარელი ლიტერატურული პერსონაჟები?
- დათა თუთაშხია; პეტრე („სარწმუნოაზუდე“); ლვინჯუა; დონ კიხოტი...
- თქვენი საყვარელი ისტორიული პერსონაჟები?
- მზღველი თევდორე (ოთარ ჩხეიძის პიესა „თედორე“); თორნიკე ერისთავი (აკაკი წერეთლის პოემიდან)...
- თქვენი საყვარელი მხატვარი?
- ფირსომანი; ელენე აბულედიანი...
- თქვენი საყვარელი კომპოზიტორი?
- შაქარია ფალიაშვილი; ბიძინა ჯვინაძე...
- რომელ თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად მამაკაცში?
- გაცობას, რომელსაც არა სჭირდება ეპითეტი „კაცური“.
- რომელ თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად ქალში?
- ქალურობას, შემკულს კდემამოსილებით (ქალად ვერ აღვიჭვამ მოჭიდავე, მოკრივე, ძალოსან . . . მდედრს).
- რომელი ადამიანური სათნოებაა თქვენთვის უფრო მომზიბველი?
- უპირველესად, თავად სათნოება მომზიბველი, გამორჩეულად კი — შეწყნარებლობა.
- თქვენი საყვარელი საქმიანობა?
- ქართული ენის ნიაღბი ხეტიალი ნუ მომიშალოს ღმერთმა. ამასთანავე, ფრიად სიყვარულოანი იყო ჩემი საქმიანობა, როდესაც „ახალი ეპოქის“ მინარეთებიდან რუდუნებითა და მოწინებებით შევადგინე სამი ფოტოალბომი: წმინდანთა, ეკლესია-მონასტერთა და მწერალთა. ამათგან წმინდანთა და ეკლესია-მონასტერთა ალბომები ნაკვირვანე მზითვად გაეატანე ჩემს ქალიშვილებს — ნინოს და მადვას, ხოლო მწერალთა კრებულს მე დავიტოვე „ახალი ეპოქის“ სამხსოვროდ.
- თქვენთვის ნაცნობი რომელი ადამიანი გინდობდათ ყოფილიყავით?
- სხვად ყოფნას არასოდეს არ ვისურვებდი.
- თქვენი ხასიათის მთავარი თვისება?
- მიმტეტველობა და უშურველობა.
- რას აფასებთ ყველაზე მეტად მგობობები?
- სრულ ნდობასა და ერთგულებას.

- თქვენი ხასიათის მთავარი ნაკლი?
- მიმდობლობა.
- თქვენი წარმოდგენა ბედნიერებაზე?
- „მწყურვალისათვის მიმატანინე წყალი“ და ამითაც ბედნიერი ვიქნები.
- რა იქნებოდა თქვენთვის ყველაზე დიდი უბედურება?
- ყველაზე ძვირფას ახლობლებთან არყოფნა.
- როგორი გინდობდათ ყოფილიყავით?
- როგორიც ვარ.
- თქვენი საყვარელი ფერი?
- შუამთის ტყის „სიწმინდა“ შემოდგომის მინურულს, როდესაც „ყვითლად წითლდება შუამთის ტყეში ფოთილი“.
- ყვავილი, რომელიც ყველაზე ძალიან გიყვართ?
- მისაკი; ია...
- თქვენი საყვარელი ფრინველი?
- ბედურა — არასოდეს არ მიგატოვებს.
- მერცხალი — განმორების შემდეგ აუცილებლად დაბრუნდება და თან გაზაფხული მოჰყავს.
- თქვენი საყვარელი მწერალი?
- ჩამონათვალისაგან ამჯერად თავს შევიკავებ, რათა ჩემს საყვარელ მწერალს შორის ოთარ ჩხეიძის დასახელება ბატონმა როსტომმა მიკერძოებდა არ ჩამითვალოს.
- თქვენი საყვარელი პოეტები?
- გიორგი ლორთქიფანი, გალაკტიონი ტაბიძე, ანა კალანდაძე...
- საყვარელი ლიტერატურული გმირი ქალბი?
- მუმანიკი, ოთარაანთ ქერიცი, აღაზა...
- საყვარელი გმირები რეალურ ცხოვრებაში?
- დავით აღმაშენებელი, ილია ჭავჭავაძე, საქართველოს პატრიარქი ილია მეორე.
- საყვარელი გმირი ქალი ისტორიაში?
- საყოველთაო აღიარებით — ქეთევან წამებული.
- საყვარელი სახელები?
- ნანა, ნინო, მავდა, გიორგი, ზვიადი, ავი, როკო, ნიკა, ლუკა...
- რას ვერ იტანთ ყველაზე მეტად?
- სიყრველი და ორპირობას, რომლებიც „ავნებს ხორცსა, მერცხე სულს“.
- ისტორიული პიროვნება, რომელმაც თქვენი ზიზღი დაიმსახურა?
- შადიმანი.
- სამაჩაბო მოქმედება, რომელსაც თქვენ უმაღლეს შეფასებას აძლევთ?
- შუღღარებელი „ძღველი საკვირველი“.
- რეფორმა, რომელსაც თქვენ განსაკუთრებით უმაღლეს შეფასებას აძლევთ?
- ენისა და ერის თვითმყოფადობის დასამკვიდრებლად გამზნული რეფორმები.
- ნიჭი, რომელსაც გინდათ ფლობდეთ?
- ნიჭი შეუცნობელის შეცნობისას.



- როგორ გინდათ რომ გარდაიცვალოთ?
- "არ მივსცე წყევით თვის სახელი შთამომავლობას".
- თქვენი სულიერი მდგომარეობა ამჟამად?
- ამჟამად უფრო ვაჩი მიდგას, ვინაიდან შეძლებისამებრ "მოიცადე სხვათა ყოველთა კეთილთაგან", მაგრამ ვერ შეძლებდი ვიყავ უფროის უკეთ მასხურებისა.
- ქმედებანი, რომლებიც თქვენ შემწყნარებლობას იმსახურებენ?

- უდიდესი განსაცდელისაგან მოყვების გამოსახსნელად თქმული სიცრუე.
- თქვენი დევიზი?
- ქვეყნად არ არსებობს სიკეთეზე დიდი სიყვით!
- თუკი ოდესმე შეხედვითი ღმერთს, რას ისურვებდი, რომ მას თქვენთვის ეთქვა?
- შელო ჩემო, ისმინე განსჯანი და შეგონებანი მათე: სი "ყოველი რომელი ითხოვდეს, მოიღოს; და რომელი ეძიებდეს, პოვოს; და რომელი ირკადეს, განელოს".

ილიას გზით

თამარ კოტრიკაძე

მთარგმნელი მრწამსი

ამბობენ, მთარგმნელი ავტორის თანაშემოქმედიყო. ეს აღბათ პირველ რიგში ლირიკის მთარგმნელს ეტება: მისი მისია უფროდეს, თითქმის უიმედო, დონ-კიხოტურ გმირობად მიმაჩნია. პოეზიის მთარგმნელებს ჩემს გულწრფელ მოზინებასა და მადლიერებას ვუძღვნი; არასოდეს მეყოფა გამბედელობა, მათ რიგებს შევეუერთდე. პროზაული ტექსტის თარგმანისადმი კი ოდნავ სხვაგვარი დამოკიდებულება მაქვს.

უცხოური ნაწარმოების მშობლიური ენის სივრცეში გადმოტანას, სურთ შეხედვით, მხოლოდ ალტრუისტული მოტივები აქვს: ურთული, მისი კითხვით მოგარული სიამოვნება სხვაგვარ მიანიჭო, გაუზიარო. მაგრამ ასე მარტვლად არ ვახლავთ საქმე. ორიგინალურსა და ახალს, მგონი, არაფერს ვიტყვი, თუკი გაგიმხლათ: ავტორიცა და მთარგმნელიც, უპირველეს ყოვლისა, საკუთარი თავისთვის ირჯებიან. სეკულარული პერსონაჟი სეიშორი გლასი თავის მწერალ ძმას, თვით ავტორის ალტრეგოს, ასეთ ბრძნულ რჩევას აძლევს: ეიდრე წერას დააპირებ, კარგად დაფიქრდი, როგორი მოთხრობის ნაკითხვას ისურვებდი, რა მოგანიჭებდა უდიდეს სიამოვნებას, როგორც მკითხველს, და რიედსაც ამას ვაიაზრებ, ზუსტად ასეთი მოთხრობის წერას შეუდექი. სხვა შემთხვევაში მზინელობით ვერც სხვას მოზინდავო.

ეს — რაც მწერლებს შეეხებათ. ხოლო მათ, ვინც მოკლებულნი ვართ ლიტერატურული ნაწარმოების შექმნის ბედნიერებას, ასეთ დროს ისღა გვჩრება, საყვარელი წიგნი ზელახლად გადავიკითხოთ.

ცხოვრების გარკვეული მომენტიდან უკვე ვიცოდი, რომ არცერთი საქმიანობა ისე კარგად არ გამოვიდოდა და ისე არ მახარებდა, როგორც წიგნების კითხვა. გენებათ, ამას რეალობისაგან გაქცევა უნდოდა, გნებათ — მისი განზოგადებული ნედლის სურვილი, გნებათ — უზარალო თავის შექცევას. მოგვიანებით, რაკილა პროფესია „მკითხველი“ არ არსებობს, მასთან მიახლოებული პროფესიების ძებნა დადიწყვი.

მაგრამ რამდენჯერაც და რა გულდასამთავ უნდა გადაიკითხო ტექსტი, მის სიღრმეებს ისე ვერ ჩასწვდები, რო-

გორც ეს მისი ერთი ენის სივრცეში შეორები გადატანის არის შესაძლებელი. ასე რომ, თარგმანი ქუშმარტი კითხვაა, რომლის დროსაც მთარგმნელი ავტორთან უშინავანეს კავშირს ამყარებს, მის შეგირდად, მისი მაგიის ხელდასხმულ ადვტად იქცევა.

ცხადია, კითხვის — და, მითუმეტეს, ამგვარი კითხვის — პროცესიც თავისთავად შემოედგებება. შემოქმედებითობა ხომ ადამიანს ბუნებრივად აქვს ნაბოძები თან განმრეობსაგან, ვის ხატად და მსგავსებადაც მოველინა ამ ქვეყანას. ტოლკინი სწორედ ამას უკავშირებს ულტურის მამოძრავებელ უმთავრეს იმპულსს: მისი თქმით, ბელოვანი უზენაესი შემოქმედის მაგალითს მისდევს და „მეორად“ სამყაროს ქმნის. აღბათ, ყოველი თქვენგანი დამეოთანხმება, რომ ამგვარი „მეორად“ სამყარო ხშირ შემთხვევაში „პირველად“ ანუ რეალურ სამყაროზე არანაკლებ დიდ ზემოქმედებას ახდენს ჩვენზე.

თუკი ტოლკინისეულ მოდელს ბოლომდე მივყვებით, მაშინ კაცობრიობის სივრცეში უპირველეს მთარგმნელად ედემის ბაღში ლაღად და შემოქმედებითად მცხოვრები ადამი უნდა მივიჩნიოთ, — მას ხომ თითოეული ქმნილებისათვის სახელის შერქმევა დაეკისრა, რაც სხვა არავერიცა, თუ არა პირველადი ტექსტის, სამყაროს, თარგმანი — გამოუთქმელი ლეითორი ქინდან ადამიანურ ენაზე. და თუკი მწერალი „მეორად“ სამყაროს შემოქმედად აღვიკეთო, მამ ვიყოფილა მთარგმნელი, თუ არა „მეორადი ადამი“? მხატვრულ ტექსტთან მავსიმალური მიზანრივი კავშირის დროს თავის გარდევალად მისი სამყაროს ნაწილად შევიგნებობთ...

ეს კი თარგმნის უაღრესად საპატიო და საპასუხისმგებლო საქმედ აქცევს: დიდი სიფრთხილედ და ტაქტიკ მართებს მთარგმნელს, რათა ავტორის მიერ შემოთავაზებული თამარის ნუსხები არ დაარღვიოს და, საბოლოოდ, გაძევებულ მამ იქნას ტექსტის სამყაროდან. ჩემი მხრივ, პირობას ვაძლევთ, რომ ყველა ღონეს ვიხმარ, რათა ეს საქმე ღირსეულად აღვასრულო. დიდი მადლობა!



* სიტყვა, წარმოთქმული საკურამოში ილიას ფონდის პრემიის გადაცემისას, 2010 წლის 8 ნოემბერს



დემეტრი უჩანეიშვილი

ველების ცხოვრება

მოქაფი პირები:

ველები, პოეტო; მინა, მისი მეუღლე; ალდო, ველების მამა; ჯინა, ველების დედა; ბრუნო, მენეჯერი; ექიმი რიჩო; ველების ქალიშვილები: პირველი, მეორე; ნათესავები

მოქაფვაა!

სცენა I

(ოთახი. შუაში დგას მაგიდა სკამებით. მარცხნივ - დამაბლი მაგიდა და ორივე მხარეს თითო საყარძელი. საყარძლის უკან ლამაზი, სამირისპირო კედელთან შედარებით ტელევიზორი პატარა კრანით. სიღრმეში მუხარბი ანთია. ალდო სავარძელში ზის, ჯინა მის კალთაში.)

ჯინა: ალდო, ხომ კარგია, რომ დაფეხმძიმებას შევძლებ?

ალდო: ეს არაჩვეულებრივია, საყვარელო და აუხსენელიც.

ჯინა: ხო არის აუხსენელი?

ალდო: წარმოიდგინე, ვართ მხოლოდ მე და შენ, ორნი და რალაც დროის შემდეგ პატარა გვემტატება, რომელიც მანამდე არ არსებობდა. უკანასკნელ ხანს გამოუმუშებთ ამაზე ვიფორმბ.

ჯინა: პო, ძალიან ბედნიერი ვარ. წელიწადიც არ გავა და ჩვენ გოგონას ჩავეუბნებთ. (პაუზა)

ალდო: მგონი სჯობს შეილი თქვა.

ჯინა: პო, შეილი, გოგონა.

ალდო: შესაძლოა ასეც იყო.

ჯინა: არა, ნამდვილად ასე იქნება.

ალდო: არ გგოგონოს, ნინაღმდეგი ვარ, მაგრამ მაინტერესებს, რა გაძღვეს ასეთი რწმენის საბაბს. ხომ შეიძლება ბიჭი გაჩნდეს?

ჯინა: ბიჭი? (პაუზა) არა. შეუძლებელია. მე მას ვხედავ. ვხედავ როგორცა. იცი? ოქროსფერი თმა აქვს და ვარსკვლავებზე თვალბეჭი. ვიცი, რა აცვია, ისიც ვიცი, სად ვუყი-დე. ვხედავ, როგორ თამაშობს, მესმის, რა საყვარლად ამა-ხინჯებს სიტყვებს. იზრდება. კი, ნამდვილად გოგონა იქნე-ბა. საბედლოდ შერჩეული მაქვს.

ალდო: უკვე სახელი. ვხედავ დიდი სურვილი გაქვს, მაგრამ სჯობს ახლავე გითხრა. დიდი სურვილი ზოგჯერ დიდ იმედგაცრუებას იწვევს.

ჯინა: რას გულისხმობ?

ალდო: იმედინად დიდია შენი სურვილი, რომ ყველაფერი დაშრიდო, რეალობას ფარდა ჩამოაფარა, მაგრამ, სამწუ-

ხაროდ თუ საბედ-ნიეროდ, სურვილს, მიუხედავად მისი ძალისა, მნიშვნე-ლობა არ ენიჭება. სურვილი თავისთა-ვად არაფერს ცვლის. **ჯინა:** ვერ ვხედე-ბი.



ალდო: ჩვენ შეგ-ვიძლია გავაჩინოთ ან არ გავაჩინოთ, მაგრამ ვინ გაჩნდება, ეს ჩვენზე არ არის დამოკიდებული. მეც რომ იგივე ვისურვო, რაც შენ, მაინც ვერაფერს შევცუ-ლით.

ჯინა: რატომ?
ალდო: დაფიქრდი. ჩვენი მხოლოდ სურვილია. მას იქით არაფერი.

ჯინა: მე ხომ ძალიან მინდა?! როცა ძალიან გსურს, ხომ ყველაფერი გამოდის?!

ალდო: მინაზე დაეფიქრე. როდესაც ძალიან გსურს, მხო-ლოდ გგონია, რომ ეს გარდუვალად მოხდება, ამ დროს კი სურვილი შესაძლოა სურვილად დარჩეს. ეს შეიძლება მოხდეს, მაგრამ შეიძლება არ მოხდეს. ეს იგივეა, ნეიმის ნაშოსვლა ისურვო. შეიძლება განვიმდეს, შეიძლება არ განვიმდეს, მაგრამ ამ მოვლენაზე ზემოქმედება არ შე-გიძლია. მოხდება თუ არ მოხდება, ეს შენზე არ არის და-მოკიდებული.

(პაუზა)
ჯინა: (დათრგუნული) ესე იგი... ნეიმა... როგორც ნეი-მა... ჩვენზე არ არის დამოკიდებული. შესაძლოა მართალი ხარ. მაგრამ ხომ შეიძლება ასე მოხდეს? (პაუზა) თუცა შე-იძლება არც მოხდეს. ჩვენ კი ვერაფერს შევცვლით.

ალდო: პო, ვერც ჩვენ და ვერც სხვა.

ჯინა: უცნაური გრძობა დამეფულა, თითქოს... რალაც დაეკარგა. ოქროსფერი თმა, თვალბეჭი გაფერმკრთალდა, გაქრა... ველარ ვხედავ. ახლა რა უნდა ვქნათ?

ალდო: რას გულისხმობ?

ჯინა: იქნებ საერთოდ არ ღირს შეილის გაჩენა?

ალდო: რატომ?

ჯინა: ადამიანი უნდა მოვავლინოთ ქვეყანას და არც კი ვიცი, ვინ იქნება.

ალდო: არ აქვს მნიშვნელობა, ვინ იქნება.

ჯინა: როგორ თუ არ აქვს?

ალდო: ვინც უნდა გაჩნდეს და როდესაც უნდა გაჩნდეს, ის შენი შვილი იქნება და გვეყვარება.

ჯინა: როგორ? რომ არ... თუმცა არა. ო, ღმერთო! მად-ლობა, ღმერთო! შენ მართალი ხარ, ალდო. ახლა უკვე მეც შენსავით ვიფორმბ. მივხედავი თუკი გიყვარს, და მე ვიცი, რომ მიყვარს, უკვე მიყვარს, არ აქვს მნიშვნელობა, ვინ გაჩნდება და ახლა გაჩნდება თუ ვერც.

ალდო: მამ მოვავლინოთ ქვეყანას პატარა, რომელიც უამრავ სიხარულს მოგვტანას.

(ჯინა სიხარულს, სიხარულს მოგვტანას ყველას.)

(სცენა მტვრდება, დაახლოებით ოც წამს სიჩუმეა, შემდეგ ისმის ახალდაბადებულის ტირილის ხმა, რაც ამფუნოვ ხანს გრძელდება.)

სცენა II

(*დილა. იგივე ოთახი. მავიდის გვერდით დგას ოთხთვალა ეტლი, რომელშიც პატარა ნეწს. მავიდასთან დგას ჯინა, მოსტრეულს ხეხავს და დროდადრო ეტლს გააყურებს. შემოდის ალდო, კისტუმი ავიცა და ქალსტუბი უკეთია. ყავას სვამს. სა-მუშაოდ წასვლელად ემზადება.*)

ალდო: რას უშზაღებ?

ჯინა: ხილის და ბოსტნეულის პიურეს.

ალდო: რისგან შედგება?

ჯინა: ერთი სტაფილო, ნახევარი ჭარხალი და ორი ვაშლი.

ალდო: ეგ თანაფარდობა ვინ დაადგინა?

ჯინა: ექიმმა დიტეტოლოგმა.

ალდო: ორი ვაშლის ნაცვლად ერთი რომ მისცე ან სამი, რა მოხდება?

ჯინა: არ ვიცი.

ალდო: მან თუ იცი?

ჯინა: ვინ?

ალდო: ექიმმა.

ჯინა: არც ეგ ვიცი, მაგრამ ასე თქვა, ყოველდღე უნდა მიიღოსო.

ალდო: ნეტაც ვინმემ თუ იცის, ნახევარი ჭარხალი რომ დაამატო ან მეოთხედი სტაფილო, რა მოხდება? შეიცვლება მისი თვალის ფერი ან ტურის ფორმა? (*ჯინა გაკვირვებულ-ლია. ალდო უფროად, თითქოს რაღაც აზრი წყვილი*) იქნებ ნი-ორიც შეეფროსო? ნიორი ხომ ძალიან სასარგებლოა?

ჯინა: რას ამბობ? არაფრით არ შემიძლება.

ალდო: რატომ?

ჯინა: ნაღვლის ბუწის გაუღიხიანებს. (*პაუზა*)

ალდო: რა უცნაურია?! როცა პატარას შესახებ საუბ-რობ, აზრადაც არ მოგდის, რომ მას ნაღვლის ბუწი აქვს. ამ დროს კი ნაღვლის ბუწიც აქვს, თირკმელიც, ღვიძ-ლიც, გულიც, ტვინიც და მრავალი სხვა რამ. ეს ყველაფერი უპვე აქვს.

ჯინა: მო, სულ პანანინები ... ჩემი პატარა. (*პირჯვარს იწერს*) ღმერთო, ფანბრთელი მიმყოფე, მხოლოდ ამას გთხოვ, მხოლოდ ამას. სხვა არაფერი მინდა. (*შეპარვით*) ისე, თუ ტკვიანი და მომიხიბელელოც იქნება, ამას რა აჯო-რებს? ნახე რა ლამაზი თმა აქვს, სქელი და მგრსკინავეი.

ალდო: მო, ძალიან, და თვალები? დააკვირდი, ნახშირი-ვით მავი თვალები აქვს.

ჯინა: ვილაცას მიუგავს. მგონი, ბაბუას.

ალდო: რომელ ბაბუას?

ჯინა: შენს მამას.

ალდო: არა. მამაჩემს თავლისფერი თვალები ჰქონდა, მას კი შავი. შენ მამაჩემის მხოლოდ ფოტო გაცქს ნანახი და ამიტომ გგონია ასე. თან შეხედე, ცხვირი, ტურჩები სულ სხვანაირი აქვს. არა, ეერავის ვამსგავსებ.

ჯინა: მე კი მგონია, რომ ჰგავს. ვილაცას ხომ უნდა ჰგავდეს?

ალდო: არავის არ ჰგავს, არავის. ისეთია, როგორიც არის.

სცენა III

(*საღამოა. იგივე ოთახი. ჯინა საყარძელში ზის, ფეხები შე-მოკეცილი აქვს, მავიდისკენ არის მიდარბილი, კალამი უჭი-რავს. ალდო მეორე საყარძელში ზის, ნეწს კითხულობს.*)

ჯინა: რა სულელური კოსსოვრდია?
ალდო: (*ნიწს თვალს არ ამორებს*) რატომ?

ჯინა: იტალიის პრემიერ-მინისტრი 1945 წელს, შვიდი ასო.

ალდო: რა არის ამში სულელური?

ჯინა: რად ის, რომ 1945 წელს პრემიერი ფერუო პარი იყო. პ-ა-რ-ი. აქ კი შვიდი უჯრაა.

ალდო: შენ მართალი ხარ, მაგრამ არც კოსსოვრდშია შეცდომა.

ჯინა: ეგ როგორ შეიძლება?

ალდო: 45 წელი რომ დანიწყო, პრემიერი ივანე ბონომი იყო. ომის დამთავრების შემდეგ, არჩევიდან ერთი წლის თავზე, ბონომი წავიდა. ორ დღემ პრემიერის საყარძელი ფერუო პარამ დაიკავა. სხვათა შორის, პრემიერობის დროს მინაგან საქმეთა მინისტრის მოვალეობასაც ითავ-სებდა. დეკემბერში, ლიბერალების მხარდაჭერა რომ და-კარგა, გადადგა. კიდევ ორი დღის შემდეგ კი პრემიერად დე გასაპერი აირჩიეს, დიდი ლაჩიდე დე გასაპერი. აი, ასეთი იყო პრემიერია მინაცვლეობა 45 წელს. ასე რომ, კოსსოვრდში შეცდომა არ არის.

ჯინა: (*აღფრთხიანებული*) რა დეტალურად გცოდნია!

ალდო: მე ხომ მიყვარს ისტორია!

ჯინა: აბაღათ ბეგერი საინტერესო ამბავი იცი.

ალდო: საკმაოდ.

ჯინა: კიდევ მომიყვიე რა რაიმე.

ალდო: მაინც?

ჯინა: რაც გავახსენდება, რაიმე საინტერესოა. ძალიან მიყვარს, რაღაცებს რომ მიყვები. (*პაუზა*)

ალდო: კარგი. აი, მავალითად, ერთი სახელმწიფო მოღ-ვანე, ფოვანი ჯოლიტი, იტალიის პრემიერ-მინისტრი სხვადასხვა დროს ხუთჯერ იყო. კიდევ ერთი, ტომაზო ტა-ტონი, ერთადერთხელ და ისიც სულ თერთმეტი დღე. ეს ყველაზე ხანმოკლე ვადა იტალიის ისტორიაში.

ჯინა: სულ თერთმეტი დღე?! რა საინტერესოა! კიდევ მითხარი რაიმე ალდო, გთხოვ.

ალდო: კიდევ რაიმე? (*პაუზა*) კიდევ იტალიის ყველა პრემიერ-მინისტრი ვიცი.

ჯინა: (*გაოცებული*) ყველა პრემიერი?

ალდო: კი.

ჯინა: სულ რამდენი იყო?

ალდო: რომ გიპასუხო, რაღაც ზღვრული წერტილი უნ-და ავირჩიოთ.

ჯინა: კარგი. (*ხალისით*) ვთქვით, ჩვენი პიერის დაბადე-ბამდე.

ალდო: პიერის დაბადებამდე? (*პაუზა. ფიქრობს*) ორ-მოცდაოთხი.

ჯინა: ორმოცდაოთხი?! ნუთუ ყველა იცი?

ალდო: რასაკვირველია.

ალდო: ბონომის ნინამორბედი ვინ იყო?

ალდო: მარშალი ზადლო, დროებითი მთავრობის თავმჯდომარე.

ჯინა: მის ნინ?

ალდო: დურე.

ჯინა: ო, საპირულეა, გახსენებაც არ მინდა. მის ნინ?

ალდო: ლუიჯი ფაქტა, 39-ე პრემიერ მინისტრი.

ჯინა: რა თვითობაც იცი?

ალდო: (*ღიმილით*) რა თქმა უნდა.

ჯინა: თუ ასეა, მითხარი ვინ იყო მზე-ე პრემიერი.

ალდო: ფრანჩესკო ნიტო.

ჯინა: 23-ე?

ალდო: ჯუზეპე სარაკო.

ჯინა: 15-ე?

ალდო: ბენედეტო კაიროლი.

ჯინა: პირველი?

ალდო: პირველი იყო კამილო ბენსო, იგივე კავერი.

ჯინა: პირველი... კავერი... ალდო, მანამდე რა იყო?

ალდო: მანამდე იყო დანაწევრებული იტალია, ომები, ამბოხი, პრძოლა გაერთიანებისთვის.

ჯინა: კიდევ უფრო ადრე?

ალდო: უფრო ადრე იყო რომის იმპერია.

ჯინა: (აღტაცებული) რომის იმპერია! პატრიციები, სასახლეები, გლადიატორები... ალბათ რამდენიმე საინტერესო ამბავი მომხდარა იმ დროს, არა, ალდო?

ალდო: ო, ბევრი, ძალიან ბევრი.

ჯინა: (მადიკრებული) ვინ იცის, კიდევ რამდენიმე ამბავი ისეთი, ჩვენ დრომდე რომ არც მოუღწევია?

ალდო: მართალი ხარ. ალბათ ასეთი კიდევ უფრო მეტია.

სცენა IV

(საღამოა. იგივე ოთახი. ჯინა სავარძელში ზის, ქსოვს. ალდო შიშველ სავარძელში, გახუთს კითხულობს. გახუთს გადაღლებს და ჯინას მიუბრუნდება).

ალდო: თექვსმეტი წლის ხდება, ეს სიმწიფის ასაკია. მინდა, რომ დიდი წვეულება მოვაწყოთ.

ჯინა: (გახარებული) რა კარგად მოგაფიქრებია, ალდო? აუცილებლად გავმართოთ. როგორი ვინდა, რომ იყოს წვეულება?

ალდო: ბევრი ხალხი, შუქი, მუსიკა, შამპანური. დიდი ზეიმი უნდა გამოვიდეს.

ჯინა: ვინ დაგეგმათ, მოფიქრებული გაცქს?

ალდო: კლამში და ფურცელით აიღე და ჩამოუნერეთ. (ჯინა კალამს იღებს და რეუელს შლის) აიღე?

ჯინა: კი.

ალდო: ნათესალებით დავიწყეთ. მამ ასე, დედაშვილები... კონიკიტა მეუღლესთან ერთად, კარლო და ვინჩენცო...

ჯინა: ცოტა დინჯად, ვერ გასწრებ.

ალდო: კარგი.

ჯინა: კარლო და ვინჩენცო.

ალდო: შო, შემდეგ, დედა მარია და ბიძია მარკო. (პაუზა. დადარდანებული) ხომ იცი, საბრალო, ავად არის.

ჯინა: შო, ვიცი. არადა, რა კარგი აღმანიხია.

ალდო: ძალიან, ძალიან კარგი. იქნებ ოდნავ მაინც გაერთოს ჩვენიან. (პაუზა) ეჰ, მარკო, მარკო. (პაუზა) კარგი, განეგარძით. (უხალისოვლ) მაიმინაშვილები: ლუკა, ბენი და ანამარია. ასწრებ?

ჯინა: კი.

ალდო: მაიმინა სესილია და ბიძია ტონიო.

ჯინა: ბიძია ტონიო ვინ არის?

ალდო: (მარკოს ამბავი დაავიწყდა) ჩემი სიძე, სესილიას ქმარი, მუნ მგონი ნანახიც არ გყავს. უნდა გაგაცნო. აუცილებლად გაგაცნო. ალბათ ვერაფრით დაგამახსოვრებს თავს, მაგრამ უნდა იცნობდე. (პაუზა) კარგი, შემდეგ, ბი-

ძამივლები... ბიძამივლები არც ერთი მხრიდან არ მყავს, ხომ ასეა?

ჯინა: ჩემი მხრიდან არ მყავს.

ალდო: არც ჩემი მხრიდან, მაგრამ მყავს გარე ბიძამივლები.

ჯინა: ვინ? მე რომ არ მახსოვს?

ალდო: როგორ არ გახსოვს? მამარჩემის ძმის შვილიშვილი, პიეტრო. ჩვენ ქორნილიძე იყო, ბევრი რომ იცეკვა და მაგრად დათვრა.

ჯინა: კი, გამახსენდა. დიდი სასაცილო ბიჭია. მგონი ბანკში მუშაობს, ასე არ არის?

ალდო: შო, ბანკიოა. იმედია მოახერხებს ჩამოსვლას და კარგადაც გემოიარულებს. (თითბზე ითვლის) კარგი, მგონი ნათესალები მოვამთავრეთ. არა, როგორ გამოშრია? ჩემი ძმა ედუარდო. ჩანერე. (ჯინა წერს). მაჩვენე. (ართშევს რეუელს, კითხულობს და უბრუნებს) ასე. ახლა მეზობლების სია ჩამოუნერეთ. (კარნახობს) ინჯა, ტომაზო, პატრიკი ფაბიო, ელზა... ელზას დას რა მქვია? სულ მაივწყდება.

ჯინა: კარლა.

ალდო: შო, კარლა. სქელუკანალიანი კარლა. ისევე უთხოვარია, მგონი.

ჯინა: კი, ასეა.

ალდო: შო, კარგი. შემდეგ, პოლინიო და პატარა ფაბიო და ძველი მეზობლებიდან მინდა ძია ბერტო და დედა სოფია დაეპატიოთ. (პაუზა) ასე, მგონი, ნათესალები და მეზობლები ჩამოუნერეთ. ვინმე ხომ არ გამოგერჩა?

ჯინა: არავინ მახსენდება. თუ ვინმე გამოგერჩა, შემეძინა ჩავამატო. (უცნაოდ) ყოჩაღ ჩვენ!

ალდო: მოხდა რაიმე?

ჯინა: ბებიები დაგვიწყნდა.

ალდო: აჰ, საოცარია. (პაუზა) ასე ყოფილა, ვინც ახლოს არის, თურმე შეიძლება ოოლად დაგვაცინდეს. ჩანერე, ბებია კლაუდია და ბებია სილია. ჩანერე?

ჯინა: კი.

ალდო: (წაღვლიანად) ცუდია, რომ ბაბუები ვერ მოსწონენ ამახ. ძალიან გაეხარდებოდათ.

ჯინა: თვითონაც ვერ ნახა ვერცერთი. ვინ იცის, თვითონაც როგორ გახარებოდა.

ალდო: შო, რომ დაიბადა, უკვე გარდაცვლილი იყო ორივე.

სცენა V

(იგივე ოთახი. ალდო სავარძელში ზის. შემოდის ჯინა).

ჯინა: რამეს ფიქრობ?

(პაუზა)

ალდო: შეილი მოგვესწრო, ჯინა.

ჯინა: (სკამზე ჩამოჯდება მაგიდასთან) შო, გაიზარდა.

ალდო: გაიზარდა თუ გაეზარდეთ?

ჯინა: გაიზარდა თუ გაეზარდეთ? რას გულისხმობ?

ალდო: ჩვენ ვზრდიდით, მაგრამ უჩვენოდაც ხომ გაიზრდებოდა?

(პაუზა)

ჯინა: ვინმე! უჩვენოდა რა გაიზრდებოდა, ალდო? (პაუზა) შემეშინდა უცერად.

ალდო: ალბათ ისეთი არა, როგორიც არის, რადგან მშობლისმადევი ძალისხმევით შეილის მომავალსა და კეთილდღეობას არავინ ეკიდება, მაგრამ გაიზრდებოდა. ამა-



ზე ბევრი მიფიქრია. ხომ იზრდებიან ბავშვთა სახლებში? მშობლის ზრუნვა, რაც რეალურად გავლენას ნარჩოად გენს, უაღრესად მნიშვნელოვანია, მაგრამ მშობელი ერთადერთი და გარდუვალი არ ყოფილა. მასწავლებელი, მოძღვარი, მეგობარი. ეს სახლი უშუალოდ ზემოქმედებს ადამიანზე და მრავალ რამეს განსაზღვრავს. (პაუზა) ასევე ნათესავი, თანამშრომელი... და საერთოდ, გარკვეულწილად იგივე ყველა ადამიანის შესახებ შეიძლება ითქვას.

ჯინა: ყველა ადამიანის?
ალდო: კი. ზოგადად ყოველი ცალკეული ადამიანი გავლენას ახდენს სხვაზე... დიხს, ყოველი ადამიანი და ეს გავლენა მრავალგვარია. არსებობს გავლენა წინასწარი განზრახვით. მაგალითად, იაპონიაში მოქმედებს სექტა, რომლის წევრები სიტყვის ძალით ასწებობენ ადამიანს. აირჩევენ მსხვერპლს და შთაავონებენ, თითქოს ავად იყოს. სულ რამდენიმე კვირის შემდეგ ასეთი ადამიანი მართლაც ავადდება. არსებობს სხვაგვარი გავლენაც, განუზრახველი. ადამიანზე გავლენას ახდენს მეზობელი, რომელიც ზაფხულის დილას ხაზს ნევას, ფანჯარა კი ღია აქვს, გავლენას ახდენს მეტროს ხალხმრავალ ვაგონში გვერდით მდგომი, როდესაც ფეხს გაბიჯებთ, და ტაქსის მძღოლი, ხმაშალა რომ უსმენს რადიოს. ასეთი გავლენა მკაცრი, მისი შედეგი კი გრძელ — ამ მოკლევადიანი. გამობედა, სიტყვა, ფერი, აზრი, სურნელი. ეს ყველაფერი გავლენას ახდენს.

ჯინა: ანუ შეიძლება გავლენას უცხო ადამიანიც ახდენდეს?
ალდო: არა მხოლოდ უცხო. გავლენას შეიძლება ახდენდეს ადამიანი, რომელიც არასოდეს სინახავს და ვერასოდეს ნახავ. ნარჩოადგინე მწერალი, გაუკუნებებს წინათ რომ ცხოვრობდა, რომლის შესაძლოა საფლავიც არაინ უწყოდეს, მისი ნაწარმოები კი გავლენას ახდენს ადამიანზე. ზოგჯერ იძენად ძლიერ გავლენას, რომ ადამიანის ცხოვრება ძირითად იცვლება. (პაუზა) მაგრამ არსებობს გავლენის კიდევ უფრო რთული და მძლავრი ფორმა. ასეთი გავლენა ყოველწამიერი და გარდუვალია, შესაბამისად, ყველაზე მასშტაბურიც, მისი შედეგი კი განუსაზღვრელი. ადამიანის საქმიანობა, მისი მოძრაობა, გადაადგილება, დედამიწის რომელი ნერტილიც უნდა ხდებოდეს ეს, გავლენას ახდენს სხებზე. და არა მარტო ეს. მეტიც. ადამიანი ჩასუნთქული და ამოსუნთქული ჰაერის ოდენობითაც კი გავლენას ახდენს სხვაზე. ჩვენ საყოველთაო ურთიერთგავლენას ვეძიებდებარებით.

(შუტი ქრება)

მიმცემია II

სენა I

(ოთახი. მარჯვენა კედელთან ფანჯარა, ფანჯრის ქვეშ ძველბურთი ნაწერი მაკიადა სკამით, მაგიდაზე სამეფო მანქანა და ფურცლების გროვები, მარცხნივ - სინგლის ცარიელი კარდა. კარდას დაბლი ტახტია მიფეშული. ტახტის გვერდით სკამი, რომელზეც ასევე ფურცლები აწყობა. უკან კარია. მაგიდასთან ზის თავგადაპარსული ევლი, ნერს. შემოდის ბრუნო.)

ბრუნო: ბიერი!
ევლი: ბიერ ალარ მიწოდო.

ბრუნო: აბა როგორ მოვმართო?

ევლი: ჯორჯო.
ბრუნო: ჯორჯო? რატომ ჯორჯო? რატომ ბიერ არა?

ევლი: იმიტომ, რომ ჩემი სახელი არ არის. მე ჩემი სახელი მინდა. მე საკუთარი თავის კონსტრუირებას შევედეტი.

ბრუნო: გვარად რა გაქვს?
ევლი: არ ვიცი, ჯერ არ ამირჩევია. შესაძლოა სულაც არ ავიჩიო და არც შეიზღუც გვარ.

ბრუნო: პროფესია თუ გაქვს?

ევლი: პოეტი უნდა გავხდე.

ბრუნო: მატეო თავის რჩევა გაგიტირდება.

ევლი: ვიცი, მაგრამ ამას მნიშვნელობა არ აქვს, რადგან ეს ჩემი არჩევანია და მე მწვერვალს უნდა დავიყვრო, მწვერვალისკენ მიმავალი გზა

მხატვარი ირაკლი ჩიქოვანი



კი რთულია. (პაუზა) შენ შესახებაც ვიფიქრე. ჩემ მწვერვალად დავანიშნე.

ბრუნო: ეგ რას გულისხმობს?

ევლი: ურთიერთობას გამომცემლებთან, ბანკებთან, მთარგმნელებთან და ა.შ. ჩემი წარმომადგენელი იქნები ერთგვარი. როგორ მოგწონს?

ბრუნო: არ ვიცი, უნდა დავუვიქრდე.

ევლი: მე მგონი, გაართმევ თავს. (კიბზე ნაბიჯების ხმა ისმის. ევლი ფანჯრიდან გაიხედავს. შემდეგ სწრაფად) კარგი, ნაი, მოგვიანებით განვაგრძოთ. მინა მოვიდა.

(ბრუნო გადის)

ევლი: (თავისთვის) ჩემი მწვერვალი!

(შემოდის მინა)

მოხვედი საყვარელი?

მინა: ეგ სიტყვა ალარ მითხრა.

ევლი: რატომ?

მინა: შენ მე არ გიყვარვარ.

ველი: ტყუილია. შენ იცი, როგორ მიყვარხარ. მზად ვარ შენივით ყველაფერი ვანერო, არამცთო ჩემი სხეული რომელიმე ნაწილი, რაც, დამეთანხმები ალბათ, ფრიად ბანალური მსხვერპლი იქნებოდა, არამედ ჩემი ოცნებებიც კი.

მინა: თუ ასეა, რატომ ხარ ქორწინების წინააღმდეგი?
ველი: ქორწინების წინააღმდეგი არ ვარ. მხოლოდ ის ვიცი, რომ საბუთი არაფერს შეცვლის. ჩვენ ხომ ისედაც ერთად ვართ?

მინა: შემდეგი?
ველი: თუ ქორწინება შენთვის მნიშვნელოვანია, მზად ვარ, მაგრამ...

მინა: შეილო, ასე არ არის?
ველი: დიახ.

მინა: რატომ არ გინდა შეილის გაჩენა?
ველი: შენ იცი, რომ ძალიან მიწად, მაგრამ ისიც უნდა გავიო, რომ არ შემიძლია. ეს დიდი უპასუხისმგებლობა იქნებოდა ჩემი მხრიდან, რადგან მე ვერ შევქმნი ადამიანს, როგორც მას თვითონ ენდობება, რომ იყოს. *(მინას შეხედის)*

სადღაც ეს შესაძლებელიც არის, მაგრამ ამის აღბათობა ისეთივე, როგორც ზღვის ნაპირზე ქვიშის კონკრეტული მარცვლის პირდა. სამწუხაროდ ადამიანები შეილის გაჩენას მხოლოდ საკუთარ თავს ითვალისწინებენ, როდესაც უფრო მეტად იმაზე უნდა ფიქრობდნენ, ვინც უნდა გაჩნდეს. ის კი ისეთი უნდა იყოს, როგორც თვითვე ენდობება, რისი უზრუნველყოფაც მშობლებისთვის შეუძლებელია.

მინა: სიმართლე გითხრა, შენ ნათქვამს ვერ გხვდები. მხოლოდ ის ვიცი, რომ ის შენი შეილი იქნება.

ველი: მცირე ხნით.
მინა: *(შეშფოთებული)* რას გულისხმობ?

ველი: შეილი იქნება მანამ, სანამ ისეთი იქნება, როგორც მე მინდობება, თუკი სავითოდ იქნება ასეთი. შედეგად ვაიზრდება, დამოუკიდებელი გახდება და შეეცდება საკუთარი თავი იპოვოს. შეეცდება ისეთი გახდეს, როგორც თვითვე ენდობება.

მინა: ხომ შეიძლება, რომ ასე არ იფიქროს?

ველი: შესაძლოა ასე არ იფიქროს, მაგრამ შესაძლოა ასეც იფიქროს. ალბათობა არსებობს და ის უნდა გავითვალისწინოთ, თუმცა ეს ყველაფერი არ არის. არსებობს საფრთხეც. ხომ იცი, რომ მე კუნთების დისტროფიით ვარ დაავადებული? მას იცი, რომ ერთ დღეს შესაძლოა ლოკინად ჩავეყრდნე? ხოდა რომ რაიმე შემთხვევას ავადმყოფი რომ შეიქნას და მთელი ცხოვრება ეტლში მოუნოს გატარება?

მინა: ახლა მიგხვდი. შენ პასუხისმგებლობის გემინია. ნამდვილად ასეა.

ველი: სრულებითაც არა. მე მზად ვარ პასუხისმგებლობისთვის. შემიძლია მშეს გაუწესწირო თვალი და ასე დადებრძავედ ან არ ვისუნთქო. არა, ეს არ იქნება საკარბილი. მე მზად ვარ არ მეპატიოს დანაშაული, არ გამოვიხსიოდ და ასე ვიცხოვრო რაც შეიძლება დიდხანს. აი, რა იქნებოდა ქმშიზორი სასჯელი, მაგრამ ვერ დავუშვებ იმას, რომ ვიღაც ჩემ გაბო იტანჯებოდეს. *(მიმართავს მინას)* მოდი ჩემთან, ჩემო პატარავ. *(შუხლზედ დაისვენებს)* შენ ხომ იცი, რომ ძალიან რთული ბრძოლა მაქვს დანაწყებელი?

მინა: ვიცი, მაგრამ ნუთუ ეს ამდენად მნიშვნელოვანია?
ველი: ცვდილობ უარყოფის, რა გამოცდილებაც აქამდე მიმიღია, მინდა ნაწვალო, გაგაუქმო ყველაფერი, რაც

ჩემი არ არის; და სუფთა ფურცლიდან დავიწყო, რათა მე შევიძინო ცოდნა, მე ავირჩიო ადამიანები... ისე მინდა ნაწვალო, როგორც თითის გადასმა ნაშლის თრთოვლს ფანჯრად, რის შემდეგაც მის გამჭოლ სურათი გამოჩნდება.

მინა: სა სურათი?

ველი: ჩემი სურათი, ჩემი ნამდვილი სახე. მე უნდა გავხედე ყველასა და ყველაფერისგან დამოუკიდებელი, პირდა მიხედვად მე, ანუ ისეთი, როგორც ვიქნებოდი, დედამინაზე მარტო რომ ვიყო.

მინა: რატომ, რატომ გინდა ეს?

ველი: სხვაგვარად მე ვერ ვიპოვი საკუთარ თავს.

სცენა II

(იგივე ოთახი. ველები წინ და უკან დადის და საკუთარ თავს ესაუბრება. მინა სარაულზე ზის. ველები მას უნდა ამჩნევს.)

ველი: ორი წინ მაქვს გამაკეთებელი: უნდა ვიპოვო ჩემი თავი და უნდა გავხედე დიდი პოეტი, იმისთვის, რომ ვიპოვო, უნდა დავკარგო, გაგაუქმო, ნაწვალო. ნაწვალო... ნაწვალო... ყველაზე მეტად მაშას მუშაობა შეუწყობს ხელს. ამ გზით ორ კურსდღეს დაიქუქვ. უნდა ნაწვალო ყველაფერი. ბავშვობა, მეგობრები, სკოლა, მშობლები...

მინა: მშობლებმა რა დაგიპავეს?

ველი: არაფერი. მეტსაც გეტყვი, ძალიან კარგი ხალხია, მაგრამ მსურს ისე მივიღე მათთან, როგორც უცხოებთან, და თუ ამის შემდეგაც მივიღებ, ესე იგი, ჩემები გახდება, მანამდე კი ვეფაფერი. სამწუხაროდ, ეს ასეა და ასე უნდა მივიღებო ყველაფერი. მაგრამ თ, ეს არასწორია, არასწორია ის, რომ ასეა საჭირო.

მინა: მე მგონი, გფი ხარ!

ველი: არა, გფი არ ვარ.

მინა: უკვე ორი დღე დე ღამეა საკვებს არ იღებ. *(საკუთარ თავს შიმშილებს)* არ ესმის, ცუდად ხომ არ არის? *(ველები)* ჯორჯო, ჯორჯო. *(ველები გამაზრდავს)* გესმის? *(ველები)* უნდა მიიღო, მცირედი მაინც.

ველი: არავითარი კვება. მხოლოდ ასე. დიდი ნაწარმოები მხოლოდ ტანჯვით იქმნება.

მინა: თუ ტანჯვა იმის განცდას განიჭებს, რომ ქმნილია დასუსტულია; რაც მეტად იტანჯე, მით უფრო ღირებულად ხომ არ გქმნება ნაწარმოები? ასე ხომ არ არის?

ველი: დიახ, ეს ასეა და ეს ყველა ნაწარმოებში ითხლება. ეს ჩანს. ერთი მწერალი ამბობდა, მხოლოდ ისეთი ლიტერატურის მწერა, რომელიც სისხლით არის დანერგილი. საკვებით ვეთანხმები. საკვები ჩემი მტერია. მისი უფლები ლუკმა სტრიქონს მპარავს. მე ვებრძვი მიმიძლი, თუმცა დროდარბო მამარცხებს ხოლმე. დიოგენე თურმე მუცელზე ხელის გადასმით ცდილობდა მიმიძლიოს სოკვას. არ გამოისდოდა და ეს არც მე გამომდის. რაღაც ზედა უნდა მოვიფიქრო.

მინა: ჯორჯო, ასე დაავადდები.

ველი: მე უკვე ვარ ავად!

მინა: ისე ამბობ, თითქოს ცმაყოფილი იყო, რომ ავად ხარ.

ველი: არა, ჩემი სენი უსარგებლოა.

მინა: ხასარებელი სენი არსებობს?

ველი: მოცარტი, პასკალი. ორივეც თავის ტვინზე მსგავსი ღრმულია აღმოჩენილი. ეს დიდი ტკივილის მი-



ზენე იყოს მაგრამ მათ გენიალობასაც უწყობდა ხელს. ო, რამდენს მივცემდი ამ ღრმულუბში! სამწუხაროდ, მე ასეთი იღბლიანი არ აღმოვეჩნდი. ამიტომ თვითონვე უნდა შევქმნა ტინის სრულიად გამოყენების გზები.

მინა: შიშველია ეს გზა? შიშველი ხომ სხეულებს აძაბუნებს და სენის განვითარებას უწყობს ხელს?

ველი: სხეული მორეზბარისხოვანია. სხეული მე უნდა მემსახუროს, ჩემ შიხანს. ხელემ მხოლოდ იმისთვის მჭირდება, რომ კალმის დაჭერა და წერა შეეძლო, ფეხები სანერ მაგიდამდე მისასვლელად, თვალები იმის ნასაკითხად, რაც დავწერე. საცეკობო, ამბობ. მაძლარი კაცი არაფრის მაქონისია. საცეს კუჭი ცარიელ ტინს ნიშნავს. ეს ასეა.

მინა: არ ვიცი, არ ვიცი. შინიდან არ გადინარ, არავისთან ურთიერთობ, გარდა იმ შენი ბრუნოსი.

ველი: მე ვმუშაობ და ყოველი ადამიანი, ყოველი მოვლენა აფგებს იკავებს ჩემ გონებაში და, შესაბამისად, ხელს მიიღის. რომც გავიდე, რისთვის უნდა გავიდე? გარეთ არაფერი ხდება იმაზე საინტერესო, ვიდრე მე შემძლია წარმოვსება.

მინა: მეგობრებს რატომღა კარგავ? ისინი ხომ შენთვის რასაც არავის მოუხვევია?

ველი: მეგობრების უმეტესობა სკოლიდან მყავს. შენ მართალი ხარ, ისინი მე ავირჩიე, მაგრამ სკოლაში, რომელშიც ჩემი ვსწავლობდი, მშობლებმა მიმიყვანეს. მე მიყვარს ის ბიჭები და ჩემთვის მძიმეა მათი დავინტობ, მაგრამ იმ ცოდნით ცხოვრება, რომ ამ ადამიანებს არჩების საფუძვლად სხვათა გადაწყვეტილება დევს, კიდევ უფრო მძიმეა.

მინა: ნუთუ არ შეგიძლია ისე მიიღო ყველაფერი, როგორც არის, როგორც ამას სხვა ადამიანები აკეთებენ?

როდესაც მისი რომანი გამოქვეყნდა, მეორე მსოფლიო ომი ახალი დამთავრებული გახლდათ, ჭრილობები კი ჯერაც მოუშუშებულე. ვასტანტი დიორენმანტმა შეხვებისა-ზოგადოებას, რომ პრობლემა, რომელმაც ნაციზმი წარმოშვა, ჯერ არაა გადაწყვეტილი, რომ დასავლურ დემოკრატიას ვერ კიდევ არ შეუქმნის ძლიერი ჯეტივები ავანტიურისტიებისაგან თავდასაცავად, ავანტიურისტიებისა, რომლებიც ცხოვრობენ კანონს გარეშე. საამისოდ დიორენმანტმა თავის რომანში მამინდელი შვეიცარიის სრულყოფილი სოციალური და ფსიქოლოგიური ანალიზი მოახდინა. ეს ძირითადად პერსონაჟთა გიგანტურ ფსიქოლოგიური პორტრეტების შექმნით ვიზდა. ეს თანაბრად ეხება როგორც მოთავს გმირებს, ისე ემიგრირებულსაც (შმიდის საცოლე ანა, ქალბატონი მუნდერი, პოლიციელი — კენანი, ბლატერი, შარნელი, ოფიცინატი გოგონა, მერნალი). მათი სახით დიორენმანტმა მამინდელი შვეიცარიის ტიპური ადამიანები გვიჩვენა. ყველაფერი ეს იმდენად ოსტატურადაა გაკეთებული, რომ მკითხველს თვალწინ წარმოუდგება არა მხოლოდ შვეიცარია, არამედ საერთოდ დასავლეთ ევროპა. დასკვნა მოკლე და ერთმნიშვნელოვანია: ასეთი სიზოგადოება, თავისი ფიზიკური, მორალური თუ ინტელექტუალური პოტენციალით, ვასტანტმა წინაშე უძლიერია.

როდესაც რომანზე მუშაობა დაგასრულე, ეს მთელი ძალით შევიგრძებენ, იმდენად, რომ შეკარწუნდი კიდევ“ — იგონებად შემდგომში დიორენმანტი.

დღეს ყველასათვის ცხადია: ის, რომ ომიო დანგრეულ ევროპას ახალი ავანტიურისტი არ დაეუფლა, ამერიკის უკეთობელი შტატების დამსახურებაა. ვანიგრტონის სწორმა პოლიტიკამ, რაც უწინარეს ყოვლისა დასავლეთ ევროპის სახით ძლიერი, დემოკრატიული ძაყყენის შექმნას გულისხმობდა, განამარობა კიდევ დასავლური დემოკრატიის, ევროპული ცივილიზაციის გადარჩენა.

ტრიუმფალური სვლა

— ვაშინგტონს დიდი მადლობა, მაგრამ ჩვენც უნდა ვთქვათ ჩვენი საკუთარი სიტყვა! — წერს ერთ-ერთ პუბლიცისტურ სტატიაში დიურენმატი. აღსანიშნავია, რომ მწერალს „იანკები“ სულაც არ ემიტნავენებოდა. მისი სიტყვებიც ანტიკომერციულად განწყობილი ინტელიგენტის სიტყვებია, რომელიც სიმამლი-ანტიპათიების მოუხედავად იძულებულია სიმართლე აღიაროს.

დღეს ევროპამ „გასტამანების“ პრობლემა უკვე გადარწმუნა. ამენდა სამოქალაქო საზოგადოება, ავანტიურის სტილი აქ უკვე ვეღარ აღზევებდნენ, მოუხედავად ამისა, „მოსამართლე და მისი ჯალათი“ დღესაც უდიდესი პოპულარობით სარგებლობს. მისი მბატკრული სიძლიერე, ადამიანის სულის კვლევა თანამედროვე მკითხველსაც აღფრთოვანებს. ამიტომ ეს რომანი გერმანული სკოლების სასწავლო პროგრამებშია შეტანილი და სამართლიანად შეეფიცა მე-20 საუკუნის დასავლეთ ევროპული ლიტერატურის ოქროს ფონდში.

„მეშინია, გარდასის ტყვე არ გავხდები“

დიურენმატი მსოფლიოში სახელგანთქმული მწერალი გახდა, თუმცა სსრკ-ში კარგა ხანს არ აღიარებდნენ. სტალინის ეპოქაში „როგორც საბჭოთა იდეალებისათვის უცხო“ (ვცხოვროვებ კოჩეტოვის ფორმულით) იგნორირებული იყო. სერგეი ბავინის ცნობით, დიურენმატის თხოვნებითა რუსულ ენაზე გამოცემა მხოლოდ 1961 წელს დაინიშნა. პირველად მოთხოვნა „ავანია“ ითარგმნა, რამდენიმე წლის შემდეგ კი ეურნალმა „ვოკრუსე სვეტამ“ რომანი „მოსამართლე და მისი ჯალათი“ გამოაქვეყნა.

ლოტა აღფრთოვანებული იყო მეუღლის ნარმატიებით. მის ბედნიერებას საზღვარი არ ჰქონდა, მაგრამ ერთხელ ბერნლე სტუდენტებთან შეხვედრიდან დიურენმატი შინ აღელვებული დაბრუნდა.

- მისხა რაიმე? — შეკითხა ლოტა.
- მისხდა, ერთი ლამაზი სტუდენტი გოგონა გავიცანი.
- ოჰო! პირველი ჰემანი რუსული გაქვით?
- გთხოვ, ნუ დამცინი. მას მე კი არა, ბერლახი შეუყვარდა.
- რაო?
- ტირილ-ტირილით მკითხა, ნუთუ ბერლახი მართლაც მოყვდამ? რასაკვირველია, დავამწვიდე და ვუთხარი, არა-მეთქი. ნეტავი გენახა, სახე როგორ გაუწანადა, სხეებიც ალტაცებულნი იყვნენ.
- მეერ რაა ამაში ცუდი?
- როგორ თუ რა? მკითხველთა ნერილებს ყოველდღე ვიღებ, ყველა ბერლახის ახალ-ახალ თავგადასავლებს ითხოვს.
- და ძალიანაც კარგი. შენ დეტექტიური რომანები უნდა წერო.
- ასე ბერლახის ტყვე გახვდები, — აღმოვადა დიურენმატი, — როგორც კონან დოილი გახდა შერლოკ ჰოლმის ტყვე!
- ეგ შენზეა დამოკიდებული, — მიუღო ცოლმა.

დიურენმატი ენერგიულად მოღვაწეობდა დეტექტიურ ენაში. მისი ყოველი ნაწარმოები მსოფლიო ბესტსელერად იქცა და მრავალ ენაზე ითარგმნა.

— ეს იყო ნამდვილი ტრიუმფალური სვლა, — წერს სერგეი ბავინი.

კომისარი ბერლახი მისი შემდგომი რომანის „ექვე“ მთავარი გმირია. აქ ბერლახმა უნდა დაამტკიცოს, რომ რესპექტაბელური ექიმი სინამდვილეში ნაცისტის დამნაშავეა. კომისარს ხელთ არავითარი ფაქტი არა აქვს, მხოლოდ ეჭვი და მეტი არაფერი. ბერლახიც მისთვის დამახასიათებელი თავგებულადებული სიმამლიც იწყებს თამაშს. ის ამ ეჭვიტანაილი ექიმის კლინიკაში წევმა. რომანში ოსტატურადაა ნაწევრები ფსიქოლოგიური დუელი ექიმსა და ბერლახს შორის. პოლო-პოლო კომისარი იმარჯვებს და ამტკიცებს: სხენებული ექიმი მართლაც ნაცისტი დამნაშავეა, რომანს ნარმატიება ხუდა და ეკრანიზებულიც იქნა, მაგრამ დიურენმატი უკმაყოფილო იყო:

— იმის გაკეთება, რაც ჩაიფიქრე, მხოლოდ ოცდაათი პროცენტით შეძელი, — აცხადებს მწერალი „ლიტერატურნიაა გაზეტსათვის“ მიცემულ ინტერვიუში.

დიურენმატი მუდამ შედეგის შექმნისაკენ მიისწრაფოდა. იგი წერდა, რომ დეტექტიურ ენაში მისი მუდმივი მუშაობა სულაც არ ნიშნავს, რომ გასართობი ბელეტრისტიკის შემქნა სურს. „შინამდვილმა არა აქვს, რა განმისაა ჩემი ნაწარმოები, მთავარია, რომ მასში დამსული იყოს სერიოზული პრობლემები და გაკეთდეს სრულფასოვანი ფსიქოლოგიური ანალიზი, ეს ჩემი პრინციპია“. თუმცა პრინციპის დაცვა დასავლეთშიც კი არაა იოლი.

— ჩვენთან არ არსებობს ცენზურა, — წერს ფრანსუაზ სავანა, — მაგრამ არსებობს ბაზარი. გინდა-არ გინდა, ამა ის ანაგონი უნდა იყო.

დიურენმატსაც არაერთხელ მოუხდა ამ ფაქტორისათვის ანგარიშის გაწევა. მწერალი იგონებს, თუ როგორ მიიწვიეს კონიში, რათა დეტექტიური ფილმის სერიალი დაენერა. დიურენმატი დათანხმდა და კონტრაქტიც დაიდო. ასე გაჩნდა კინოსცენარი „აღმტყმა“. სიუჟეტი მარტინ ვია: ვიღაც მანიაკი სამართლებრივ ყველს ჭრის 10-12 წლის გოგონებს. პოლიციის კომისარი მათი ტყვეები ძვრება, რათა დამნაშავე დაიჭიროს, მაგრამ ყველა დაცვობა ამაოა. ერთ-ერთი დაღუპული გოგონას ყველა ალტექმას ჩამოართმევს მათთვის, რომ მისი შვილის მკვლელს დაიჭიროს. მალე პოლიცია ვიმე ფონ გუნტენს აპატირებს, რომელსაც სექსუალური დანაშაულისათვის სასჯელზე ერთხელ უკვე იხდიდა, ახლაც ყველას დამნაშავე გუნტენი ჰჯონია. მოკლული გოგონას დედაც საგანგებოდ ინახულებს მათთვის, რათა მადლობა გადაუხადოს. საქმე ოფიციალურად წინადადება გახსნილად. ახლა ფონ გუნტენი სასამართლოს ენაშე უნდა წარსდგეს. მათვის კი იორდანიში გამგზავრებას სთავაზობენ. კონტრაქტის თანახმად მან იქაური პოლიციის რეორგანიზაცია უნდა მოახდინოს. ეს კარგად ანაზღაურდებად სამუშაოა, დაბრუნების შემდეგ კი კარირული ნინსვლა გარანტირებულია.

— იმ დროისათვის მე უკვე პენსიონერი ვიქნები, — ეუბნება მათვის პოლიციის უფროსი — და ჩემს ადვილს

თქვენ დაიკავებთ, აკი ჩემი ყველაზე ნიჭიერი თანამშრომელი თქვენა ხართ.

მუხუდგავს ამისა მათი გამგზავრებულ უარს აცხადებს და დახედავთ ამტიკიცებს: მკვლელი თავისუფლად დანავარდობს, დაკავებული გუნტინი უდანაშაულოა. უფროსის მის სიტყვები სასაცილოდ არ ჰყოფნის. მაინც მათეი შეგულებას იღებს, რათა კერძო ძიება დაინწყოს საკუთარი ძალითა და რისკით. კომისარი ჩქარობს, რადგანაც ერთი თვის შემდეგ ფონ გუნტინის სასამართლო პროცესისა დაინშნული.

— ჩემგან მოითხოვდნენ, რათა სურათი ჰეპი-უნდით დამთავრებულიყო, — ამბობს ერთ-ერთ ინტერვიუში დიურენმატი.

ასევე მათეი. მარტოხელა დამიმა, ამ შემთხვევაში კომისარს მოთიემ, ყველას გეშეკიცვა თავისი სიმართლე და ნამდვილი დამნაშავე შეიყვრო. უდანაშაულო ფონ გუნტინი გაათავისუფლეს, ყველაფერი ისე მოხდა, როგორც ამერიკულ დეტექტიურ მელოდრამებშია ხოლმე. მარტოხელა გემარმა, რომელიც კეთილი, ძლიერი და ჭკვიანია, ბოროტება ბეჭებზე დასცვა. მაყურებელმაც სურათი აღტაცებით მიიღო, თუმცა დიურენმატი უკმაყოფილო იყო: — ესა ზღაპარი დიდებულთათვის — განაცხადებს მწერალი თავის რადიო-ინტერვიუში.

დიურენმატი ჩაუჯდა რომანსა. „მსურდა რეალისტური ნაწარმოები შექმენა და არა ის, რაც საზოგადოებას გულს მოეზანდა“, — წერდა შემდგომში დიურენმატი. სათაური უცვლელი დარჩა, სქემაც იგივე იყო: მანიაკი საპროტოქოლი ჭირს ეყვს 10-12 წლის გოგონებს, რომლებსაც მანამდე მოკლადით უმსახინებდა. ერთ-ერთი დაღუპული გოგონას — გრიტილი მოზერის — დედა აღტიმას ჩამოართმევს კომისარ მათიის, რომ მკვლელს აუცილებლად დაიჭროს. მალე დასატიმრებულ მებრუნდომანე ფონ გუნტინს. სექსუალური დანაშაულისათვის ის ერთიხელ უკვე იყო სასამართლევი, ამიტომ გუნტინი ყველას დანაშავე ჰგონია. უცვლელია იორდანიაში გამგზავრების სცენაც. მოუღენების შემდგომ განვითარებაში კი მწერალიმა ძირეული ცვლილებანი შეიტანა.

ფილმში მათეი ამტიკიცებს გუნტინის უდანაშაულოებას. რომანში ეს ასე არაა. კომისარმა იცის, რომ გუნტინი უდანაშაულოა, მაგრამ ამის დაბეჭდვას ვერ ახერხებს. გუნტინიც თვითმკვლელობით ამთავრებს სიცოცხლეს. ფილმის მსგავსად რომანშიც მათეი უარს აცხადებს იორდანიაში გამგზავრებაზე. ვინმე ჰელდონი და მის ქალიშვილ ანე-მარისთან ერთად ბენზინის წერტეს ხსნის და იქ სახლშია. მანიაკი სავარაუდოდ ამ ტრასაზე მოძრაობს. ანე-მარი 10-12 წლისა და უარდნობითაც ძალზე ჰგავს მათ, ვისაც მანიაკი ერჩის. მალე ანე-მარი შეატყობინებს მათიის: კეთილი ჯადოქარი გავივანი, მან მოკლავდა მარჩუაი. მათეი უბალ შეატყობინებს პოლიციას, თუმცა დადარჯებულნი ამაოდ ელან მანიაკის მოსვლას. არავინ მოდის. პოლიციელები იეპურობას სტოვებენ, მხოლოდ მათეი რჩება პოსტზე:

— დავიციდი, დავიციდი, იგი მოვა, უსათუოდ მოვა! გადის წლები. პოლიციის უფროსის შეატყობინებენ, რომ მილიონერ ფრანუ შოტს მისი ნახვა სურს. ქალი სულს ლეგს და სურს პოლიციის შეას რადაც მნიშვნელოვანი

უთხრას. მართლაც გამოირკვევა, რომ თურმე პატიცემ-მული ფრანუ თავის მოფერ ალბერტზე იყო დაქორწინებული, რომელიც მასზე ბევრად უმცროსი გახლდათ. ქალი მას ჩაგრავდა და ამ ნიდადავზე ალბერტს გასუეთიარდა ავადმყოფობა: ის სამართლებით კლავდა 10-12 წლის ქვარი, ნახვებთან გოგონებს, აქაოდ ზეციდან ხმა მესმისო. ასე მოკლა მან გრიტილი მოზერიც. ანე-მარისაც ალბერტმა აჩუქა შოკოლადი, მაგრამ როდესაც მანქანით გოგონასთან შესახვედრად გავმართა, ცისტერნას დაუგახა და მოკლა. ამრიგად, მათეი სწორად მოქმედებდა, მისი კათვლა მხოლოდ დასანანმა შემთხვევითობამ ჩამალა! პოლიციის უფროსიც გავმართება ბენზინის წერტინსავე, რათა მათიისთვის ეს ეთქვა, მაგრამ ყოფილ კომისარს უკვე აღარაფერი ესმოდა. არაფით გამოღწერებული ერთ წერტინს მიშტერიზია და ჯოტყად იმეორება:

— დავიციდი, დავიციდი, იგი მოვა, უსათუოდ მოვა...

ამრიგად, რომანი დიდად განსხვავდება ფილმისგან. დიურენმატი შექმნა არა გასართობი მელოდრამა, არამედ სერიოზული ნაწარმოები. ავტორმა გვიჩვენა მამოხდელი შევიცარის უტყუარი სურათი, დაგვიჩვენა ამ საზოგადოების ტიპური წარმომადგენლები. ესენია სხვადასხვა ფუნის, კლასის ადამიანები: მათიის უფროსი, პოლიციელი ჰენცი, მოსამართლე, პროკურორი, მებრუნდომანე ფონ გუნტინი, გლეხები თუ მოხუცი მილიონერი ფრანუ შოტი. მათი პორტრეტები იმდენად ესატყუარდა და დასატული, იმდენად სრულფასოვანადაა გამოკვლეული მათი სული, რომ მკითხველი თვითონ მიდის დასკვნამდე: ასეთ საზოგადოებაში მართლშაფულობის ზიმი შეუძლებელია, რადგანაც აქ გაბატონებულია კარიზმიზმი, ნებისმიერ კლასად პირადი კეთილდღეობის მოწყობის წყურქული, ფარისევლობა და ა.შ.

მათეიმ სერიოზულად ინაშა მოკლული გრიტის დედისათვის მიცემული აღტიქმა, პირად კარიზმა უარი განაცხადა და დანაშაულის გახსნას შეეცადა. ამით ის საზოგადოებას დაუპირისპირდა. შედეგიც კანონზომიერი იყო. ყველაფერი ეს დიურენმატმა აჩვენა არა პუბლიცისტური ხერხებით (როგორც ამას აკეთებდნენ ვალე, გლაუზერი, არნო ან რეალისტური დეტექტივის სხვა ოსტატები), არამედ ადამიანის სულის კვლევით, რამაც განაპირობა კიდევ ამ რომანის მნიშვნელობა.

— „ალბერტ“ აღბათ ერთადერთი შემთხვევაა მსოფლიო ლიტერატურაში, როდესაც ჯერ სცენარი და ფილმი, შემდეგ კი რომანი შეიქმნა, — წერს მიაი ტუროესკია, — ფილმი კარგი დეტექტიური მელოდრამაა, რომანი კი ნამდვილი შედეგრი.

ასევე დეტექტიურ ქაგამია გახვედრი ფსიქოლოგიური მოთხრობა „ავარიო“. კომპოზიციურ ტრასას მანქანა გაუფუჭებდა და იძულებულია ღამე სოფლად გაათიოს. ტრასის მასპინძელი მოხუცი, პენსიაზე გასული მოსამართლე აღმორჩნება. იგი თავის სტუმარს ეუბნება: ჩემთან სტუმრად ჩემი ყოფილი კოლეგები იკნობებანი: ყოფილი პროკურორი, აფეოკატი, ექს-ჯალათიცა გვყავს, იმით ვერთობო, რომ ძველ პროცესების გათამაშობთ, მავალითად, ვასამართლებთ ფანა დარკს, რაისტავის დანშევლებს, ერთხელ ფრიდრის დიდს გეგოვებ კი ჩამოკითვითიო.

ტრასაში ვაგოცობლდება. მას ხომ თვითვედვარი თამაში და ვართობა ძალზე უყვარდა. მასპინძელი განაგრძობს:

ცოცხალი ადამიანების გასამართლება ბევრად მასინტერესოვანი, ამიტომ როცა ჩემი სტუმრები თანახმა არიან, მათ ვასამართლებთო. ამას წინათ სტუმრად ერთი გერმანელი გენერალი გვეყავა და ის გაგასამართლო, ახლა, თუ ნებას მოგვცემთ, თქვენ გაგასამართლებთო. ტრასის სიამოვნებისაგან გაიბადრება. მალე სტუმრებიც მოვიდნენ. იშლება მეფური სუფრა და ტრასის „სასამართლოც“ იწყება.

განაწილის გამოტანა გულმოდგინე გამოიძიების გაორუმე შეუსაძლებელია. მოთხრობაშიც არახალხი სიძლიერითაა აღწერილი დაკითხვა, რომელსაც ტრასის ყოფილი პროკურორი, მოსამართლე და ვეკელი მოუწყობდა. ის ძველი ღვინოების თანხლებით მიმდინარეობს. „დაკითხვა“ ისე ვინტერესულად წარიმართა, რომ ტრასის ცხოვრების ყველა დეტალი გამოამზეურა. უბედურმა კომპოვიაციორმა მართლა ირმინა, მკვლელობა ჩავიდინო, და „სასამართლო“ განაწიენი (წინასწარუგანხალხი მკვლელობისათვის მას ჩამოხრობა მიესაჯა) სერიოზულად დაიჯერა. ტრასისმაც თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე. ასე მიმდინარეობდა მოთხრობა.

მეტიველესათვის აღნაბი საინტერესო იქნება შემდეგი ფაქტი: „ლიტერატურაშია გახუტასათვის“ მიცემული ინტერვიუში დორენმატი აღნიშნავდა, რომ „აგარიის“ ფინალი თავ მოეწონა და მეორე ვარიანტი დაწერა. აქ ტრასისი არც იკლავს, პირიქით, თავის მასინძლებს დასცინის: ოპ, ეს სულელი მოხუცები, საქმე გამოივლიათ და ესაო. მეორე დილით მასინძლებს ეწმევიდობება და არბივს დაუდგება ზახს. თამაში დამთავრდა, ბაბუსმაც გადაიარა. ცხოვრება ჩვეულ კალაპოტში გრძელდება, არაფერი შეცვლილა და არც შეიცვლება.

— ვინაა ტრასა? ჩვეულებრივი შვეიცარიელი, საშუალო კლასის წარმომადგენელი, დასავლური კულტურის პროდუქტი. არსებულს სინამდვილე აიძულებს ადამიანის მზის ქვეშ ადვილს მოპოვებისათვის იბრძოდეს. გამარჯვება ნებისმიერ ფასად უნდა მოიპოვო, ასეთია საზოგადოებრივი კრიდეო. ტრასისიც ამან აქცია დამანაშავად. მისი თვითმკვლელობაც მონანიებას, შესაბამისად, საშუალო შვეიცარიელის გაიდევალებას ნიშნავს, რაც სინამდვილეს ეწინააღმდეგება. ასე ვფიქრობდი, როდესაც ფინალის პირველი ნაწილი დავასრულე — გახუტება „ლიტერატურაშია გახუტას“ კორესპონდენტს დორენმატიც.

პირველი, ვინც მწერალს თავებში აუხილა, ლობა გახლდათ, რომელმაც ფინალის მცირე ვარიანტი სახტიკად დაიწერა. შემდეგში დორენმატის მეგობარი მხედველი და გამომცემლობის რედაქტორი იყვნენ. დაიხს, საზოგადოებაში ყველაფერი რაგზე არაა, ამიტომაც ადამიანთა სულემშიც ავარია მოხდა (დორენმატის სიტყვით, აქედანაა მოთხრობის სათაურიც), მაგრამ მონანიება ადამიანის უმთავრესი დანახალხითელი თვისებაა. ტრასისიც სიცოცხლედ თვითმკვლელობით უნდა დაესრულებინა, რადგანაც „დეკონსტრუქციის“ შედეგად მართლაც აღიქვა საკუთარი დანაშაული და ეს მის გაიდავალებას სულაც არ ნიშნავს — ასეთია რეალობა.

— არგუმენტები დამაჯერებელი იყო. მეც ძალაში პირველი ვარიანტი დაგტოვე, — ამბობს „ლიტერატურაშია გახუტასთან“ საუბარში დორენმატი.

კრიტიკოსები „აგარიას“ ერთსულენად შეეფიქრად აღიარებდნენ, მაგრამ ასევე ერთსულენად გამოთქვამდნენ შემფიქრებებს, რომ მასობრივი მეტიველე მის არ მიიღებდა. ნაწილობრივ ეს გამართლდა. „აგარიას“ ნაკლები წარმატება ხვდა, ვიდრე „აღიქვას“ ან „მოსამართლესა და მის ჯალაც“. ასევე წარუმატებელი გამოდგა მისი ეკრანისხაცაც. სამაგიეროდ, თეატრებში ტრეფიფიტი გაივდა ამ მოთხრობის მიხედვით დადგმული პიესა. აღსანიშნავია, რომ „აგარია“ მარჯანიშვილის თეატრის სცენაზე ბრწყინვალედ დადგა რეჟისორმა გ. ანთაძემ.

ყველა კრიტიკოსი (როგორც ევროპელი, ისე საშუალო) ამტკიცებდა: „აგარიის“ მიხედვით დადგმული სპექტაკლი თავისი სიძლიერით დორენმატის საუკეთესო პიესაა „ფიზიკოსებსაც“ კი აღემატებაო. ავტორს ამაზე გულთანად ეცინებოდა:

— სულაც არ მიამაჩნია „ფიზიკოსები“ ჩემს საუკეთესო დრამატურგიულ ქმნილებად. ვერ გამოვიდა, კრიტიკოსებს ასე რატომ შეუყვარდათ. „ფიზიკოსები“ პუბლიცისტიკაა და არა ხელოვნება. მხატვრული დონით ის „ხანდაზმული ქალბატონის ეიზოტს“ ბევრად ჩამორჩება. ჩემი პიესებში აღა ყველაზე ძალიან „მეტეორი“ მიყვარს, ალბათ იმიტომ, რომ ყველაზე იდუმალია.

„ფიზიკოსების“ მოქმედება ფსიქიატრიულ კლინიკაში ვითარდება. მისი მთავარი გმირია გენიალური ფიზიკოსი, რომელიც თავს შეშლილად ასაღებს. სინამდვილემ უდიდესი გამოგონების ავტორია და საზოგადოებას ამ კლინიკაში ემსახურება. ასევე შეშლილებად მოაქვს თავი კლინიკაში მყოფ კიდევ ორი ფიზიკოსი. მხოლოდ ფინალში ვიგებთ, რომ ეს სიმუღარია. სინამდვილეში ორივე დაზვერვის თანამშრომელია, რომლებიც სხეულზე გამოგონებაზე ნადირობენ. ნაწარმოების ფინალში ვიგებთ, რომ გამოგონებაზე კიდევ ერთი პერსონაჟი, საგვიეთის დიასახლისი, ნადირობს. მას ეს გაამდიდრებს მიზნით სჭირდება. ამით ავტორს სურს გვეჩვენოს, რომ თანამედროვე საზოგადოებაში ადამიანი თავისუფალი ვერ იქნება. დორენმატის გმირიც თავს მოიგონებებს, რათა ფსიქიატრიულ კლინიკაში მინაც იპოვოს თავისუფლება და მყოფდროება. აღმოჩნდება, რომ საგვიეთშიც კი ეს შეუძლებელია.

როგორც ყველა დეტექტივი, „ფიზიკოსებშიც“ არის მკვლელობები და გამოძიება, თუმცა არა გაცემა პეპი-ენ-დი. გამოგონებას კლინიკის დიასახლისი ეუფლება, რომლის წყალობითაც „მსოფლიო ტრესეს“ დაასრულეს და მილიადერი გახადება. მეცნიერი, რომელმაც გამოგონება შექმნა, სიცოცხლის ბოლომდე ფსიქიატრიულ კლინიკაში უნდა დარჩეს. მან ყველაფერი დაკარგა, დანაშაული ოჯახითა და დამთავრებული თავისუფლებით.

— დორენმატმა გაიმეორა ის, რაც უკვე აჩვენა თავის სხვა დეტექტიურ ნაწარმოებებში, — ნურს ტიპარი კოსსტიკი, — ანუ, რომ თანამედროვე დასავლური დემოკრატია ბორიგების წინაშე უძლურია, შესაბამისად აქტიუალურია პრობლემა, თუ ვის ბელში აღმოჩნდება მეცნიერულ-ტექნიკური რეჟიმის მიღწევის მიღწევის. პიესაში ამას გაამდიდრებს მონაწირეული ფსიქიატრიული კლინიკის დიასახლისი ეპატორებმა, მაგრამ სომ შეიძლებადა რო-მელიმე ფანტაზიკოსი მინაპის ხელში ჩაგარდნილიყო? ეს კითხვა უფრო სიმშვენიერია დასაძლული და ამ სიმშვენიერს კიდევ მეორე აძლიერებს ღრმა ფსიქოლოგიური ანალიზისა

აღსანიშნავია, რომ „ფიზიკოსების“ ეკრანისხაცისა

(ის ცერმონებში კინემატოგრაფისტებმა განახორციელეს) წარმოიქმნა ახალი პრობლემა. დიურენმატი წერს: „რეჟისორმა მთხოვა შემეცვალა ფინალი. ისე ცერმონორულად მემუდარა, რომ დაფიქსირებულიყო“.

პიუსისაგან განსხვავებით ფილმში უპიკინდია. საციურეთის დიასახლისი მიხილულულია და მას პოლიცია აპატიმრებს. გენიოს ფიზიკოსი კი ტყვეობიდან ათავისუფლებენ. ის თავის ოჯახს, თავის კლდეებს უბრუნდება. საკადრისად ისევება პიროვნება, რომელმაც მას ცოლი წაართვა. ფილმში ის საციურეთის დიასახლისის თანამშრომელია და გამოყვანილი. სიმართლე იმარჯვებს, ბოროტება კი დათრგუნულია. ასე მთავრდება ფილმი.

— ყველაფერი პოლიციურადი მელიორამის სტილში იქნა გადაწყვეტილი, — ამბობს ერთ-ერთ ინტერვიუში დიურენმატი.

„ფიზიკოსებმა“ სსრ კავშირში ფრიად საინტერესო გზა განვლია. ორიოდეწლიანი განწყობილი საბჭოთა მწერლობის მას მტრულად შეხედნენ. ალექსანდრე ჩაიკოვს კი წერდა, დიურენმატმა მართალია კაპიტალისტური წყობილება აწილა, მაგრამ ვერ აჩვენა რევოლუციური ძალეტი, რომლებიც მას ბოლოს მოუღებენ. დიდი კამათის შემდეგ დათანხმდნენ იმას, რომ პიუსა საბჭოთა კავშირშიც დაეცვათ. ანატოლი რიბაკოვის ცნობით, გადამწყვეტი ლენინი ბრენენევის პოზიცია გამოკვდა, რომელმაც განაცხადა: „ფიზიკოსები“ დიდი ინტერესით წაუკითხე. მართალია სოციალისტური რეალიზმის ჩარჩოებში ვერ თავსდება, მაგრამ ნამდვილი ოსტატის შემქნელია, ამიტომ ჩვენი მაცურებელი მას უნდა იცნობდესო“.

პირველად დიურენმატმა პიუსა ვილნიუსში დადგეს, შემდეგ ამას მოჰყვა დადგმები რიგაში, მოსკოვში, კიევიში, მინსკში, ბაქოში, თბილისში.

— ყველაზე კარგად „ფიზიკოსები“ საქართველოში დადგეს, — წერს ცნობილი დრამატურგი მიხეილ შაქარაივი. დიურენმატის ეს პიუსა ჩვენში გულთბილად მიიღეს. ის არაერთხელ დაიდგა გზინობედოვის, ქუთაისის, რუსთავის თეატრის სცენებზე. მაცურებელს გულზე მოხვდა ის გამამფრებელი ვენებები, რომლითაც პიუსა გაჯერებული. ქართულ სცენაზე დადგმული „ფიზიკოსებიც“ უდიდესი წარმატებით სარგებლობდა.

დიურენმატის რომანია უმარადესობა ეკრინობებულია. ამ დროს არაერთი კაზუსი მოხდა. უნიანარის ყოვლინა ეს „მოსამართლესა და მის ჯალათს“ ეხება. მისი სცენარი თვით დიურენმატმა დაწერა. ამ დროს მას და ფილმის რეჟისორის პიუსის მწვავე დისკუსიები გაჩაღდა.

— რეჟისორს „შავი კინოს“ ჩვეულებრივი ნიშნის შექმნა სურდა, — წერს დიურენმატი, — მისი მიზანი დეტექტიური მელიორამის გადაღება იყო, მელიორამისა, სადაც არავითარი პრობლემა არ იქნებოდა დასმული, აქაოდაც მაცურებელი ფილმს მხოლოდ გართობისა და დასვენებისათვის უყურებდნენ.

დიურენმატი ამას გადაჭრით ნინ აღუდგა. „ჩვენი კამათი მწვავე და ხანგრძლივი იყო, — წერდა შემდგომში დიურენმატი, — ბოლო-ბოლო ორივე მხარემ დათმო. რეჟისორი დათანხმდა, სცენარში ჩემი შესწორებები შეეტანათ, მე კი მისი ზოგიერთი წინადადება გავიზიარე“.

ფილმში გატანაში ყოფილ ნაცისტადა გამოყვანილი. მას უპირისპირდება ბერალხი, დემოკრატისა და ჰუმანიზ-

მის იდეალების უსაზღვროდ ერთგული. ფინალი ვიგებთ, რომ ბერალხს ეხმარებიან მოკლული შმიდის სატროლი ანა და პოლიციელი ბოტატი. ჩაიკოვ მათი დახმარებით აწილა. შეცვლილი ფინალიც, ფილმში ჩაიკოს აპატიმრებენ. ამრიგად, აღარა გვყავს ეული გმირი, რომელიც ბოროტებას მარტოც ებრძვის. საზოგადოებაც არც ისეთი უსუსურია, როგორც ეს რომანშია დახატული, და მას როგორც გატანა-ნებთან, ისე ჩანცებთან გამკლავებაც ძალეში.

— როდესაც ფილმი ეკრანებზე გამოვიდა, მართალია ასე იყო. დასავლეთშია დაამტკიცა, რომ გატანათა დამარცხებაც შეუძლია და ჩანცების მხილებაც, ასე რომ, რეალიზმიდან გადახვევა ოდნავადაც არ მომხდარა, — მიიჩნევს ჯონ ლე კარი.

დიურენმატის შემდგომი დეტექტიური რომანებიდან აღსანიშნავია „მართლმსაჯულება“. მასზე მუშაობა მწერალმა 1957 წელს დაიწყო და 1985-ში დაასრულა.

— ამ რომანის შექმნა ფრიად სპეციფიკურ პირობებში მიმდინარეობდა, — წერს სერგეი ზავიჩი. — ლუტკა მძიმედ გახდა ავად, დიურენმატმა კი საყვარელი გაიჩინა. ეს ფაქტი მას ძალზე თრგუნავდა. საყვარელი ასეც ვაუწყებდა: „ამირეალური პიროვნება ვარ, ლუტკას ძალისა და უწყვეტი, ყველაფერი ხელს მიწყობდა, მე კი, როგორც კი ავად გახდა, ვუღალავტა“.

საყვარელზე დაქორწინება მხოლოდ მას შემდეგ გადაწყვიტა, რაც ლუტკა გარდაიცვალა. ცოლის სიკვდილმა მასზე იმდენად დაამარტავი ზეგავლენა იქონია, რომ ერთხანს წერასაც შეეშა. ამ მდგომარეობიდან დიურენმატი საყვარელმა გამოიყვანა, რომელიც მანზე ვერ არ იყო მისი ცოლი. კალმა რომანის რაღაც ნაწილი დაიწერა დიურენმატმაც ეს თავები ხელახლა დაწერა. რომანზე მუშაობას ისინი დაქორწინების შემდეგაც განაგრძობდნენ.

„მართლმსაჯულება“ ყურადღების ცენტრშია მკვლელობა. თავდაპირველად თითქოს ყველაფერი წაითქია. მკვლელი მხილებულია და სასჯელსაც იბდის. უკვე საკანში მყოფი იგი სათავაზობს ახალგაზრდა ადვოკატ მუტის, ხელახლა გამოითქოს მისი საქმე. მუტის ცენტრულია შეუდგება ძიებას. მას არ ამჯობებს ის, რომ მისი საქმიანობა დაგვიანებულია (მემთხვევითი არაა, რომ მისი გვარი მუტია, მაკ გერმანულად გვიანს ნიშნავს). დაჭრებული ძიება გამოიწვება შედეგს. ამ დროს ნათელი ხდება საზოგადოების ტყუილარები სხე, საზოგადოებისა, რომლის ნიაღშიც ხსენებული დანაშაული წარმოიშვა, თუმცა მთავარი კვლევაც ადამიანის სულის ანალიზია. ავტორი ამას ჩვეული ოსტატობით აკეთებს.

პიუსი

დიურენმატი ლიტერატურაში დარჩა უნიანარის ყოვლისა როგორც დრამატურგი.

„მის პიუსებს ფილოსოფიურ ტრაქტატებად აღვიქვამ, — წერს ადვოკატი ფელინი, — ეს „ფიზიკოსებსაც“ ეხება, სადაც პუბლიცისტკია დასაშვებზე მეტია.“

დიურენმატმა-მწერალმა შექმნა დეტექტიური ქარგაში გახვეული ნამდვილი შედეგები. ისინი სამართლიანად შევიდნენ მე-20 საუკუნის ევროპული ლიტერატურის ოქროს ფონდში.

ვახტანგ ჯავახიძე

ციკლიან — „ნიკვ გალაკტიონი“

პოეზიის ჰუმანიზმი

ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსებს მისი მგებობები და ნათესავები კარგად იცნობდნენ, მაგრამ ვერაინი ამოიცნო. 1858 წელს ილია ჭავჭავაძემ როგორც კი ნაიკითხა, მთელი ღამე ვერ დაიძინა და უცებ „ალმობარმა“ ბარათაშვილი

1858 წელს ილიამ ვაჟას პირველი რამდენიმე ლექსი და პირველი პოემა ნაიკითხა და დახეჭდა და განაცხადა:

— არა, ჩვენ, ძველებმა, ახლა კალამი ძირს უნდა დავდეთ! გზა ვაჟას უნდა დავუთმოთ.

უკანასკნელ ცამეტ წელიწადს ილიას ლექსი არ დაუწერია და ახის მიზეზი იყო აკაკი: ილია მიხვდა, რომ აკაკი „სხვა იყო“.

რომ არ მოეკლათ და თორმეტ წელიწადს კიდევ რომ ეცოცხლა და გალაკტიონის „არტისტული ყვავილები“ რომ ნაიკითხა 1919 წელს!

არადა, ამჯერად ჭამაგიკრმა ორმოცი წლით დაიგვიანა და მას მოულოდნელი და უცნაური სახელი ერქვა: სუ-ი-ცი-დი!

თითქოს ნიღაბიდან გამოიხიდა

ვახტანგ გურგენიძის მიერ 1955 წლის 9 ივლისს ვანში გადაღებული ფოტოსურათებიდან ერთი გამოირჩევა: გალაკტიონს მარცხენა ხელს ტურქეთთან მიუტანია და საითკენღაც ქვემ-ქვემ გაიყურება. რა თქმა უნდა, არ იცის, რომ ფოტოაბარატის ობიექტივი დაუმინხეს.

იმ დღეს ოცზე მეტი ფოტო გადაუღეს: ყველგან ჩვეულებრივი გალაკტიონია: ესალმება, საუბრობს, ლექსს კითხულობს, სადღერძოდლოს წარმოასვენებს, იცინის კიდევც... ეს ერთია განსხვავებული: მიუხედავად იმისა, რომ მრავალრიცხოვან თანამეგობლებთან შორის განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა, წამით მაინც ვაძევცა სინამდვილე და, რაკი ჩასაფრებული ობიექტივი ვერ შეამჩნია, ნიღბიდან გამოიხედა. ჩანს, ეს უჩვეულო პოზა „ჩაველო“ ჩემმა სუხნიამ და მომწეტი ხელიდან არ გაუშვა.

გარდა მშობლიური ვანისა — ვახტანგ გურგენიძის ინიციატივით გალაკტიონმა იმოგზაურა აგრეთვე მესხეთ-ჯავახეთში. ვახტანგ გურგენიძე ახლად პოეტს მოსკოვში, ფშავში, მთაწმინდაზე და ფოტომუყარულმა მეტად მდიდარი ფოტოკაბალიოგი დაგვიტოვა.

ვახტანგ გურგენიძის წინაშე „გალაკტიონის მოგზაურობა მესხეთ-ჯავახეთში“ ერთი — აგრეთვე ნამივირთვა და დაღებული — ექსტრავაგანტური ფოტოა წარმოდგენილი: გალაკტიონი მსუბუქ ავტომობილთან დგას და ცისკენ უცნაურად შემართულ მარჯვენა ხელში ბოთლი უჭირავს,

თითქოს უმისამართო სადღერძოდლოს შეუძლებლებს უხილავს. ფოტოს ვახტანგ გურგენიძის მინანური ახლავს: — გალაკტიონს ძალიან მოეწონა ბერძენის ცოტა მოშორებით მინერალური წყალი „ვარძია“. როდესაც ვადაუფულე, მიხვდა არ დაბეჭდვდა, რადგან სხვებს ღვინო ეგონებოდა — „ხომ იცი, ვახტანგ, უიღბლო კაცი ვარ“ (გალაკტიონის ეს თხოვნა, როგორც ხედავთ, არ შევასრულე).

ალბათონის თორის

თითის ანაბეჭდების დამთხვევის ალბათობა ყოფილა ერთი შეფარებული 64 მილიარდთან. მაშასადამე, შესაძლებლობა აბსოლუტურად გამორიცხული არ ვახლავთ.

საინტერესოა, როგორი ალბათობა არსებობს გენიალურ მეტაფორათა დამთხვევისა?

მაგალითად: რილკე — „ეს საღამოს წიგნი, კარგი და მდიდარული ძონის ყდა ახლავს მას“.

და გალაკტიონის — „საღამო ხეივანზე ხვედრის ყდამი, ვით წიგნი ლურჯი და ძვილისძველი“.

ან — „საღამოს წიგნი მთებმა დახურეს“?

ცხადია, მსგავს შემთხვევებში ალბათობის მაჩვენებელი მნიშვნელოვნად დაბალი იქნება, რასაც ადატურებს მეორე მაგალითი:

რილკეს ერთი ლექსი ასე იწყება: „შენ ხარ, წვედიანი, ჩემი სამშობლო“,

გალაკტიონის „ოფორტი“ კი ასე მთავრდება: „ეს თოვლია ჩემი სამშობლო“.

ხოლო ნიციშ „ესე იტყოდა ზარატრუსტრას“ მესამე ნაწილის ქვეთავი „შინ დაბრუნება“ ასე იწყება:

„შე მარტოობავ! შენ, ჩემო სამშობლო, მარტოობავ!“

დარწმუნებულად ვარ, ნიციშ და რილკე და გალაკტიონი კიდევ არაერთხელ შესხვედნან ერთმანეთს, და განა მარტო ესენი ჯერმე ჯოისი — „წამწამების მესერიდან იცქირებოდა“,

გალაკტიონი — „თქვენთა მშვენიერ წამწამთა ქობი“

და თვით რუსთაველი — „გარდისა ბაღსა უჩრდილობს ჩრდილი წამწამთა ქობისა“.

არც პორტუგალიური სამყარო აღმოჩნდა შორეული: „ირიში წვიმა“ — ფერინანდო პესოსა ლექსების კრებულის სათაურია, შეიძლება „ალმაცერი წვიმა“ ერქვას და ასე ეთარგმნოს. გალაკტიონთან კი როგორ ერთადაა:

„თოვლი იყო ირბი, ალმაცერი“.

ტალანტების შესხვედრა გრძელდება.

როგორც ვიცი?

— გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებაზე, მის დიდ პოეზიაზე, გრიგორ ციციტი, წიგნის შექმნას უცხუბეთში ეპირებოდა არცაღო რობაქიძე. აი, ის, გრიგოლ რობაქიძე, შესაძლებელია მას. მეტად სამწუხაროა, რომ მან ამ დიდებული ჩანაფიქრის ხორცშესხმა, როგორც ჩანს, ვეღარ მოასწრო... ასეთი პოეტის ფენომენზე სწორად გრიგოლ რობაქიძეს შეეძლო ეთქვა ლირიკული ნიონამდ სიტყვა და მეტად სამწუხაროა, რომ მან ეს ვერ მოასწრო (ან იქნებ რამე ჩანაწერები კიდევ ინახება მის არქივში?). — ამგვარ მოულოდნელ ინ-



ფორმაციას გვაუწყებს ირაკლი აბაშიძე თავის უაღრესად საინტერესო მემუარებში „ხარები ოცდაათიანი წლებიდან“.

„როგორც ვიცით“, — ბრძანებს ბატონი ირაკლი. ჩვენ კი ვიცით შემდეგ: 1961 წელს „გეაქნადმი“ გრიგოლ რობაქიძემ შეოცე საუკუნის ქართული პოეზიის ათი „მედევი“ გამოაჩინა (მათ შორის — გალაკტიონის „ნიკორწმინდა“) და ფრწილებში მიუთითა:

— (აზნუ შემდეგ რეულში — წერილში გალაკტიონ ტაბიძეზე).

მართლაც, ერთი წლის შემდეგ გრიგოლ რობაქიძემ კურნალში „ბედი ქართლის“ გამოაქვეყნა „გალაკტიონ ტაბიძე და მისი „ქებათა ქება ნიკორწმინდას“ და ამ ესეში, შეასახა რა ქებათა ქება „ქებათა ქებას“, მეტისმიტად ზუსტი და დამახასიათებელი მინიშნებებითა და შტრიხებით დაგვიხატა გალაკტიონის ტრაგიკული პორტრეტი. იმავე 1962 წელს კი გრიგოლ რობაქიძე გარდაიცვალა.

სხვა შემთხვევა გრიგოლ რობაქიძის განზრახვისა ჯერჯერობით ჩვენთვის უცნობია.

ცნობილი კი გახლავთ გალაკტიონის 1916 წლით დათარიღებული ერთი უცნაური უსათაროს პირვანდელი ვარიანტი, რომელსაც აქვე აღვადგინთ და ნარმოვიდგინოთ, ვინაიდან 1927 წლის ინტერვიუ შეტანისას ავტორმა ტექსტი განაწიროს და ადრესატის კვლი ნაშალა:



გალაკტიონ ტაბიძე

სხვები ჩხაიან, როგორც ყვავები, ვერ გრძნობენ რაა კარგი, ფაქიზი.

არის განსხვავება:

გალაკტიონ ტაბიძე და გრიგოლ რობაქიძე.

პირველში ფანტასტიკა მეტია,

მეორეში — ნაკლები,

პირველი პოეტიკა,

მეორე — სპექტაკლები.

გრიგოლს ეზმანება ისევ დონისი,

სხვაა მოჩვენება გალაკტიონისა.

ორთავეს სმენია

დიდება მარადი

და ქართლის გენია.

წიგნები და წიგნები

1993 წლის 20 თებერვლს რადიოთი მოვისმინე ლამაზი კიკილაშვილისაგან: გიორგი ლეონიძემ განაცხადა: გალაკტიონი წმინდა წყაროა, — ნიაღვარიო.

ამ შედარებებში არის სიმართლის ნატამალი, ოღონდ — მხოლოდ ნატამალი, რადგან ნიაღვარი უპირატესობის ასოციაციას იწვევს.

წიგნებსა და მემუარებს

1997 წელს, გალაკტიონის არქივი რომ მესამედ გავასრულე, ნაიციცნებე: როდესაც კიდევ უფრო დაგებრდები, მთავრობას ეთხოვ, გამომიჯონ ნორმალურულსადაცაა შტატი და ცალკე ოთახი ლიტერატურის მუზეუმში. დავიდეგამ ჩემს „ერიკას“ და ჩავეუჯდები გალაკტიონის არქივს. ყოველგვარი ქრონოლოგიის გარეშე ერთმანეთში შერეულ ბიოგრაფიულ დღიურებს და ჩანაწერებს შევარჩევ, დავათარიღებ, დავალაგებ და ამოვბეჭდავ. უთარიღობებს წლებს შორის ჩავსვამ ინტერმედიად და შევადგენ უნიკალურ ნიგვს — „ცხოვრება გალაკტიონ ტაბიძისა — მოთხრობილი გალაკტიონ ტაბიძის მიერ“.

ეს იდეა კარგადანია ჰაერში ჰკიდია, მაგრამ შეძლება იგი მინაზე ჩამოვიყვანოთ.

შეკითხვა მოსკოვიდან

„უცნობი“ რომ გამოიცა, იდეა შესტავანდელმა წერილი გამოგიგზავნა მოსკოვიდან და ნიგნი მთხოვა (იგი ქართულ პროზას თარგმნის რუსულად. მე მას არ ვიცნობდი). იდამ შეკითხა: ითარგმნება თუ არა „უცნობი“ რუსულად.

ნიგნი გავუგზავნე და მივწერე, რომ „უცნობს“ უშანგი რიქინაშვილი თარგმნის. უშანგი თვითონ მოვიდა ჩემთან და გამაღრთხილა, სხვა მთარგმნელს არ შევთანხმებოდი. მაგრამ უფრო სარფიან ორიგინალებს ვადაპყვი და მერე სულ ნაწიდა საქართველოდან.

ისე, „უცნობის“ პირველი ვარიანტიდან ორი თაბაბი „დრუტება ნაროდოვმა“ დაბეჭდა ნახატებთან ერთად და ამდენივე — „ლიტერატურნია გრუზიაში“. მთელი გვერდი დაუთმო „ლიტერატურნია გაზეტამ“. ასე რომ, პირველი გამოცემის თითქმის მესამედამ გამოქვეყნებულია რუსულად.

გალაკტიონ ტაბიძე თუ ღვათი მანდარია?

გალაკტიონ ტაბიძეს სიცოცხლეში ბევრი მეტოქე ექიმებოდა, საუკუნის მეტრს ედრებოდა, ეჯიბრებოდა, ცდილობდა გვერდით დასდომოდა, გადაატარებინა კიდევ.

გალაკტიონ ტაბიძეს სიკვდილის შემდეგ გამოუჩნდა მეტოქე, კაცი, რომელსაც ლექსი არასოდეს დაუწერია.

აი, როგორ მოხდა ეს: 1961 წელს ქუთაისში ამქნდა დიდი პოლიგრაფიული კომპანიტი და მას ორი წლის წინათ გარდაცვლილი სახალხო პოეტის სახელი უწოდეს. პირველი ნიგნი, რომელიც ამ სტამბამ დაბეჭდა, იყო გალაკტიონის „ასი ლექსი“.

ამ კოცოდე წლის წინათ სტამბაში რეორგანიზაცია ჩატარად, სტამბას სახელი შეუცვალად და დაარქვეს მისი ყოფილი დირექტორის, თავისთავად ღირსეული მესტამბა-და და ქართული მწერლების დაფსახებლის — დავით მანდარის სახელი.

გალაქტიონის სახელი კი ქუთაისიდან წყალტუბოსაკენ მიმავალ ქარს გაატანეს.

პირი შარვაშიძე

მერი შერვაშიძე — მშენებლების სასწაული: 93 წლისა კიდევ უფრო ღამაზი იყო, ვიდრე 23 წლის: არა დაუბერებელი სიღამაზე, არამედ — სიბერეში უფრო გამშენებრებული სიღამაზე.

„გალაქტიონმა დახურა“

2001 წლის 19 ნოემბერს დამირეკა ტაბუ მეტურიაშვილი:

— 17 ნოემბერს ჭყვიშში ვიყავი. გალაქტიონის 110 წლისთავი აღინიშნა. გამოვედი და სიტყვა შენი სტრიქონებით დავამთავრე: „მეორე ათასწლეული გალაქტიონმა დახურა“. ჩემს შემდეგ გამოვიდა იმერეთის გუბერნატორი — თემურ შაშიაშვილი: „თუკი მეორე ათასწლეული გალაქტიონმა დახურა, უბერსულია გალაქტიონის მუზეუმში წვიმა ჩამოდიოდესო“, — და მუზეუმს საქმად დიდი თანხა გამოუყოლი.

„ნარვალს“ თუ „ნარვალს“

1988 წელს გამოცემულ „უცნობში“ მე ახლებურად ნავიკითხე გალაქტიონის ერთი სტრიქონი, პირველად თორმეტკომეულის მეშვიდე ტომში დაბეჭდილი: „შორით შორად ფიქრით ნარვალს“ კი არა — „შორით შორად ფიქრი ნარვალს“-მეთით.

1995 წელს ჩუბჩიკა და აიშინა არაბული „ლიტერატურული საქართველოდან“ შემომედაუნენ და არ დამეთანხმენ. არც მე დავეთანხმე და შემდეგ გამოცემებში დაბეჭდილობით გავიმეორე ჩემი შენიშვნა, რასაც აძკარად დასატურებს ლექსის ერთადერთი ავტორგრაფი.

ჩუბჩიკა, როგორც სწავია, მას შემდეგ თანმიმდევრულად ეკვლევს ამ ორი სიტყვისა და ორი ასონიმის მართლწერას და გალაქტიონის ავტორგრაფების მიხედვით ნარ-ებისა და ნილ-ების სანიშუმო ცხრილიც კი შეადგინა.

2002 წელს იზა ორჯონიკიძე „გალაქტიონოლოგიის“ პირველ კრებულში გამოეხატა და მხარი დამიჭირა.

იმავ 2002 წელს იმავი „გალაქტიონოლოგიის“ პრეზენტაციავ თამარ ბარბაქაძე გამოვიდა და განაცხადა, რომ ზაშურის რაიონში აღმოჩნდა სოფელი ნარვალის, თუმცა კარგად ვერ გავიგე ამ ნარვალს რა კავშირი ჰქვას გალაქტიონის ტექსტთან.

მოკლედ ჩემი ერთი უწყინარი შენიშვნა აგორდა და, ეტყობა, არც ასე ადვილად გაქრებდა.

პროვანი-იარპვანი-იარანი

1999 წლის 18 მაისს გამოცემულმაშო მესტურმა ჩუბჩიკა. სხვათაშორის მკითხა: როგორ გეხსიო სიტყვა — ეროვანი („შენი სულმნათისად ასელა ეროვანი“ — „ნიკორმნიდ“). დაეფიქრე. ამაზე არსოდეს მიმიტყვივა ყურადღება. ჩუბჩიკამ იქვე განმარტა: „ეროვანი“ ნიშნავს „იეროვანს“ ანუ „იერიანს“-ო. მე გალაქტიონის ჩანაწერი გავიხსენე: „იერიანი ქალიო, იტყვიან ქალზე, რომელიც სახალხო დღესასწაულებში გამოირჩევა, სიღამაზითაც ყურადღებას იმსახურებს“ — და დავეთანხმე. თენგიზმა გავიხსენა ალექსანდრე ჭავჭავაძის სტრიქონი — „საგლო-ვი ნაშთი შენობათა კვლავ ეროვანთა“ — და ვაფას სტრიქონიც: „ადვილად აიცილობდა კაცი ფაშური ერთა“. ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში ჩავეხიდე: „ეროვანი-იერიანი“ — და ალექსანდრე ჭავჭავაძის გვერდ სტრიქონია დამონშებული. ჩუბჩიკამ ისიც მაცნობა: ალექსანდრე ჭავჭავაძის „ეროვანთა“ — ზურბა სარჯველაძემ განმარტა როგორც „პაეროვანთა“ —ო.

ჩუბჩიკამ შემომთავაზა შემეხსნადა ამ სიტყვის ეტიმოლოგია და დამეწერა ამის შესახებ.

P.S. კი ამ სიტყვის პასუხი და ჩუბჩიკას ნაცნობი არ უკავდა: ვისაც იცნობდა, ყველა მისი მეგობარო იყო.

კოტეტიშვილისა სიხანი

ერთხელ ტელევიზორს მოვეუსმინე. ვახუშტი კოტეტიშვილმა გავიხსენა: კოტეტიშვილებს გალაქტიონმა შაქიკთხა და ვინაიდან მასპინძელი სახლში არ დახვდნენ, შატარა ბარათი დატოვა. ვიცოდი, რომ უბინაოების საქმად ხანგრძლივ პერიოდებში გალაქტიონ ტაბიძე ვახტანგ კოტეტიშვილის ოჯახს აფარებდა თავს, იქ ცალკე ოთახიც კი ჰქონდა განკუთვნილი და აგრძელებდა შემოქმედებით ცხოვრებას. იმ დროს მე და ვახუშტი ერთად ვმოღვაწეობდით კულტურის ინსტიტუტში და ხშირად ვხვდებოდით ერთმანეთს. მორიგი შეხვედრისას ვთხოვე იმ ბარათის ასლი — ჩემი „უცნობის“ შემდგომი გამოცემისათვის. არასასიამოვნო ფაქტი მაუნაყა: სამოქალაქო ომის დროს თბილისის ცნობილი დაპირისპირებისას რომ „ეროვნული მოძრაობის აქტივისტებმა“ კოტეტიშვილების სახლ დაწვეს, ის წერილი იმ ცეცხლს შეწვინაო, მაგრამ იმ პატიარა ბარათის ტექსტი უპირად მახსოვს და მოგატყავი. მართლად რამდენიმე დღის შემდეგ ვახუშტიმ გამოშვა შეტად საინტერესო კომენტარებით განმარტებული ვაგათი. მე იგი გამოვიყენე „უცნობის“ 2007 წლის საბოლოო გამოცემის ერთ-ერთ ეპიზოდში „ღუნიის დაბარლებზე“. ამგვრად სრულად დაქვეყნებ ვახუშტი კოტეტიშვილის მიერ ნარმოდგენილ ტექსტს:

„გალაქტიონის ერთი წერილის გამო“

გალაქტიონ ტაბიძეს და ვახტანგ კოტეტიშვილს ძველი მეგობრობა აკავშირებდათ. ეს ურთიერთობა იმდენად ახლობლური იყო, რომ უბინაო ახალგაზრდა გალაქტიონის ვახტანგმა თვით ოთახი ოთახი დაუთმო მთამანინის უბანში,



Էրասմուս Գեղամյան



კოტე მესხის (მამინდელი პროუტის) ქ. 18 სახლში და ვახტანგის დედა ეკატერინე და და ივლიტა მშობლიურ ზრუნვას არ აკლებდნენ.

როგორც ბოლო დროს გამოირკვა, გალაკტიონის და ვახტანგს ერთად უმღერიათ ნიკო სულხანიშვილის გუნდში.

1934 წელს ვახტანგ კოტეტიშვილმა გამოსცა „ახალბურთე პოეზიის“ პირველი ტომი ღრმად მცენერული შენიშვნებითა და სამეცნიერო აპარატით, რომელსაც დიდი აღფრთოვანება გამოიწვია ქართულ საზოგადოებაში.

ბუნებრივია, ეს მოვლენა არ გამოეპარებოდა გალაკტიონის, რომელიც დიდებულად ერეკვიდა საქართველოს ყოველი კუთხის ფოლკლორის ნიუანსებში. და აი, იგი თავისი ალტაცების გამოსახატავად სწვევია ვახტანგ კოტეტიშვილს, მაგრამ შინ არავინ დახვედრია. გალაკტიონის ქალაქის პატარა ნაფლეთზე დიდურია მოკლე ბარათი და დაუტოვებია მასპინძლისათვის. აი ეს წერილი:

„ჩემო ვახტანგ, ვიყვია შენთან, არ დახმდვი. „ახალბურთე პოეზია“ დიდებულია. გილოცავ და გისურვებ, ჩემო ვახტანგ, იარი ასე სულ მალა-მალა და სვა კარგი ღვინო!

P.S. ჩემო ვახტანგ, ვთხოვ იმ ღვინოდან ცოტა ჩემთვისაც გადახარჩუნო. გ. ტაბიძე“.

ეს პატარა ბარათი სხვა წერილებთან ერთად ინახებოდა ვახტანგ კოტეტიშვილის ოჯახში, მის პირად არქივში. ადრე, როდესაც მამაჩემის არქივის დიდი ნაწილი ლიტერატურულ მუზეუმს გადაეცემა, ეს წერილები დავიტოვე. მიმდროულ ქრონოლოგიურ გადამიღო და შემდეგ დედენი ჩამებარებინა მუზეუმისათვის. მაშინ ვინ იფიქრებდა, რომ დადგებოდა ისეთი უკუღმართი ქაბი, რომ თავისუფალი საქართველოსათვის „გამბოძო ქართველები“ უმნიშვნელოდ დაწვადნენ და გადაგუადგნენ ბოლშევიკების მიერ უკვე ნამუშეული მამულოშვილის სახლ-კარს. ეს წერილიც მაშინ დაიწვა. მაგრამ, ბუნებრივია, იგი ზეპირად მასსოვს აქამდე, რადგან ეს პატარა ბარათი იყო ჩვენი ოჯახის ერთ-ერთი უძვირფასესი რელიკვია, რომელსაც ყველა ჩემს მეგობარს ვაჩვენებდი და ვუკითხავდი ხოლმე. ამასთანავე, მეჩვენება, რომ ამ რამდენიმე სტრიქონშიც დიდებულად ჩანს გალაკტიონის ხასიათი და მისი იუმორი.

ამეგრად იგი მსურს გადაეცემა გალაკტიონის სულის ბიოგრაფს, პოეტ ვახტანგ ფეხაბაძეს, როგორც დიდი მოზაიკის პატარა ნატეხი. ვიცი, რომ მასზე უკეთ ვერავინ მოუძებნის ამ ნატეხს თავის ადგილს იმ დიდ მოზაიკურ პანოში, რომელსაც გალაკტიონის გალაკტივა ჰქვია.

ვახტანგ კოტეტიშვილი“

ნახატბი, ავტობიოგრაფიი, ფოტოსურათბი

1997 წლის ერთ მშვენიერ დღეს ჩემთან მოვიდა ჩუბჩიკა. ჩუბჩიკა არა მარტო მესანიშნავი მხატვარია, არამედ გალაკტიონის პოეზიას და ტექსტის საინტერესო მკვლევარიც. მისი დაფინანსებული თხოვნითა და მოთხოვნით მე „უცნობს“ დავამატე ერთი მნიშვნელოვანი ეპიზოდი — „გალაკტიონი და ფორსმანი“.

მოვიდა ჩუბჩიკა და შემთავაზა, ერთად შევედგინა გალაკტიონის ნახატების, ფოტოსურათებისა და ავტობიოგრაფიის ნიგრი-ალბომი, რომელსაც იგი უცხოეთში დაბეჭდვდა.

შეუთანხმებ, შობათ დღეს, როდესაც ორივენი თავისუფლები ვართ და ლიტერატურის მუზეუმი მუშაობს, ერთად გვევლო მუზეუმში და შევევერჩია საჭირო მასალა, თავდაპირველად ფოტოები. ნახატებისა და ავტობიოგრაფიის დიდი ნაწილი მე გადავღებულ და დამუშავებული მატეს, დანარჩენების საარქივო ნორმები კი — ამონერილი. ვაპირებდით ნახატებისა და ფოტოებისათვის შესაბამისი ტექსტები დაგვეერთო ჩანაწერებიდან. მასალითად, 1914 წელს აკაკისთან ერთად ქუთაისში გადაღებულ ფოტოზე გალაკტიონის შესანიშნავი მოთხრობა-მოგონება აქვს დანერილი. ვაგზალში უპატრონო რუს პაცანებთან გადაღებულ ფოტოზეც გალაკტიონის საინტერესო მოთხრობა ვახტანგს ვახტანგს ვაგზარქონის საგულანისში მინაწერები შემოინახა, და ასე შემდეგ და ასე შემდეგ.

შეთანხმებისამებრ, პირველ შაბათსვე ენვეთ ლიტერატურის მუზეუმს. დირექტორი იზა ორჯონიკიძე ადვილზე არ დავგვხვდა. მოადგილე ნინო ზოფრასია გავაცანიე ჩვენი განზრახვა და შევედეთ საქმეს. პირველ დღეს ფოტოსურათების საკმაო რაოდენობა გადავარჩინეთ და შემდეგ შაბათს უნდა გავვეგრძელებინა.

ორი თუ სამი დღის შემდეგ დამირეკა იზა ორჯონიკიძემ და მაუწყა, რომ ავგვარი ალბომის გამოცემას მუზეუმი თვითონ აპირებდა.

დავურეკე ჩუბჩიკას. ჩუბჩიკამ, მე მოველაპარაკებო იხს და ერთობლივ გამოცემას შევთავაზებო.

მას შემდეგ რამდენიმე წელიწადი გავიდა და ამ საქმეს თავი ვერ მოგბა.

სამწებროდ, არც ლიტერატურულ მუზეუმს და იზა ორჯონიკიძეს გამოუციათ საკარგული ალბომი.

სამაგიეროდ იზა ორჯონიკიძის ინიციატივითა და რედაქტორობით გამოიცა გალაკტიონის საარქივო ოცდახუთტომეული, რომლის ერთ-ერთი კონსულტანტი მეც ვარ — თიმიურზ დოაშვილიან ერთად. ამ ოცდახუთტომეული დაბეჭდა გალაკტიონის ფოტოები, ავტობიოგრაფიები და ნახატები, მაგრამ ნიგის მეზღუდული ფორმატი თვალსაჩინოდ ვერ წარმოაჩინა ამ უაღრესად საინტერესო მასალას.

გალაკტიონის ნახატები, ავტობიოგრაფიები და ფოტოები გამოცემულს ელოდებოდა!

არგონავატიის მოლოდინი

1986 წლის 11 იანვარს (ჩემი ირინეს დაბადების დღეს!) ჩემთან სუფრაზე მუშანა ლეხანიძემ გვაუწყა: გალაკტიონი დამესხარა და ცხვრის დაკვლა მთხოვა (მოვტყინებო, თვითმკვლელისათვის ნესხ არ აუცილია!). აბეც იმყოფებოდა ნოდარ ტაბიძე, ნოდარის შემოთავაზების შემდეგ გადაწყვეტიტე ქვეყმში გამგზავრება, რათა მურმანის ჩანაფიქრი შევევრულდინა.

ამავე წლის 3 მაისს (ჩემი ირაკლის დაბადების დღეს!) ჩემი ლურჯი 07-ით, მურმანი, მურმანის მუღლები — ქალატონი ლენა ჭავჭავაძე, მე და ირაკლი დასავლეთისაკენ გავემგზავრეთ. ქუთაისში მურმანის ბიძამთავმა მალევე შევიღო დაგვავტვრა. ცხვარი არქილის გორაზე ავიყვანეთ, რქებზე სანიღბები დავათეთი და ზეპარი მამამი აკურთხა.

იმევე საღამოს ორი მანქანიტ ვეწვიოთ ყვემს, სადაც დაგვედენენ ნოდარი, ფიქრია და გიორგი.

აქაც აქუსური მუდელი გვეწვია და დიკლა ცხვარი. გალაკტიონის სახელზე ვაგანობელი ტრაპეზი დიდხანს გაგრძელდა. შუაღამოსას მასლობელი სასფლაოზე ხელავალი დღიწო და თიხის თასები გავიტანეთ და გალაკტიონის მშობლების საფლავებს დღიწო ვაპყურეთ, შესანდობარი მეტყვიო.

მეორე დღეს ისევ გალაკტიონის სადღეგრძელოებს დავებურუნდით და შუადღისას ჩემი ლურჯა აღმოსავლეთისაკენ შემოვამბრუნე.

ჩვენი სტუმრობისას გალაკტიონის სახლის პირდაპირ რომისს ნაპირას იდგა ასლი ხის გემისა „არგო“ — ინგლისელი მეცნიერისა და მოგზაურის სვედერინის აგებული. სვედერინმა გაიარა არგონავტების მარშრუტი, ვადმოლასა ეგვიპტისს ზღვა და შავი ზღვა, შემოვიდა რიონში და რატომღაც გალაკტიონის სახლთან დააბა ხომალდი, რომელიც ჩვენც ჩავსვდიით და ფოტოსურათებიც გადავიღეთ.

მართლაც გასაოცარია, რატომ მაინცდამაინც ყვემში დასარულა მოგზაურობა რომანტიკოსმა მოგზაურმა? როგორც ჩანს, პატივი სცა პოეტის სხოვნას, რომელიც 1928 წლიდან ელოდებოდა, როდეს ესტუმრებოდადენ „არგონავტები ახალი დროის“.

გალაკტიონის შიჭი

— 1936 წლის 5 ნოემბერს კირკის ქ. 4 სახლის ეზოში ერთი ძირი ფიჭვის ხე (შესასვლელიდან პირველი — მარცხნივ) დარეულია თვით პატივცემულ გალაკტიონ ტაბიძის ხელით. ერთი წლის წინათ აშენებული სახლის წინ რამდენიმე ფიჭვი დარგეს, მათ შორის პოეტს საკუთარი ათვისა და ფანჯრების წინ სასაუბარი ხელით დარეულა ერთ-ერთი და ეს ფიჭვი უცნობ პირს გალაკტიონის უთხის წიგნაში აღწინაწავს.

1952 წლის 9 მარტს თვითონ გალაკტიონმა გაისხენა: — ამ ბაღში არის ჩემს მიერ დარგული ფიჭვი, რაც მას თავს გადახდა, პირდაპირ ასანერია.

მარჯანიშვილის ხუთი ნომრებიდან ჩემი კაბინეტის ფანჯრები პირდაპირ შეპყურებდნენ მარჯანიშვილის ოთხი ნომრის ფანჯრებს და მე ძალიანებურად ყოველდღიურად ვესვამებოდი ნაცნობ ფიჭვს, რომელსაც ჩემს მეტი აღიარაინ იცნობდა.

თიხშირედათიანი წლებიდან — სამჭოთა კავშირის მარტულ მარჯალებად დაშლის შემდეგ — გამოცემლობა, რომელიც წელწანში ოთხას წიგნს გამოსცემდა, თითქმის გაუქმდა და მე საკაო დრო მრჩებოდა ხშირად შემთავალიერების პოეტის ბიოგრაფიის ეს უკანასკნელი ერთადერთი ნაშთი, ვინაიდან გალაკტიონის ბინა გაიყიდა.

მაღე ყოფილი კირკის, ყოფილი ჟორესის და ბოლოს მარჯანიშვილის ქუჩა გააფართოვეს და ერთ მვეწიერი დღეს ხეების მოჭრას შეუდგნენ. მე სასწრაფოდ დავურეეც მწერალთა კავშირის მიდევანს ჯანსუღ ჩარკვიანს, ჯანსუღმა ქალაქის აღმასკომში ვადარევა და მაშინვე გამოვცადდნენ ოფიციალური პირები, რომლებსაც ფიჭვის ისტორია ვაუწყე და ასე ვადარევა ყველაზე დანარგული ერთადერთი ფიჭვი — გალაკტიონის ფიჭვი.

1999 წლის 5 მარტს მარჯანიშვილის ოთხ ნომერი გალაკტიონის მემორიალური მუზეუმი უნდა გახსნილიყო. წინა დღეებში შენობის ფსადი გალაკტიონის ჩურჩა გაასუფთავეს და სახლის წინა სვედერი ყვაილიყვანა ჩარგეს. ყოველივე ამას შემდეგ ვათვალიერებდი. უცებ თვალი მოვკარე ორი ლინერი მამაკაცი ნაჯახებში მიადგა ფიჭვს. უცებ პოეტის სრულიად უცნობი სტრიქონი გამახინდა — „რგორც შემოდო არ დამეფოლა, რამდენჯერ სცემდა ტყემი ნაჯახი“ — და უმაღ კიბზე დავეჭვი, ქუჩა ვადეჭერი და შევეღტი. არ დამიჯერეს და უფროსი მოვიკითხე. ჩავიტანე ჩემი „უცნობი“, იმ უფროსის „ვოლგის“ საბარგულზე ვადეჭმულე და 1936 წლის 5 ნოემბრის ჩანაწერი ნაუკითხე. ამჯერად მეორედ ვადეჯარჩინე გალაკტიონის ფიჭვი.

სამწუხაროდ, მევატყვე, რომ ფიჭვი ხმებოდა. ახლა მეორე ჩარკვიანს დავურეეც, ვასხულის ძმას, ჯიმი ჩარკვიანს, სატყეო დეპარტამენტის უფროსის მოადგილეს, და ეთხოვე დახმარება. ჯიმი მოიყვანა დეპარტამენტის თანამშრომლები, დაათვალიერეს ადგილი და რამდენიმე დღის შემდეგ მოიტყვეს თითქმის იმზელა კარვად გახარებული ფიჭვი და სათანადო ტექნიკაც მოიყვანეს. ძველი ამოიღეს და ახალი ჩარგეს. ამ ცერემონიას დავხწრო ვახსულ ჩარკვიანი და სატყეო დეპარტამენტის უფროსის მოადგილე. გამოჩნდნენ უფროსისტიცი. მხევედრა რესტორანში ვავაგრძელო და სამჭხლის ვადარჩენილი ფიჭვის სადღეგრძელოც შევწკიო.

სატყეო დეპარტამენტის თანამშრომლებმა ვავაფართიხილეს, ახალჩარგულ ხეს ყოველდღე უნდა უხსათ წყალი. როგორც ჩანს, მუზეუმის თანამშრომლებმა ვერ გამოიჩინეს სათანადო ყურადღება და რამდენიმე თვის შემდეგ გალაკტიონის ფიჭვის მემკვიდრე საბოლოოდ დაიჩარგა — გახმა!

როგორც გალაკტიონმა ბრძანა ამ ფიჭვის თავგადსავალი მართლაც „პირდაპირ ასანერია“.

ს ი ტ ყ ა

წარმოსათქმელი გალაკტიონ ტაბიძის ობელისკის გახსნისას 2010 წლის 17 მარტს

ეს პატიარ კუთხე — ჩვენი ისტორიის წინდა და საბედისწერი ადგილია.

აქ 1959 წლის 17 მარტს 17 საათსა და 50 წუთზე ტრაგიკულად დაასრულა სიცოცხლე გალაკტიონ ტაბიძემ.

ამ კუთხეს 13 მეტრის სიმაღლიდან ვადმოპურებს ფანჯარა ოთახისა, სადაც უკანასკნელი ნაბიჯები გადადგა გალაკტიონმა.

მას შემდეგ ოროცდათორთმეტი წელი ვავიდა. ამ ხევარი საუკუნის მანძილზე ბევრი რამ ვაკეთდა, თითქმის ყველაფერი ვაკეთდა გალაკტიონ ტაბიძის სხოვისს უკედესყოფდე:

- დაიდგა ძეგლები,
- დაიარსდა მუზეუმი,
- პოეტის სახელი ეწოდა ქუჩას, ხიდას.
- დაარსდა გალაკტიონოლოგიის ცენტრი და გამოიცა „გალაკტიონოლოგიის“ ოთხი ტომი, რაზედაც ოცნებობდა პოეტი.



გადიდებს კინოფილმი, დაიწერა პიესები, ლექსები, პოემები, მოთხრობები, რომანები, მოგონებები, მუსიკალური ნაწარმოებები, და ეს პროცესი გრძელდება და გრძელდება. იყო ერთადერთი ხარვეზი, და ეს ხარვეზი გახლდათ ადგელი, სადაც დღეს ჩვენი შევიკრიბეთ.

პირველი ოცდაათი წლის განმავლობაში გალაკტიონის თვითშეგლეჯლობას ტაბო ვდო, რადგან ეს იყო აშკარა პროტესტი. მაგრამ საბჭოთა იმპერიის დაშობის შემდეგ, უკანასკნელ ოც წელიწადს უყურადღებობა დანაშაულები თანამონაწილეობას ნიშნავდა.

არადა, ყურადღება არავინ გამოიჩინა. აქ საქვებზე კი ამხენეს და ეს ადგილი თანდათან დაივიწყეს.

მე, როგორც გალაკტიონის ბიოგრაფიით დაინტერესებულმა პირმა, ამის შესახებ გამოვაქვეყნე წერილი და პირადად მივმართე ქალაქის მერიას.

და დღეს დიდი მადლობა უნდა გადავუხადო ქალაქის მერიას, რომელმაც მყისიერი ვალისხმობა გამოიჩინა: სასწრაფოდ გადაიტანეს საქვები, მოამზადეს სკვერი და ყაზბეგის რაიონიდან ჩამოიტანეს დიბაზის ორი ძვირფასი ქვა, „ვეფხისტყაოსანში“ შექმნილი იგივე ამარტის ქვები. ეს კუთხე თითქოს თავისთავად მოითხოვდა შევსებას. ეს ადგილი თითქოს განზრახ შეარჩია პოეტმა.

აქ სადავებოდ მოსვლა არცაა საჭირო: ამ კიბეზე ყოველდღიურად ადის და ჩამოდის ასობით, ათასობით ადამიანი და ყველას ყურადღებას მიიპყრობს გალაკტიონის ხატოვანი ფაქსიმილი.

ნიმანდობლივია, რომ ეს ქვები ჩამოტანილია ყაზბეგის რაიონიდან, მშობლიური რაიონიდან ჩვენი უმბრძვლი და უნეტარესი პატრიარქისა, რომელმაც 2000 წლის 25 ივნისს მრავალრიცხოვანი მრველი შეკრიბა სიონის ტაძარში და ეუბნო და პანაშვიდი გადაუხადა გალაკტიონის სულს.

ნიმანდობლივია ის ფაქტიც, რომ გალაკტიონის ობელისკი დგას ილია ჭავჭავაძის პრისიპეტზე. ეს ობელისკი ნინამურის გამოძახილია. ეს ორი ობელისკი გახლავთ მკაცრი გაფრთხილება, რომელიც ყოველთვის უნდა ახსოვდეს და არასოდეს არ უნდა დავიწყდეს ქართველ ხალხს.

„პრამია“

1998 წელს მწერალთა კავშირმა ჩემი „უცნობი“ რუსთაველის პრემიაზე წარადგინა. ნიგეშა პრემია ვერ მიიღო — რამდენიმე ხმა დააკლდა.

ეს ფაქტი ნებატურად შევსადა პრესაში, რადიოში, მწერალთა ცალკეულ პუბლიკაციებში, დაზირეკეს ნაცნობმა და უცნობმა გულშემატკივრებმაც.

შემდეგ და შემდეგ ასევე ნებატურად გაიხსენეს:

- 1998 წელს — მიხეილ ქველიციემ,
- 1999 წელს — ფრიდონ ხალვაშმა,
- 2001 წელს — მურმან ლებანიძემ,
- 2003 წელს — ჯუმბერ თითქერიამ,
- 2005 წელს — თემურაზ დოიაშვილმა,
- 2008 წელს — ვილენ მარდაღიშვილმა,
- 2009 წელს — იოსებ ჭუმბურიძემ.

1998 წელს პრემიის კომიტეტის თავმჯდომარეს, ჩემს უფროს მეგობარს, მურმან ლებანიძეს ნინასწარ გულწრფელად განუვუცხადე: მივიღებ პრემიას, ძალიან გამიხარდება, თუ არა და — ძალიან არ მენწყინებამეთქი.

მაშინ გამოცემლობაში ერთ ოთახში ვისხედით მე და დირექტორის მოადგილე შოთა იამანიძე. შოთამ ერთი კვირის შემდეგ გამოიბოლა: შთელი კვირა გაკვირდები და გაცილებული ვარ, არაფერი რომ არ გეტყუბო. მე იგივე ვაუშვოდი, რომ ორივე შედეგისათვის ნინასწარ ვიყავი შემზადებული.

ერთხელ ბატონ პავლე ინკორაყვას შევხვხვებ: თქვენ რომ აკადემიამი წარადგინეს მწერალთა კავშირმა და უარი გვიხრეს, ეს ფაქტი უფრო საინტერესოა-მეთქი.

ბოდიშს ვიხდი თამაში შედარებისათვის, მაგრამ მეორე ჩემს პრემიასაც იგივე ბედი ეწია: წლები გადის და ნიგეშა გაროვებს და აჭარბებს იმ ხმებს, რომლებიც პრემიების კომიტეტის წევრებმა ვერ გაიმეტეს — ცამტიკი წლის ნინაო.

დასასრული შემდეგ ნომერი

მართლმადიდებლური პოეზიის პირველი ფესტივალი „წმიდა ნინო“

სამშვიდობო ორგანიზაცია „სადაკო“, წმიდა ილია მართლის (ჭავჭავაძის) სახელობის სალიტერატურო ფუნდალ „საქართველოს მოამბე“ და სალიტერატურო ფუნდალი „ოლე“ 2011 წლის 31 მაისს თბილისის სამების საკათედრო ტაძართან არსებულ „ახალგაზრდული და კულტურული აქტივობების ცენტრის“ დარბაზში აწყობენ მართლმადიდებლური პოეზიის ფესტივალს. ფესტივალში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ როგორც პროუსიონალ მწერლებს ისე დამწყებ ავტორებს, რომლებზეც პოეტური სიტყვით აღიღებენ უფასო, მართლმადიდებლურ სარწმუნოების. გარდა მხატვრული ღირსებებისა ლექსს უნდა გააჩნდეს სულიერების მალაღ დონე.

ავტორებმა გამოუქვეყნებელი ლექსები (არა უმეტეს 3 ლექსისა) უნდა გამოგზავნონ ელექტრონულ მისამართზე: festival2011@yahoo.com festival2011@mail.ru

ლექსის თან უნდა ერთვოდეს ავტორის ფოტო და ტელეფონის ნომერი.

წილების გამოგზავნის ბოლო ვადაა 2011 წლის 30 აპრილი.

ეთურის მიერ მონაწილეული ლექსები 31 მაისისათვის დაიბეჭდება ცალკე კრებულად, ხოლო გამორჩეულ ავტორებს გადაეცემათ დიპლომები და სამახსოვრო საჩუქრები.

ტელეფონი: 899 94 94 82

თამარ ყალიჩავა

პოლიტიკური რომანტიზმის ბმირი

ლექსი
ქაქუცა წოლყაშვილზე

საზოგადოება ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში როსტომ ჩხეიძის მიერ ქაქუცა წოლყაშვილზე ნაკეთებული საჯარო ლექციის მოსასმენად შეიკრიბა. შეხვედრას ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი ირმა რატანიანი უძღვებოდა:

„მოგესალმებით, უკვე ტრადიციად იქცა ლიტერატურის ინსტიტუტში ეს შეხვედრები, რომლებიც ლიტერატურათმცოდნეობის პრობლემებს და თანამედროვე კვლევებს ეთმობა. მოხარული ვარ, რომ ინტერესს ამ სემინარის მიმართ საკმაოდ მაღალია და, თუ არ ცვდები, მიმდინარე წელს ეს არის რეგით მეოთხე მოხსენება მის ფარგლებში, რომელსაც პეტია „ლიტერატურათმცოდნეობის კურსის პორნოზონტიკა“ და ჩვენ მართლად ვცდილობთ, რომ გავაფართოვოთ დისკუსიის პორნოზონტიკა ამ დიალოგის პროცესში. მე უკვე ძალიან საინტერესო საუბრის მოლოდინში ვარ, რომელსაც დარწმუნებული ვარ მოჰყვება ასეთივე საინტერესო შეკითხვები და დისკუსია ბ-ნ როსტომთან“.

ხოლო მას შემდეგ, რაც მადლობა გადაუხადა მომხსენებელს საინტერესო და მნიშვნელოვანი ლექციისთვის და დამსწრე საზოგადოებას შეკითხვებისა და შთაბეჭდილებების გამოთქმა სთხოვა:

„ძალიან საინტერესო მოხსენება მოვისმინეთ, ძალიან მნიშვნელოვან თემაზე. ვფიქრობ, ყველაზე ძალიან ყურადღებით გუსმენდით ამ სიღრმისეულ დაკვირვებებს, რომელიც ამ მოხსენებაში ჩანდა — ადამიანის ისტორიულ ბედს და მის ლიტერატურულ რეფლექსიას შორის“.

ყურნალისტი ვახტანგ ბახტაძე დაინტერესდა, თუ როგორ იხსენიებდა მაშინდელი, ბოლშევიკური პრესა ქაქუცა წოლყაშვილსა და სხვა აჯანყებულებს:

„თქვენ გაკვირთ ასხენეთ მაშინდელი ტერმინი „პოლიტიკური ბანდიტი“, თქვენ ღრმად გატყნაწამოშეყარი ამ საკითხებზე და მომავალი თაობებისთვის საინტერესო იქნება იმის გაგება, თუ როგორ მოიხსენებენ აჯანყებულებს მაშინდელ პრესაში, როგორ მოიხსენებენ ლიტერატორები და როგორ — პოლიტიკოსები?“

როსტომ ჩხეიძე:

„მაშინდელ ბოლშევიკურ პრესაში, როგორც „პოლიტიკური ბანდიტი“ — ასე იყო. ამით ისინი აღიარებდნენ,

რომ პოლიტიკური მებრძოლი იყო ქაქუცა წოლყაშვილი. ოღონდ, ძალიან მალე საერთოდ გაქრა მისი სახელი, საერთოდ აღარ ახსენებდნენ. ქაქუცა წოლყაშვილი მაშინ არ არსებობდა, აღარ არსებობდა — არც აჯანყება ყოფილა, არც ქაქუცა ყოფილა, არც ბანდიტად, არც არაფრად აღარ ახსენებდნენ. იმიტომ რომ, რომ ახსენონ ეს მაინც განიხილავდნენ ასოციაციებს, ვიღაცა გაიხსენებდა, ვიღაცა დაინტერესდება ამ რეალობის აღდგენით. იმიტომ ვფიქრობ რომ აღარც ახსენო და საერთოდ მიჩქვამო. საბჭოური, ჩვეულებრივი დემაგოგიური ხერხია“.

ლევან ქურციკაშვილმა დარბაზს ქაქუცა წოლყაშვილთან დაკავშირებული ბავშვობის ორი მოგონება გაუზიარა:

„მეფე ლიონსა არ იყოს, 80 წელიწადს გადავცდი და სრულ ჭკუაზე ვარ თუ არა, ის არ ვიცი. ახლა რატომ ვამბობ ამას, თბილისში დავიბადე, სვანეთის უბანია ჩემი უსარკულესი პეტია, მაგრამ გავიხარე კახეთში, თელავში და ძალიან ადრე გავუშინაურდი იმ მშვენიერ სოფლებსა და ქალაქებს. უნდა მოგახსენო, ჩემი როსტომი, ქაქუცას განმობილი ხალხში არ ყოფილა. ქაქუცას არ ახსენებდნენ. ორად ორი შემთხვევა მახსოვს. ბავშვები ვართ, ერეკლე მეფის სახლის წინ იყო ძველი ბაღი, რომელსაც მოხუცი დარაჯი ჰყავდა და, ერთხელ ამ დარაჯმა თქვა, აქ რომ ადგილი არისო, შავი ჯავიჭით შემოღობილი, უსახელო საფლავიო, იგი, ეს ვინა სსსრსთვის არისო? გავიგონათა თქვენ, მატანში დაბადებული კაცი იყოო, რაზ-ბოიონი“ იყო, მაგარი „რაზბოიონი“ — ქაქუცაო. იმ ადგილს რომ ჩავუვლიდიო, ძველ ბაღში, სულ მახსენდება დარაჯის სიტყვები „მაგარი „რაზბოიონი“ ქაქუცაო.“ მეორე შემთხვევა იყო კიდევ: აღაზნის ველზე (ბაა აღაზნის ლოქის რა შედგენა), იქაც ერთ სახში, მშვენიერი პურმარული გაიმართა და იქ იქცა, აი, აქვე, ნაფრევეები რომ დგასო, იმ სახლში მოუწყეს ქაქუცას ალყაო, და მაშინ ბუნებურ გადარჩაო, გასლტა და გაასწრო აქედანო.

თეთრიან მატანშიც, სადაც ქაქუცა იყო დაბადებული, იქაც ისე მუშაობდა მაშინდელი მთავრობა, გაჭაჭანება ქაქუცას სახელისა არ ყოფილა. ახლა მე რა მინდა, როსტომი, აი, ამ წინს კაცი ვახვიდ და თავიანდე, მე გვიჩნია, რომ ქაქუცა თამაშობდა ნაგებულ ბრძოლას „თამაშობდა“ არ ესადაგება იმ კაცის საქციელს. მისი მთელი არსება იყო მართლაც დადგურვლა სამშობლოს სიყვარულით. იმას იქ დივიზიები ცულებოდა თუ არ ცულებოდა, მაინც გასაჭირში იქნებოდა... რვა-ღურად აფსაება, რომ ვერ აფერიალვდა იქ ერთხელად დრომას... მე გვიჩნია, ეს იცოდა, მაგრამ ისეთ გარემოებაში, ისეთ ამბავში იყო ჩათრეული, თავი ვეღარ დააღლია... ალბათ, ამ ამბავმა განაპირობა კიდევ ის, რომ ქროლიან გაუღლიანდა, ტუბერკულოზით ვახდა ავადა... ეს ტუბერკულოზიც, მგონი, სამშობლოს სიყვარულის ტუბერკულოზია“.

ლევან ბრეგაძე:

„ბატონო ლევან ქურციკაშვილმა რომ ბრძანა, „ქაქუცა თამაშობდა ნაგებულ თამაშს თამაშობდითო“, ამას მინდა რაღაცნაირად გამოვხეხმავო. მართლაც ასე ჩანს, გონივრული არ ჩანს ასეთი ბრძოლა, ბრძოლა ვის წინააღმდეგ? ბოლშევიკების წინააღმდეგ, რომელმაც ზევადა მოვიდა და შინ ამ ზევაგს უნდა შეუშვირო თავი? მაგრამ მთლად ასეც არ არის საქმე! დიდი ბნის წინაა ნავიკითხე ამერიკელი ავტორების სეიფარსისა და კანის ნიკეი „საიღუპ-“



ლო ომი საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგე", და იქიდან ჩანს, რომ ქაქუცა ჩოლოყაშვილის ამბოხი მთლად უიმედო ნა-მონჯება არ ყოფილა. როგორც მახსოვს, არსებობდა გეგ-მა, რომლის თანახმად ამბოხება ერთდროულად უნდა დაწყებულიყო მთელ კავკასიაში და საბჭოთა რუსეთის დიდ ნაწილში. ამას (ამბოხების ყველგან ერთდროულად დაწყებას) პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა. მესმევოქე-ბის ნაადრევად გამოხსელის თაობაზეც იყო იქ იმ წიგნში, როგორც მახსოვს, საუბარი... ნოე ფორდანი იყო ნახსენე-ბი, ქაქუცა — არა. მაგრამ ერთდრო-ული ამბოხების გეგმა, რომლის გან-ხორციელებას ბორის სავენიკოვი ხელმძღვანელობდა, ჩაყარდა. აჯან-ყების დაწყების წინა დღეს სავენიკო-ვი დაიჭირეს, და ეს კაცი, რომელიც დიდი მტერიც იმ დროს საბჭოთა რუსეთს არ ჰყავდა, ციხეში „გაბოლ-შევიდა“, ყველაფერი მოინანია მე-რე კი თავი ჩამოიხრჩო. ასე იყო ეს საქმე, როგორც მახსოვს. ყოველივე ამის გათვალისწინებით, ვფიქრობ, უაზრო აღარ ჩანს ქართველების ამ-ბოხი, უბრალოდ, ისინი მარტო-მარტო შერჩნენ მტერს პირისპირ, იმის გამო, რომ ერთდროულად აჯან-ყების გეგმა ჩაყარდა. მოკლედ, იმის თქმა მინდა, რომ სავენიკოვის გეგმის გათვალისწინება ქაქუცა ჩოლოყაშ-ვილისა და მის თანამებრძოლთა ამ-ბოხების ისტორიის შესწავლას, ეფიქრობ, მხოლოდ წაადგება, მას-სტაბურობას შექმნის მას და არც ისე უაზრო გამოჩნდება. ასე მგონია.

იმისაც ვიტყვი, რომ, როგორც როსტომის ყველა გა-მოსვლა, დღევანდელი საუბარიც დიდი სიამოვნებით მო-ვისმინე... ბევრ რამეს ვგებულობთ ახალს. რაც მოავარია, გადამდებია მისი პათოსი — შენც მოგიჩვენებ რაღაცა მსგავსი გააკეთო, და კიდევ ერთხელ მადლობა ამისთვის მიმისწევს".

სიმბოლური იყო **ზაზა აბზიანიძის** გამომხაერება. იგი საზოგადოებას დაკინებულ ქვეყანაში შექმნილი არა-ჯანსაღი გარემოს შესახებ ესაუბრა, სადაც გმირებს ან-ტიგონური ენაცვლებიან და ასეთ ვითარებაში როსტომ ჩვიტის ღვანლს ჟანსალი ცნობიანების შესანარჩუნებ-ლად ბევრის მოქმედი და ჭკუის სასწავლებელი უწოდა. მან გამოსვლა ძალზედ ორიგინალური ყესტილი დაასრუ-ლა — ბატონ როსტომს საჩუქრად მაშის, გიორგი აბზია-ნიძის მიერ ნაქონი, შალვა ამირჯვიტის ლექსების კრებუ-ლი „მინაწერები“ გადასცა:

„სიმბოლოლოგიით დაივწყებ, ჩემთვის საყვარელი და საინტერესო თემით. სიმბოლოლოგია განასხვავებს საკრ-ალურ საგნებს, სიმბოლურ მოვლენებს და ბოლოს სიმბო-ლურ პროვინეტებს და ქვეყანაზე ძალიან ბევრი რამის თქმა შეიძლება იმის მიხედვით, თუ ვინ არიან ეს სიმბოლოური პი-როვნებანი... პოლიტიკური რომანტიკის ზეობის ხანაში სიმბოლოური პროვინეტანი არიან აღექვანდრე ბატონიშვი-

ლი, ქაქუცა ჩოლოყაშვილი. იმ დროს, როცა ქვეყანა კინ-დებდა, მისი სიმბოლური პროვინეტანი ხდებოან ქარაფულტა, უხამსი მსახიობები და კუნთბაგარი სპორტსმენები, მეტი აღარაა. მე ისევე მგონია, რომ მთელი პათოსი როსტომის მოღვაწეობის — და არ შემეშინებება ამ წუთში ამ სიტყვის თქმისა — არის აი ამ სიმბოლურ პროვინეტათა სპექტრის გა-დანაცვლება, შებრუნება იმ ლრსიველი პროვინეტებისაკენ, ჯერ ერთი, გახსენება უბრალოდ, იმიტომ, რომ არჩილ ჯორჯაძე ვის ახსოვს ამ ქვეყანაში. ახსოვთ და გაისიხენს

ქაქუცა ჩოლოყაშვილი, აი იმ დემონს-ტრაციების შემდეგ, იმ ტრანსპარან-ტების შემდეგ, იმ არცთუ ალსაბაცე-ბელი სპექტაკლის შემდეგ (არ მინდა რამე ცუდი ვთქვა თეატრზე, რომელ-მაც კმუთობდა და ჩემი ბიოგრაფიით ვარ დაკავშირებული), მაგრამ ესეც რაღაცა დეკორატიულია, ისევე, რო-გორც სამარტოტო ტაქსში პირვე-რის გადაწერა არაფერს არ ამბობს ქვეყნის რელიგიორობაზე და ქრის-ტიანულ სანყისებზე... თუ ამ სიმბო-ლურ პროვინეტებს მივხედუნდებით, ერთ-ერთის მძღვეც დაფიქრება ძა-ლიან ბევრის მოქმედი და ჭკუის სასწავლებელი. აქ მარტო ქაქუცა არ არის, აქ არის ძალიან ბევრი რამ... ხანდახან ჩვენთვის ძალიან მიმეხვ დასასწავლებელი ბიოგრაფია. ისეთი რამ, რაც გინდა ამოიკრებო მესხიე-რებთან. აი, ეს ექიზოვი ვახტანგ რა-ზიკაშვილისა — სამარცხვინო და და-სასწავლებელი ადამიანისთვის... ხში-



ქაქუცა ჩოლოყაშვილი

რად არის ამ რომანში ნახსენები შალვა ამირჯვიტი, ძალიან საინტერესო ბიოგრაფია. ერთ ექიზოვი ნავიკითხვ თქვენი ნებართვით, შალვაზეც ლაპარაკი... და გადაბოლიდა მისი ლირიული ლექსების პანიკრებულა — „მინაწერე-ბი“: აბა, ჩაკითხე, სიზმრებისა და არქედლების პოეზია თუ არ არისო...“ — საერთოდ, ეს ბიოგრაფიული რომანი იკითხება არაჩვეულებრივი ინტერესით, ვერ მოწყდები და მინც მოწყდები იმ ადგალის, სადაც ეს ჩაკეთდა. მიყვინ იმ თაროსთან, სადაც „მინაწერები“ იღო და გადავდე მეორე თაროზე, სადაც ერთი ნაწევარი უჭირავს როსტომის წიგ-ნის და ეს „მინაწერები“, მამაქვის ნაქონი, რომელიც თა-ვის დროზე ჩაკეტულ თაროში იჯარებოდა. ვიცოდი, რომ ეს განდობილთა თარო იყო, — სტუმრიანობის დროს და როცა უცხო ხალხი ტრიალებდა სახლში, არ უნდა მიკარებოდი: გრიგოლ რობაქიძის, მიხეილ ჯავახიშვილისა და სხვათა აკ-რძალული წიგნები იღო. აი, ეს წიგნიც მათ შორის, და ვი-ფიქრე, შეიძლება ჩემმა 70-მა წელმაც მავიჭრებინა, რომ მინდა როსტომს გადავცე ეს წიგნი და ჩემი გამოსვლა ამ სიმბოლოური ყესტილი ადამიანისთვის“.

ირმა ჭბათანი:

„შესანიშნავი საჩუქარია, ბრწყინვალე...“

ეშარი კვიციანიშვილი:

„ახალი ნაკითხული მაქვს ეს წიგნი. ჩემი აღტაცებაა გა-კუზიარე როსტომს. მძილავს მისი მწერლური და ორ-

ელენე ამაღლობელი

შავი ჩონის მისტერია

როსტომ ჩხეიძის ახალი ბიოგრაფიული რომანის წარდგინება

„ეს არის ნიგნი პიროვნებაზე, რომელიც მხოლოდ იმით კი არ არის ცნობილი, რომ მე-11 არმიას ებრძოდა და უზარმაზარ იმპერიას ამბოხებოდა, ის კავკასიური ეთიკის, ზნეობის, ჩვენი სინდისისა და კაცობის სიმბოლო გახლდათ“, — ასე იტყვის **ერეკლე საღლიანი** სამეზბის ახალგაზრდულ ცენტრში, წარდგინებაზე **როსტომ ჩხეიძის** ახალი ბიოგრაფიული რომანის „**შავი ჩონა**“, რომელიც 1924 წლის აჯანყების თაოსანს ქაქუცა ჩოლოყაშვილს ეძღვნება.

როცა მე-11 არმიის ნაწილები უტყვევდნენ და მცირედნი შემორჩნენ შევიწყული მძებრი, ქაქუცას ქისტებთან კაცი გაუგზავნია და დახმარება უთხოვია. მათ უარი უთქვამს, რადგან ერთ-ერთ შაბიტულ ზვესურს ქისტები მოუკლავს. იმ ხვესურს მოსისხლე მტერთის შვილი გაუგზავნია და შეუთვლია: თუ თქვენი წამოუსვლელობის მიზეზი მხოლოდ ეს არის, ალღუთ სისხლი და გადმოიხიეთ ამბლამ, დაგვეხმარეთო. იმ ღამეს ქისტები მართლაც გადმოიხილან, ბავშვი უფრებლად ჩაუზარებიათ მამისათვის და საერთო მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში ქართველთა გვერდის დამდგარან.

ამ სულსემძებრულ ისტორიას ერეკლე საღლიანი გაიხსენებს კავკასიური ეთიკის ნიმუშად და იმის დასაწახავად, თუ რამოდენა მნიშვნელობა ენიჭება დღეს ქაქუცა ჩოლოყაშვილის სახელის გაცოცხლებას, კავკასიური სინდისისა და კაცობის სიმბოლოს ნაშრომებს. ამიტომაც აღნიშნავს:

— თუ არის დარჩენილი ლიტერატურის რომელიმე სფერო, რომელშიც ჩხეიძის მადლობა კალამი არ შეხებოდას. ზის, თარგმნის, წერს ნიგნებს, რომლებიც ყველაზე მეტად სჭირდება ჩვენს ქვეყანას. მისი უფრო იმ მწერლებს, იმ სახელებს დასტრიალებს, თავის დროზე ცენზურის მარწმუნებში რომ მოუქცენ და მკითხველამდე მისვლა დაავანინეს. განსაკუთრებული მადლობა მინდა უთხრობ და ვარკველი თაობის, 40-იან წლებში გერმანულეთთან თანამშრომლობის ბრალდებით რეპრესირებულ უნიჭიერეს მწერალთა შემოქმედების გამოთვლებათვის. სხვა რომ არაფერი დაეწერა, მის დიდ ღვაწლად მხოლოდ პავლე ინგოროყვას შესახებ ბიოგრაფიული რომანი იკმარებდა, არადა ერთმანეთზე უკეთესი ნიგნები დაუნყო მომავალ თაობასო.

ქაქუცას სახელი ჯერ კიდევ იმ დროიდან ესმოდა, ვიდრე ნერაკოთხვას დაიწყებდა.

ოთარ ჩხეიძე ხშირად ამბობდა: სამმა პიროვნებამ ითავა ალერულებიან ბაგრატიონთა ვალი — ილიამ, არჩილ ჯორჯაძემ და ქაქუცა ჩოლოყაშვილმაო. ხანი უნდა გასულიყო, რომ ამ ადამიანთა ღვაწლში გარკვეუ-

ტორული ხელოვნება და ამ შემთხვევაში მახსენდება ჩარლზ დიკენსი, რომელიც თავის რომანებს საჯარო გამოსვლებისას ატყვდა საათნახევარსა თუ ორ საათში. ასე გენიულურად ფლობს როსტომი ორატორულ ხელოვნებასაც. უზარმაზარ-ვალესი ნიგნია. ერთი აზრი მაქვს, რამდენიმე ადგილას, ცოტა საეჭვოდ გამოიყოფება (შომეწონა როსტომის ტერმინი „ჩეკელეები“) ჩეკელთა მიერ მოტაცებული შალვა მალაქაძედიე. ერთგან იყენებს კიდევ როსტომი მის შემუარებს. ვიტყვორ რეხილაქემ გამოაქვეყნა მისი ამბავი... ვიტყვორს აქვს ჩემთვის ნათქვამი, ერთადერთი კასეტაო, ჩემი ნაამბობისო, ზვიად გამსახურდიამ ნაილო და დაიკარგაო. არ ვიცი, როგორ დაიკარგაო... მაინც პატრები შეყვდათ ეს კაცო... სამსახური მისცეს, იურისტი იყო... ვახვთვიქლებამც მიიღო მონაწილეობა... ემიგრაციაში არ აქვს კარგი სახელი.

მაინტერესებს ერთი ეპიზოდი, ერთი ახლობელი კაცია ჩემი — დევი შორასი, მითხრა, ბები-აჩემი კავთისხვეული ქალიაო, თურმე სტალინთან იმყოფებოდა და სტალინს გაათავისუფლებს გიორგი შატბერაშვილიო, კულაკების მხარდამჭერა დასწავს და ამიტომ დააპატიმრესო...

როსტომ ჩხეიძე:

„შემაგრეს ბრალდება ეს ლექსი იყო ქაქუცასადმი მიძღვნილი, მერე კულაკთა მხარდამჭერაც მიაყოლეს...“

ეზნაზ კვიციანიშვილი:

„როსტომმა ამ საჯარო გამოსვლისას გამოტოვა ქაქუცა ჩოლოყაშვილის აგონიის ეპიზოდი, ასე შესანიშნავად აღწერილი რომანში, თუ როგორ იღუპება იგი სანატორიუმში. ამხელა ვიქცაკი დარღობს, დღეში ოთხჯერ უნდა ვჭამოი, ლუარსაზს თათქარბედ ვიქცეოი... და ბოლოს, თეიონი ილია ქვხავედა და უზენება, ჩემი ბიოგრაფიიდან ჩავეღეს მის მითხრობაში და მე უფრო ვარ ლუარსაზი, ვიდრე შენი... არჩევეულებრივია...“

სავსებით დამაჯერებელია, თავიდან ბოლომდე როგორ გასდგეს ამ წიგნს მიზელი ჯავახიშვილის ტანჯული არჩდილი. რამხელა თვითგვეგმა, როცა იგი თეიმურაზ ხევისთავს საკუთარ თავს ადარებს.

ასევე საინტერესოა, როგორც ცოცხლებდა ნიგნში მისა ხელაშვილი. უზარმაზარი საქმე გამოვიდა, არ მეგობა, თუ მისაკ წერეთელზე ბიოგრაფიული რომანის შექმნის შემდეგ ასეთი ექსპრესიით დაწერდა სამიოდ თევეში ასეთი შვენიერ ნიგნსაც. ჩემი მეგობრისა არ იყოს, სამოცდაათს მეც გადაცილებული ვარ, მაგრამ ჩემი ემოციები არ ტყუიან და ვულოცავ როსტომს ამ შესანიშნავ ნიგნს. როგორც მამამისმა მხატვრული პროზით შექმნა ქართლის ცხოვრების მატჩიერი, დოკუმენტურ პროზაში იმევეს აკეთებს ჩემი როსტომი და მინდა, რომ დიდი მადლობა მოვახსენო ამისთვის“.



ლიყო. ამბები, ეპიზოდები, ხასიათები, რომლებიც ამ წიგნშია აღწერილი, ვერ კიდევ თხოუმეტი წლის წინათ შეეგროვებინა და სურვილიც გასჩენოდა, დაენერა წიგნი ქაქუცა ჩოლოყაშვილზე. თითქოს მასალაც ჰქონდა. ეს ყველაფერი გაეაზრებინა კიდევ, მაგრამ... ვერა და ვერ იწყებდა წერას. შთაგონებას სჭირდებოდა და ეს შთაგონებაც, რაღაცნაირად გაჭირვებულბულიყო.

ერთხელაც, მარჯანიშვილის თეატრის სცენაზე, გადაჭედდა დარბაზში ნახავს საქტაკლს ქაქუცა ჩოლოყაშვილზე (რეჟისორი ლევან ნულაძე, პიესის ავტორი გურამ ქართვილიშვილი) და რომ ალტაცდებდა, იფიქრებს, შთაგონებაც ეს აღმოჩნდებაო, მაგრამ... ალტაცებული მაყურებლის ნერიით დამთავრდება ყველაფერი.

დრო კი გადიოდა... დროს სულაც არ ანაღლებდა, ელოდა ვინმე თუ არა, თავის საქმეს აკეთებდა მარადიული სიზუსტით და ზუსტად იცოდა, როდის, სად და რა უნდა მიეტანა. აი ის კი, ვისაც სურდა დროისათვის გამოეჩატა ბელიდან დიდი სახელები, ვინც, მათ ბედისწერას გამოადგენბული, წარსულს, ამწყოსა და მომავალს ერთნაირად უკირკიტებდა, თავის საქმეს აკეთებდა და დიდ წინაპართა სულის გამოწაბობას ეწრაფოდა.

ამიტომაც იტყვის შეკრებაზე **მაკა ჯობაძე**:
„როსტომ ჩხეიძე დროით დადგენილი, დროით შემონმებული ვარსკვლავების, რაგინდ უცნაურადაც არ უნდა ფერდეს, აღმოჩენით არის დაკავებული. ეს მისი სისხლბორცული საქმეა, მისი სტიქიაა, მისი სასიცოცხლო სიერცეა. ათწლეულთა და საუკუნეთა სიღრმეებში ჩუმად ჩარჩენილ სახელებს უფიცობისა და გულგრილობის ფერფლად განაწინად, მთელი ბრწყინვალეობით გადმოსახება ისინი ჩვენს დროში, სული შთაბერა, გააცოცხლა. ეს ძალიან რთული, ძნელი საქმეა, კეთილშობილური, უმაღარი, ხშირ შემთხვევაში საარსიო საქმეც, რადგან ჩვენს სინამდვილეში გარდაცვლილები ხშირად ცოცხალთა საქმეს აკეთებენ“.

ჯანსუღ ჩარკვიანი კი დაძმენს:
— ისეთ დროში ვცხოვრობთ, რის ქაქუცა, რა ქაქუცა, მალე იაკობ გოგებაშვილი არ ეცოდინებათ. აი, ამ გზით მივდივართ და დღერთმა დაგვიფაროს, ასე გაგრძელდეს. ამიტომ დღეს ქაქუცას გაცოცხლება დიდი ვაჟკაცობა მგონია. თუ წარსულის ფასი არ იცი, ამწყოს ვერ შეაფასებ, და მომავალიც ვერ გაიმარჯვებს. როსტომ ჩხეიძის წიგნებში კი საომივე დროა გერწყმულიო.

ახალი დამთავრებული ჰქონდა რომანი მიხაკო წერეთელზე, საბოლოო რედაქციაზე მუშაობდა, როცა ემზარ

კვიტაიშვილმა ახალგამოცემული წიგნი გადასცა სპირიდონ კვიდის მიმონერების შესახებ და რომანიც სანტერესო პასაჟებით შეივსო მიხაკო წერეთელზე.

ხანი გავიდა მას შემდეგ და ერთხელაც ნამოგონდა, თითქოს სადღაც ამოვიკითხოს, რომ ქაქუცა ჩოლოყაშვილი ლუარსაბ თათქარიძესთან აიგვიგნდა თავს, ოღონდ ვერ კი იხსენებს სად. თუ ეს წარმოსახვის ნაყოფი აღმოჩნდებოდა, ფრაზა სტატის დანერას ეყოფოდა;

თუ აღესქანდრე სულხანიშვილს ეწერა ან შალვა ნუცუბიძეს, ქაქუცა ამ გვითხრობდა, მცირე მონოგრაფიაც გამოვიდოდა; და თუ თვითონ ქაქუცა ამბობდა... გამზადებულ ქარგა იქნებოდა რომანისა.

და გულისფანქვალით რომ შლიდა წიგნს სპირიდონ კვიდას ჩანანერების შესახებ, თან ქაქუცას სულსაც ევედრებოდა, იქნებ როგორმე ეს ფრაზა მაპოვინოო... და, აი, კიდევ:

„შე თვითონ გადავწყვიტე, დავმორჩილებულიყავ ლუარსაბ თათქარიძესავე ბედსა“.

ქაქუცა ამბობდა... ქაქუცა ჩიოდა თავის ბედს.

და ეს ოდესღაც რომელიღაც წერილიმ დაწაკენილად ეწერებოდა, სულაც მას შემოეჭსოვება ნანარმოების კომპოზიციური ქარგა და კიდევ ერთი ბრწყინვალე ნიმუში შეემატება თანამედროვე მხატვრულ-დოკუმენტურ ჟანრს.

— როსტომ ჩხეიძის ყველა რომანი, ფაქტობრივად, დოკუმენტალისტიკაა, მაგრამ დიდი შემოქმედის მიერ დაწერილიო, — აღნიშნავს შეკრებაზე **ლია სტურუა**, — პირადად მე განსაკუთრებით მიყვარს მისი მონოგრაფია „ქება სიზარმაცისა“. როგორი ოუმორით არის დაწერილი და რა ზუსტად გამოხატავს თავის არსს, მაგრამ ისიც პოეტის დაწერილია.

როსტომ ჩხეიძე ლიტერატურის ადამიანია. ლიტერატურის გარეშე, დარწმუნებული ვარ, ვერ იცოცხლებდა. ამ ყველაფერს ამგვრებს ის, რომ იგი დიდ სახელებს პატრონობს. ქაქუცა ჩოლოყაშვილი მნიშვნელოვანი პიროვნება იყო საქართველოს ისტორიაში და მისი სახელის ნამონევა ძალიან საგულისხმოა, მით უმეტეს დღეს, როცა ასე მოგვეძალა სხვა ღირებულებები. კი მატროს, ძალიან მიყვარს ევროპა, მაგრამ მე ევროპელი არ ვარ, ქართველი ვარ და ქართველად უნდა დავდგე ყველგან. როსტომ ჩხეიძე ამ ქართულ საქმეს აკეთებს, რისთვისაც დიდი მადლობელი ვარ მისი.

და კიდევ... არ იცი, არასოდეს მიკითხავს, მაგრამ მგონი ლექსებსაც უნდა წერდეს, რადგან ის აშკარად პოეტია.



როსტომ ჩხეიძე

გვიანდელი პერიოდი რომანისთვის „შავი ჩოხა“ და-
ერქმია. ამ სათაურში ქაქუცას ბედისწერაზე გავსიმბოლოვე-
ბულიყო და ჩვენი ქვეყნისადაც. და ერთხელაც თავის საყვა-
რულ ნივთს — მიხილვ ჯავახიშვილის ჩანაწერებს რომ გა-
დამოღოს — რომელშიც თავის დროზე საგულდაგულად ჩა-
უსხაზავს საინტერესო ცნობები თუ სასაქები — ერთ ასეთ
ფრაზასაც აღმოაჩენს (ოფესილაც საგანგებოდ ჩანიშნულს,
მაგრამ მივიწყებულია და ცნობიერებაში მიკარგულს):
— მინდა დავეწერო რომანი „შავი ჩოხა“.

ოლონდ მიხილვ ჯავახიშვილი არ აზუსტებს, ვის უნდა
ეძღვნებოდეს ეს რომანი. მინიშნებითაც არ მინიშნებს,
მაგრამ... სამშობლოს ბედისწერის გამოდევნებული ადა-
მინისთვის, იმისთვის, ვინც მიხილვ ჯავახიშვილის გუ-
ლისნადღისაც უეკრიტებს, თავისთავად იგულისხმება,
რომ შავი ჩოხის „შვიდავი“ კაცო, ვინ-ვინ და, სწორედ ქა-
ქუცა ჩოლოყაშვილი უნდა ყოფილიყო.

ქაქუცას ჩოხაზე სისხლში გასამებულიყო.
ქაქუცაც ლეთისკაცად ეცნო ერს გენით, გონით და სამ-
შობლოსადმი უნაპირო სიყვარულით. და რა გასაკვირი იქ-
ნებოდა მწერალი, რომელიც თავად იყო მონანილ იმდრო-
ინდელი მოვლენებისა, ვის თავზე გადავიდა ის ქართვე-
ლიები, სურვილი ჰქონოდა ამ ყველაფრის გაცოცხლებისა.

— ეს არის რომანი, რომელიც მიხილვ ჯავახიშვილს
უნდა დაეწერა, — ასე დაიწყო თავის გამოსვლას შეყრე-
ბაზე თეიმურაზ ქორიძე, — ეს არის ნიგინი შავი ჩოხის,
დაუყოყნარ, მარადიულის შესახებ.

აქ საოცრად ერწყმის ერთმანეთს მეცნიერი და მწერალი;
ეს ჩემი ნიგინა — ასე შემოვიდა ქიქვა და ასე იტყვის
ბერი თთვერანი, რადგან შავი ჩოხის ნოსტალგია ნოს-
ტალგია იმ დიდი თაობისა, რომელიც გაბადა და იბრძო-
და, და რომლისთვისაც ბაზალეთის ტბის ძირას დაჯანე-
ბული აკანია შეიძლება ყოფილიყო მისტაფიკაციური
მოგონება. მაგრამ... ყველაფერი შეიძლება რეალობად იქ-
ცეს და გაცოცხლდეს, როცა დადგება ისტორიული ნული,
როცა ჭეშმარიტების საათი დადგება.

ხომ საითქოს ძალიან შორეულია გიორგი ათონელი თა-
ვისი საოცარი ფრაზით: „ნათესავი ქართველთა უშანკო
არს“... მაგრამ ამ ყოვლისმომცველ სიტყვების უპროფრა-
ზისას ავტორი შენიშნავს, რომ ქაქუცა ჩოლოყაშვილსა
და, საერთოდ, იმდროინდელ ქართველთაში ქართულ
უშანკოება აბზობდა. თეთი ყველაზე დიდი ნიპონისტი
ფრანც კაფკაც კი შენიშნავდა, ადამიანს არ შეუძლია იარ-
სებოს რაღაც დაუწვრვრელიად მიტყვი რწმენის გარე-
შე. შეიძლება დაწვას საკუთარი ნაწერები, ცრემლი ღვა-
როს საკუთარ თავზეც, შერობაზეც, ქვეყანაზეც, მაგრამ
ვერ იცოცხლებს ვერც ერი, ვერც ბერი, ვერც კაცი, თუკი
უკანასკნელ დასაყრდენს დაკარგავს. და ეს ამბობებული
უშანკოება, ეს არის — თუ გნებავთ, ეგზისტენცი, რომელ-
იც მუდმივად ფეთქებს ქართველ კაცში — შავი ჩოხის
გამარჯვებაცაა, ცრემლიცაა, ყიფინაც გამარჯვებისა.

ჩვევს არანაკლებ მძიმე დროის შეილება ვართ, და რო-
ცა ჩვევს საათებთან, წუთებთან საოცრად მსგავს დროზე
გვესაუბრება როსტომ ჩხეიძე, ძალიან საგულისხმო რამ
მგონია. ნიშანდობლივია ისიც, რომ რომანი, რომლის შექ-
მნაც სურდა მიხილვ ჯავახიშვილს, ასე უნდა შემდეგ ინე-

რება და გვახსენებს ნარსულს, არა მხოლოდ იმიტომ, რომ
ისტორიაა, არამედ იმიტომაც, რომ საოცარი ძაფები გვა-
კავშირებს ამ ისტორიასთან.
მაღლობა როსტომს ამ კავშირისათვის.

დროთა კავშირი კი თვითონ არსთაგამრიგებს დაეფე-
ნა და დამტკიცებინა თავისი ბეჭდით.

შემთხვევითი ხომ არ იყო, იატაკქვეშეთიდან ამოსულ დი-
სიდენტურ მოძრაობას ორი პორტრეტი რომ გამოეფინა —
ალექსანდრე ბატონიშვილისა და ქაქუცა ჩოლოყაშვილის.

ეს ორი სახელი იყო სიმბოლო თავისუფლებისა, გა-
მარჯვების რწმენისა... და პორტრეტების ტაროლი კიდევ
დაგვირგვინდებოდა შემტრეტების დაშუქადებლობის
გამოცხადებით.

ათონეულების შემდეგაც განესაზღვრა ქართული სა-
ხელმწიფოებრიობის ბედი. იმ საწინააღმდეგარეობებულ
ბრძოლას ამაოდ არ ჩაველო. ავბედითი საუკუნის მინუ-
რულს დამდგარიყო 1924 წლის აგვისტოს დღეების ნანატ-
რულს ნათელი და სხვა შუქით გაბრწყინებულიყო ქაქუცა ჩო-
ლოყაშვილის სახელიც. ის სახელი, შერეც, სამშობლოდან
გადახვედის შერეც დიდხანს რომ ტრიალებდა ხალხში და
მსხინლად ელოდნენ მის გამოჩენას.

— ხალხი ტყემი გადის, შენ გელოდებიან, თუ დაბრუნ-
დები, ახლა კი ნამდვილად გადავიგდები თუღელსა, — ეცბე-
ნებოდნენ საქართველოდან შორს, პარიზში მყოფ ქაქუცას,
მაგრამ მის უკვე აღარაფერი შეეძლო. დარდიო დადნარი
სანაოლს მიუჭაჭულებოყო და ვერაინი გული უტრიოდა.

„შერამდენედ ხამდებოდა სისხლში ქართული ჩოხა.“
შერამდენედ უნდა გადახვეილიყო ქვეყნის უკვდავ
სულად უფლისგან ნაგულისხმევი საქართველოდან, შერე
რომ ტკივილიანი ზემით დაუბრუნდებოდა უნიმდეს
ალაგს — მთაწმინდას.

როსტომ ჩხეიძე ქართველთა მარადიულ, წყველაკ-
რულევის საკითხაზე დააფიქრებს მკითხველს, საუფლო
სიტყვის დამმარხებლებზე — თავადაც საუფლო სიტყვის
დამმარხებელი.

პირველად იყო სიტყვა... დამარხებულ არს ენაი ქართ-
ლი... როცა ასე მოძალდებულა „ხალისობანი ბრიყოსანი“,
დაველოდოთ უკეთეს დღეებს, რომელთა გარდაუფლობის
ეს სწამდა ერის მასხურად ნათესავან ხელდახსნულ ქა-
ქუცა ჩოლოყაშვილს და ასე უნდა დიდ მამულიშობელ
ქართველთა კიდევ ერთხელ „დამაფიქრებელ“ როსტომ
ჩხეიძეს — გმირთა დაუღალავ ქონებას და მოსარჩუნეს“,
— იტყვის ნანა კუცია. თვითონ როსტომ ჩხეიძე კი, ათწ-
ლეულების შემდეგ ქაქუცას ხსოვნასაც რომ დადაგამს
ნათოლს, ასე დასაბრუნებს საღამოს:

— ინვა სარცელებუ ვეცას გმირებთან გათანაბრებუ-
ლი, ვაჟას ლექსებზე ცრემლი საღიოა, რაკი მათში ხედვე-
ლად საქართველოს ბედისწერას.

ისა ბნელ ზეგმი მოსულსა დიდი ჭადრები ჰფარავდო,
— აი, ამ სტრიქონებზე უტრიოდა გული და ვერაინი გადა-
ანმუნებდა, რომ ის ია, ზეგმი მოსული, რომელსაც დიდი
ჭადრები ფარავს, საქართველოს, ტრავალოლი საქართვე-
ლო, რომელიც სწორედ მისი ძალისხმევით...

მისი ძალისხმევით უნდა აღდგარიყო მკვედრით.



როსტომ ჩხეიძე

ახლა კი — ფარდის ბახსნა

ნოდარ გურაბანიძის მონოგრაფიის — „მიხილ თუმანიშვილის თეატრი“ — ნარდგინებისას მანანა ანთაძე ამასაც იტყვის: ნუხელ დაიწყე ამ წიგნის კითხვა, რათა რაღაც შთაბეჭდილება შემეჩინოდა, და ვერც გავიგე, ისე გავიდი ბოლოში.

შემომეკითხაო, — ასეთ დროს ამგვარადაც ითქმის.

და ამხელა წიგნს ერთი ჩაჯდომით ძალდაუტანებლად რომ გაასრულებ, მართლაც რომ შემოგეკითხება, ცხადია, ამას მკითხველის პროფესიონალიზმიც იწვევს, მაგრამ უპირველესად თხრობის ის იდეალური, ჯადოსნური სიბილი, ერთბაშად რომ ჩაგითრეს, თავის დინებაში მოგატყვევს და... ამოყვინთვისას ნაკითხული წიგნი შეგრჩება ხელთ.

ნოდარ გურაბანიძის კალამს აქვს ეს უჩვეულო მადლი. ისე ცოცხლად, ისე მიმზიდველად მოგითრობს, თითქოს ბელეტრისტიკა და არა ხანცენიერო კლდეოა.

სტილის დახვეწილობამ და არტისტიკაშია მიყვანა იგი მხატვრულ-ესთეტიკური მინიატურების ციკლამდე „სამკაირო თეატრალის თეალით“, რომელიც ათწლეულთა მანძილზე იცნებოდა და უკვე ორ წიგნს მოიცავს.

მიიყვანა ავტობიოგრაფიულ რომანამდე. ეს თხზულებანი მხატვრულ-დოკუმენტური პროზის ჩინებული, ქრესტომათიული ნიმუშებია, ოღონდ საგულისხმო ისაა, რომ მისი პირწმინდად მეცნიერული ძიებანიც ამავე რკალში ექცევა და ჟანრობრივად შესაძლოა განისაზღვროს როგორც: მეცნიერული პროზა — ნაკადი, რომელმაც XX საუკუნის მეორე ნახევარში სულ უფრო მკვეთრად იჩინა თავი და ჩვენს სამწერლო ცხოვრებასაც გადმონდა. ზოგადი ტენდენცია ჩვენთვისაც მახლობელი აღმოსავლეთი, ლიტერატურის მიწაგანი განვითარების ლოგიკითაც ნაკარნახევი, და ნოდარ გურაბანიძის წერის, თხრობის მანერა ზუსტად მიესადაგა ამ მიმართულებას, რომელიც ევრასოდეს გადავარავს სხვა მხატვრულ-დოკუმენტურ ფარებს, მაგრამ ყოველთვის შეინარჩუნებს საკუთარ ადგილს — კოლორიტულს, თავისებურს, შეუცვალებლს.

„მიხილ თუმანიშვილის თეატრი“ ტრილოგიის ნაწილია, და თუმცა ყველაზე ბოლოს ის დაიწერა, ქრონოლოგიურად საბავშვო მოქცევა დაპარჩენ მონოგრაფიებს: „რეჟისორი რობერტ სტურუა“ და „ფანტასტიკური რამაზ ჩხიკვაძე“.

ნოდარ გურაბანიძეს სხვადასხვა დროს არაერთი რეცენზია თუ გამოხმაურება მიეძღვნა მიხილ თუმანიშვილის სპექტაკლებისათვის, მაგრამ ამჯერად მათ კი არ იმეორებს, არამედ მხოლოდ ითვალისწინებს, რათა მონოგრაფიის აღნაგობაში ცოტა უხეშად არ შეიქმნას ადრინდელი სტატიები და კომპოზიციური მთლიანობა ოდნავადაც არ დაახინოს.

როგორც მონოგრაფიისათვის არის ნიშანდობლივი, „მიხილ თუმანიშვილის თეატრში“ მითითებულია ამა თუ იმ წიგნისა ან პუბლიკაციის უხეშად მოხილვით და გვერდებშიც, უხეშადაა მოხილული ციტატებიც. საქმარისია მხოლოდ, რომ მითითებანი ამოვარდეს. ციტატებშიც გამოიხშიროს, აუცილებლობისას კი პერიფრაზი ამოჯობინოს ავტორმა, რომ ხელთ გვექნება ჩინებული ბიოგრაფიული რომანი.

თუმც — მართალია ამ ფანრის ნიმუშები ბევრი არ მოგვეპოვება, მაგრამ კიდევ უფრო მკვირდ გამოიყურება სამეცნიერო პროზა, ამიტომაც ნოდარ გურაბანიძეს ურჩივება, რომ ეს მცირედი გამოაჩინოს უფრო ხელშეახლებად, ამ ფანრს შემატოს თავისი ეს ტრილოგია, ვიდრე ბიოგრაფიული რომანის ნაკადს.

იხე მაინც რა იყო მიხილ თუმანიშვილის ნამოსვლა რუსთაველის თეატრიდან — სახელმწიფეჭილის, ამხელა გავლენის მქონის, შემოქმედების ზენიტში მყოფის, წინა არაერთი წარმატება რომ ეგულდებოდა. და ეს ახალი გამარჯვებანი რეალობა რომ გახლდეთ, კიდევ თვალნათლად დადასტურდა კიონოსახიობთა თეატრში დადგმული სპექტაკლებით. ვითომდა ექსპერიმენტული თეატრალური გარემო მის ხელში წამდელი დიდებულებას შეიძენდა, და მითუფრო გასაოცარია, რატომ და როგორ უნდა გამოიკეტოდა ასეთ დროს რუსთაველის თეატრის კარი?!

თუ არ შევალამაზებთ ამ დრამატულ ეპიზოდს, მიხილ თუმანიშვილის ნამოსვლას გამოვდენა, გამოძევება უფრო შენიშნება.

ამგვარი გამოძევებანი უჩვეულო არ გახლავთ თეატრალური ცხოვრებისათვის, მაგრამ მართლაც ასე ყოველგვარი ხმაურის, აფორიზმის, საზოგადოებისათვის რაიმე ცნობილი დაპირისპირების გარეშე?!

დაიბ — არც „ზემოდან“ მოუხსნიათ და არც თეატრის ხელმძღვანელობას გაუთავისუფლებია ოფიციალურად.

ნოდარ გურაბანიძე ამ გარემოებებს რომ უსკვირდებდა, ამ საიდუმლოს ამოსხნას რომ ცდილობს, ყოველგვარი წერილობის აღდგენასა და გათვალისწინებას, იმასაც შეახსენებს მკითხველს, რომ მას შემდეგ რეჟისორმა გამოსცა ექვსი წიგნი, სადაც ვინმეს მიმართ საყვედურიან სტიქოებაც ვერავინ იპოვნის, უშუალოდ არავიზე განწყენებულია:

— ბევრზე გულგატეხილსა და გულნაკლავს ძველებურად უყვარდა თავისი ძველი მეგობრები „შვიდობაში“ და თავისი მონაფეხი, რომელთაგან განსაკუთრებით გა-



მიორჩენილად რ. სტურუა და თ. ჩხეიძე... შეიდაცადადან“ მხოლოდ ე. მანჯგალაძემ და გ. გვაგუჭკორმა უერთგულეს ბოლომდე...

მაშ რ თხაბა?

მიხელ თომანიშვილის უქადურესად გამახვილებულმა, გაფაქიზებულმა სენამ იგრძნო რუსთაველის თეატრის ცხოვრებიდან მისი გარიყვის გარდუვალობა და... თვის არ აკადრ, მოზღაუჭებოდა იქაურობას და, თავის მონაფეცებს კი არ გამოირიდებოდა, მათთვის კი არ დაეთმო ასპარეზი, არამედ თეთონ ისინი ჩამოცილებინა.

არადა, იოლად დათმო.

ყოველ შემთხვევაში, გარეგნულად არაფერს დატყობობა მისი განაწინებება. ამ ყველაფერმა მის სულში გადაინაცვლა, იქ ჩაგულბა და საზუღამოვად ჩაიკირა.

დაე მისი ასეთი მოქმედება ხელსაყრელი ყოფილიყო ყველათვის და კიდევ გახარებოდათ.

— ხელისუფლებამაც და თეატრის ხელმძღვანელობამაც პოლიტესავით დაბანანეს ხელი და ამ ისტორიიდან სულთაღდ გამოვიდნენ.

ადილად ამოსაცნობია შეუფარავი ირონია — პილატესავით სუფთად გამოსვლა რაღა სუფთად გამოსვლა, არა?! ის ორი ნერული-განცნობა, რაც ჩართულია ამ მონოგრაფიაში, ერთხელ უკვე გამოქმუწურდა ნათელა ურუშაძის ნიგში „მთავარი მოწმის ნაამბობი“, მათგან პირველს კი აკაკი ბაქრაძის დოკუმენტური რომანიდანაც ვიცნობდით — „ნიღბების სამყაროში“, სადაც ისიც დატყვევებულია, რომ განცხადებდა, რომელიც ხელს ანერვორობერტ სტურუაც და თემურ ჩხეიძეც, და ადრესატები კი არიან საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილების გამგე და საქართველოს კულტურის მინისტრი, უშუალოდ ბატონი აკაკის, თეატრის იმჟამინდელი დირექტორის, მიერაა დაწერილი.

განცხადებამი ასეთ სტრიქონებსაც ამოკითხავთ:

— რუსთაველის თეატრის კარი სპექტაკლების დასაღდგმულად ყოველთვის ღიაა და აღესპიძისა და მ. თუმანიშვილისათვის, როცა მოისურვებენ, შეუძლიათ დადგან წარმოდგენები, მაგრამ წინააღმდეგე ვართ მათი კოლეგიაში მოსვლისა, როგორც მამველი რაზმისა, რომელმაც კატასტროფისაგან უნდა იხსნას თეატრი.

და იქვე ულტიმატუმი: თუ ჩვენს აზრს არ იზიარებთ, ჩვენ შეგვიძლია წავიდეთ რუსთაველის თეატრიდან და, უნდა მიზანშეწონილად მიგანიათ, ისინი მოვიდნენ და ვინელმძღვანელონ თეატრსო.

გითბეველიც შეამჩნევს და მონოგრაფიაშიც საგანგებოდაა აღნიშნული, რომ სარეჟისორო კოლეგიის განცხადება განსაკუთრებული ტექნიკით არ გამოირჩევა. ჯერ მარტოს კი გამოიქმეები რად ღირს ორი დედი რეჟისორის ინტერნისაივის. და რას წარმოიდგენენ, თუ ორივე განცხადებმა მიხეი თუმანიშვილის ხელში აღმოჩნდებოდა.

ეტყობა, განცხადების ავტორებმაც იგრძნეს ეს უხერხულობა და ამიტომაცაა, სასწრაფოდ რომ მისაფენებენ მეორე ბართასაც, რომელშიც იმ პირველი ნერილის დაბრუნების ითხოვენ — არ სურთ ამ დოკუმენტის დატოვება ისტორიისაივის. და რას წარმოიდგენენ, თუ ორივე განცხადებმა მიხეი თუმანიშვილის ხელში აღმოჩნდებოდა.

ნათელა ურუშაძე ამ ყოველივეს ფსიქოლოგიურ ახსნას გამოუძენიდა: რობერტ სტურუამ და თემურ ჩხეიძემ, უკვე შესანიშნავ სპექტაკლთა ავტორებმა, ამ ორმა „ლიტერმა შეიშა“ არ ისურვებ, „ამათა“ დაბრუნება, როგორც გამორჩეული ხელოვანი მითაფრო სწეუროდათ თავისუფლება და სრული დამოუკიდებლობა.

— ეს გულსატკეპნი განცხადებაც სრული შემოქმედებითი თავისუფლების შენარჩუნებისათვის დაინერა.

ნოდარ გურაბანიძე ვაიზიარებდა ამ ახსნას და თავის მხრივ დასძენდა: განსაცვიფრებელია, რომ ეს ორივე ნერილი მიხეი თუმანიშვილთან აღმოჩნდა, ძნელი წარმოსადგინი არ არის, რა დამეართობოდაო! და კიდევ ცოტა ხნის შემდეგ მან ერთგვარი „რევანში“ აულო თეატრის ხელმძღვანელობასა და სარეჟისორო კოლეგიასო.

ეს მიხედობდა კულტურის მინისტრის ოთარ თათიაშვილის კაბინეტში, ნოდარ გურაბანიძეც რომ დაეწინებოდა, როგორც მინისტრის პირველი მოადგილე, ვის კომპეტენციაშიც ხელოვნების სხვა დარგებთან ერთად (სახვითი ხელოვნება, მუსიკა) თეატრიც შედიოდა. არც მინისტრმა და არც მისმა მოადგილემ არ იცნან, რომ მიხეი თუმანიშვილი ორივე ნერილსაა გაცნობილი.

უკვე ისეთი ვითარებაა, რომ თეატრის დირექტორიც და ორივე რეჟისორიც თანახმაა მიხეი თუმანიშვილის დაბრუნების. თითქმის უკვე ყველაფერი რიგზეა, რომ ამ სახელმძღვანელო ხელოვნების მოულოდნელი განცხადებაც, ყველას სახება რომ დატოვებდა:

— მე ვინის ჩემს კანდიდატურას, მე თეატრში ამ დაებრუნებუი.

მიხედვით, უხერხული და შემანუნებელი სიწუმე რომ ჩამოეარდებოდა და ყველა გაოგნებულ შეაქცერდებოდა ერთმანეთს.

ბატონი მიხეილი კი გაგარძელებდა, რომ: თეატრში ამ ბოლო დროს ბევრი რამ შეიცვალა, იქ სულ სხვა პრინციპები და სტილი დამკვიდრდა, და თვითონ რომ დაბრუნებულყო, ამ ახალგაზრდებს მხოლოდ ხელს შეუშლიდა:

— მე რომ თეატრის ხელმძღვანელი ვიყო, არ გავუშვებდი რომიკოს „ყვარყვარს“ და „კეკელიური ცარკის წრეს“...

ყველას ენა ჩავეცივარდაო, — დასძენეს მონოგრაფიის ავტორი, — მათ შორის ისეთ ქვიან და ელასტორო პიროვნებას, როგორც ოთარ თათიაშვილი იყო.

მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ მიხედობდა იგი „რევანშის“ აზრსაც და ბოლო სიტყვების ქვეტექსტსაც. მან ანით ზომ თეატრის დირექტორსა და რეჟისორებს აგრძობინა: ნათიხული მაქვს თქვენი ხელმოწერით განცხადებნილი წერილები, თქვენს გულისთქმასაც ჩავხვდი და, რაკ ელა სრული თავისუფლება გნებათ, ინებეთო.

ეს უბეზოდი ნოდარ გურაბანიძეს არამცთო პრესაში არ გამოუშეუერებია, უახლოეს მეგობართა წრეშიც არ დასცდენია კრიტიკის მასზე და მხოლოდ ახლა, ამ წიგნში გამოქვლია.

აქვე გახსენებულია ცენტრალური კომიტეტის ბიუროს სხდომა, ამ შეხვედრიდან ერთი კვირის თავზე რომ გაიმართებოდა და აქ მონაწილეებს უკუვლილოდ დაბარებდნენ, რათა სარეჟისორო კოლეგია დაემტკიცებინათ.

ყველა გამოცხადებობდა, ვარდა რობერტ სტურუასი, და მისი ეს საცქიელი ისე გააზრებდა ედუარდ შევარდ-



ნადეს, რომ თავს ვერ შეიკავებდა და ხმაშალდა, მკაცრად მიმართავდა აკაკი ზაქარაძეს: რა დირექტორი ხარო, რომ საკუთარი თანამშრომლის ბიუროზე გამოცხადება ვერ უზრუნველავითო.

ნოდარ გურაბანიძე მიიჩნევს, რომ რობერტ სტურუას ეს არაირდინარული ნაბიჯი ბრძანული აღმოჩნდა, და რომ სწორედ ასეთი მოულოდნელი და პარადოქსული გადაწყვეტილებათა გამო უყვარდა მიხეილ თუმანიშვილს თავისი ეს გამორჩეული მონაწილე:

— იგი სრულიად თავისუფალი იყო სტერეოტიპებისაგან... ყოველთვის თავისებურად აკეთებდა, კანონებს და მეთოდოლოგიას არღვევდა... ის ლაპარაკობს და წერს იმას, რასაც ფიქრობს. მას არაფერი აჩერებს. მასში შინაგანი ცენზორი არ აღუზრდაო.

ის უჩვეულო ნაბიჯი ბრძანული მაინც რითი აღმოჩნდა? ტრილოგიის ავტორის აზრით, სწორედ მას მოჰყვა ორი ბრწყინვალე კულტურული კერის შექმნა:

„მიხილ თუმანიშვილის თეატრი“, „რობერტ სტურუას თეატრი“.

ყოველივე ასე სასიკეთოდ მოთავაფებოდა ჩვენი საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრებისათვის. ეგაა, რობერტ სტურუა გაითავალისწინებდა მომხდარს, თავისებურ მიჯაღიდად დისახავდა და, თემურ შვიციძეს რომ განაშთისმრებდა მარჯანძეშვილის თეატრში, თვითონ მონაცეს აღარ იყოლებოდა, ამ მხრივ საიმედოდ ჩარახავდა რუსთაველის თეატრის კარს და... კიდევ შეიზარალებებდა ერთპიროვნულ მმართველობას სამ ათწლეულ წელიწადს.

მიხილ თუმანიშვილი ადვილად დათმობდა ხელმძღვანელობას, რაკილა გუმანიც და ანალიტიკური განსჯაც უკარახებოდა, ქართული თეატრისათვის ასე სჯობსო.

ფრანც კაჟკას სიტყვების პერიფრაზი რომ მოვიძველო:

მიხილ თუმანიშვილს არ გააჩნდა თეატრალური ინტერესები, იგი უბრალოდ თეატრისაგან შედგებოდა. ამიტომაც გამახვილებოდა ასურეგად ინტელუცია, და ამიტომაც შეძლო ასე უჩუზრად გარიდებოდა იმ გარემოს, ურომლისთლაც არსებობა ვერ ნარმდებინა, და ნლობით დალოდებოდა ახალი კერის შექმნას, რომელსაც ჯადოსნური უნარით მართლაც ბრწყინვალე ასპარეზად გარდაქმნიდა.

მერე ისე მოხდებოდა, რომ ყოველ დღლით ზარის ჩამოკარას დაეჩვეოდა.

და ფიქრი რომ აჰყვებოდა: ნეტა ვის უხმობს ეს ჩემი ზარიო, — ერთხელაც დღიურში ჩაინიშნაოდა და ყოფით განცდას ერთბაშად სიმბოლოს ნიშნულზე აზიადედა.

ეს კი მოხდებოდა მის გარდაცვალებამდე სამი თვით ადრე.

იგი უბრალოდ თეატრისაგან შედგებოდაო... ეს ფანტიკური სიყვარული და რწმენა მოჩანს ბევრგან, რასაც მისი ხელი დატყობია, და ხელშესახებდა შეიგრძნობა თუნდა იმ სტრიქონებში, რომელიც თავისი ექსპრესიით, მეტიც, აპოთეოზური სულისკვეთებით ასე დამყვნდა ნოდარ გურაბანიძის მონოგრაფიასაც დამაკავრვინებულ პასაჟად:

— გაუმარჯოს თეატრს — სხვადასხვა ადამიანების, დეკორაციების, მტერის, ათასგვარი თეატრალური ხარა-

ხურის, მაგნიტოფონის, მოქმედების დროს მოულოდნელად დახეტიალი ნათურების, გადაშნარი ფარების, მყვირალა რეჟისორის თანაშემწეთა და ჭუჭყიანი პარკების ბედნური საუფროსი გაუმარჯოს თეატრს! მის ნარმატებასა და ჩაგარდნებს, გაუთავებულ, ქანკის ვამცდელ რეპეტიციებს, რეპერტუარს, რომელიც არასოდეს არ იგეგმება დროულად, კულისგმს მიღმა შორებს, რომლებსაც ვიღაც-ვიღაცები ქართლად ინტრიგავს უძვიანო.

— გაუმარჯოს ქართულ თეატრს — ძალზე ნიჭიერ, დაუდევარ, უთავებლო, მაგრამ თხემით ტერფამდე თეატრალურ, ფიცხელ და ყოველთვის უქამყოფილო ქართულ თეატრს.

თითქოსდა სხვადასხვა განზომილებაანია არეული ერთმანეთში, თითქოს რაღაც წვრილმანები თუ ნაკლებნიშნენილივანი დეტალები ზემებებადა წარმოჩენილი... მაგრამ მოჩვენებითია ეს ერთმანეთში აღუფრეავი და წერილმანებად მიჩნევა, რაკილა ასე ცხოვლებდა, ხელშესახებად წარმოსახება თეატრის ჯადოსნური გარემო — თავისი სცენითა და კულუარებით, როგორც ერთიანი, განუყოფელი მთლიანობით. თორემ წვრილმანებს სხვაგვარად სიმბოლოს დონემდე ვერაფრისღდივებით ვერ აზხადავ, ვერ განახოავებდა, და ამ უჩვეულო ხიბლითაც ვერავის განმსჭვავებდა.

დეკორაცია ვერ შეიძენს ახალი სინამდვილის იერს.

თეატრალურ სინამდვილეში გნებავს გზის გაკვლევა? აჰა, სანდო მეგზურად მიხილ თუმანიშვილის თუნდაც ეს სტრიქონები, ერთბაშად რომ აგიყოლებს და კიდევ ერთხელ ჩაგაგონებს, რომ სცენის მტვერი სულ სხვა მტვერია, სხვაგვარად შემქმერელი და გაბნობნავაო.

— ახლა კი ფარდა!

ამ მონოგრაფიის უქანსკენლ სტრიქონად გამოყენებულია მიხილ თუმანიშვილის ერთ-ერთი ნიგნის სახელწოდება.

დიდი მასეტრო ასე ემშვიდობებოდა მაცურებელსაც და მკიხებელსაც იმ ფიქრით გულშეძრული: ნეტა ვის მოუხმო ჩემმა ზარმაო.

გადადიოდა არყოფნაში და ვერ ეტყებოდა ზარის დადებებს.

ნეტა მის შემდგომაც თუ ჩამორეკავდა ყოველ დღლით — დაფრებით, მიხანსრაფულად, გაუნელებულად?!

ჩამორეკავდა შორეულ მოგონებად.

ჩამორეკავდა მომავლის რწმენად თხემით ტერფამდე ქართული თეატრის შენარჩუნებისა.

ახლა კი ფარდაო...

რას იზამ, თუკი ეს ფამიც მოახლოებულა.

მაგრამ სულ სხვა განცდას იწვევს მიხილ თუმანიშვილის თეატრალური-კულტურული ღვანის ვასიგრძეგანება, მისი მხატვრული შემკვიდრულობის შეთვისების სურვილი, მისი ბოგრაფიისათვის თვით ბოლომდე თვალის მიდევნება... და ძალდაუტანებლად შეიძლება მცირეოდენი რედაქციული ჩარევა ამ ფრაზაში:

— ახლა კი ფარდის გახსნა!

ასე და მთლად ასე.

როგორც მიხილ თუმანიშვილის ახალი სიცოცხლის მაუსყებელიც და ნოდარ გურაბანიძის მონოგრაფიის ღირსების განმსაზღვრელიც.

მაია ჯვალაიშვილი

იქნებ სამყარო მხოლოდ ჩვენი სიზმარია

*

კატა ჯავახიშვილის
პოეტური კრებული „გარცხნივ“

ხაოიან ენას აუესვამ
მელნისფერ გზას და
სტრიქონ-სტრიქონ დავიწყებ თოვას.

ეს სტრიქონები პოეზიათა თავისი მშვენიერი ბუნდოვანებით, მკითხველს რომ რაღაც უჩვეულოსა და უცნაურის შესაგრძობად განაწყობს. ამ მეტაფორით ვეცნობით პოეტს (ლექსი „მყვინარაობა“). ჩვენ უმაღლესი შეიგრძნობით პოეზიის იდუმალებას, სიღამაზეს და მხოლოდ შემდგომ ვცდილობთ გაგებას, თუმცა მთავარი მაინც ის ემოციაა, რომელიც გადამდები სევდის თანხლებით შემოიჭრება გულში და მზეურასა და ფიქრს რაღაც უხილველის დასახაზობად გავკვივავებებს. წარმოსახვაში სურველისტიური სურათები წამოშლივნიან — თუნდაც ასეთი — ციდან ისფერი სტრიქონები ბარდნის და ეს თვითონ პოეტია, რომელიც ამგვარად ცდილობს ყველგან, ყოველივეს გაანეფინოს, რათა შეიგრძნოს სიცოცხლის არსი, რომ უფრო იოლი დასაძლევია გახდეს მარტოობა, რომელსაც ასე ხატავს პოეტი: ვახაფხულის მწვანე მინდორზე დგას კუბო, რომელიც თვითონაა („ეს კუბო მე ვარ“). ეს ეხმარება გალაკტიონის სტრიქონს: „რომ დავიღალე მე ამ კუბოში“. შენ, მკითხველო, რომელმაც იცი სიტყვის ფასი, უნდა იცნო ქვეა-ქუხლის ხმაში მარტოსულის „ბღაღღი“, მიჰყვე „სიკვდილის გაუზრწნელი მარტოობის“ ბუნს... და თუმცა ისიც საკითხავია, „მარტოსულობის“ ასეთი მტიკვენული შეგრძნების გარეშე შეიქმნება თუ არა რაიმე ღირებულო. და თუ „ლუკმა-ლუკმად“ არ გაიციხნი თავს, აღბათ, ვერც ვერაფერს დაწერ სულისშემჭერელს.

კატა ჯავახიშვილის პოეზიაში კი ხშირად შეხვდები სულისშემჭერელს. პოეტი საოცარი ვენებითა და გატაცებით წერს სიკვდილსა და სიცოცხლეზე, სიყვარულსა და სიძულვილზე, ყოველივე იმაზე, რასაც ყოველწამიერად პაერთან ერთად ისუნთქავს მოკვდავი. მისი სტლია მეტაფორულია, ის დაეძებს საგანთა და მოვლენათა შორის ფარულსა და უცნაურ შესატყვისობებს, რათა დროთა ტრიოალში გაცვეთილ გრძობებს ფერი და ელვარება დაუბრუნოს.

ამ კრებულით ყველა ლექსი მდიდარია სათქმელით, ფერებით, აზრებით, მუსიკით. ყოველი ლექსი მკითხ-

ველს აღძრავს ფიქრისკენ, რადგან უიშობოდ შეუძლებელია სრულყოფილი განცდა იმისა, რასაც დავევნილი სტილით ქმნის პოეტი. ამიტომაც მკითხველის ინტელექტსა და გემოვნებაზეა დამოკიდებული, რაგვარ ესთეტიკურ ტიპობას განიცდის ამ კრებულის კითხვისას.

კატა ჯავახიშვილისთვის პოეზია დროში არსებობის ტიკილის დაძლევაა. მასაც, როგორც ყველა პოეტს, მარადისობის პერსპექტივიდან დანახული მედინი ყოფიერება გაუსაძლისი ნაღველით აღავსებს და უჩვენს ვაქცევის, თავდადნევის სურვილს და ისიც გარბის სიტყვებში, რომლებიცგანაც ამენებს ლექსების ქალაქებს, სოფლებს, სიცოცხლეს, სიკვდილს... პოეზიის სამყაროში ის თავისუფლდება იმ ყველაფრისგან, რასაც ცხოვრება თავს ახვევს. აქ ის თავიდან აღავებს „სიცოცხლეს“ და ამ გზით აღებჭდავს თავის არსებობას.

„დრო აღ იწყება, არც მთავრდება, მხოლოდ დღეები დგანან ჩრდლოში ასომთავრულად“, — წერს ერთ ლექსში („გაორება“). პოეტისთვის დროც სიცოცხლის მეტაფორაა მხოლოდ. ნეტარი ავგუსტინე გვახსენდება: „არის სამი დრო: ანმყო წარსულსა, ანმყო აწმყოსი და ანმყო მომავლისა. ეს რაღაც სამი დრო მხოლოდ ჩვენს სულში არსებობს და სხვაგან ვერსად ვერ ვხედავთ მათ. ანმყო წარსულსა — მესხიერებაა, ანმყო აწმყოსი — უშუალო ჭყრება, ანმყო მომავლისა კი მოლოინა“. კატა ჯავახიშვილი სწორედ ამგვარად განიცდის დროს — იგი აწმყოსია, თან წარსულსა და მომავალში, რადგან მუდმივად ისხუნებს წარსულს, მუდმივად ჭყრება და მუდმივად ელოდება. დროის ამგვარად განმცდილი ადამიანისთვის სამყარო გამჭვირვალე ხდება და დაფარული — ხელშეუხებელი.

დროის გამაგრთიანებელი პოეტის „მეა“, რომელიც დაარღვეულ-დაფუთილ ჩვენს დროებაში ცდილობს იქცეს ერთგულ მშეკავებრებად და ამას ახერხებს იმით, რომ კერძო ტიკილსა და სხარულს აზოცხადებს. ჩვეულებრივ დროს კი პოეზიის დროდ გარდაქმნის, რომელიც მისი „გარდასახებისა“ და „წარმოსახების“ შიხაბანისად იცვლება. ის დროსაც ისევე ეთამაშება, როგორც სივრცეს. ორივეს თავისუფლად, ლლად ღლის, ერთმანეთში ურევს, უშორესსა და უახლესს ერთმანეთთან აწყვილებს და ქმნის ფანტასმაგორულ სახეებს. ამ გზით ის უპირველესად ცდილობს, შეიცანს თავისი მე, რომელიც გამუდმებით იცვლება, რადგან ცხოვრება კარნავალი მასაც აიძულებს სხვადასხვა ნიღბის მორგებას:

ცხადში კი ვდგავარ:
ერთი ფეხი ალთას მიდგას, მეორე—ბალთას,
ქვეშ სამყარო გაიშალა, ქალაქ-ქალაქ
ქარ-ქარ
ერთი მუჭით ვაგროვე და მეორეთი ვფანტავ...
(„გაორება“)

„რა არის პოეზია, ამას ვერა კაცი ვერ აგისხნით,— წერს ილია, — მთქმელიც ტყუილად მოსცდება და გამოწინებს. პოეზია საგრძობობელია და არა საცნობელი... ვიცი, რომ იგი ხატება ჩვენია გრძნობათა, გულის-თქმათა, ფიქრთა, ნაღველთა, ღმბითა, ერის სიტყვით, ხილულთა და არა ხილულთა. ვიცით, რომ მისგან მოიბიბულს კაცს

"ავინყდება სანუთროებმა", მის მიერ გატაცებული "გულის-თქმა კაცის ცისა იქით ეძიებს სადგურს, ზენა არსთ სამყოფთ"... პოეზია უცნაური მაღლია და პოეტი ამ მაღლით მოსილი" (პოეზიის ახალდაზრდა მოყვარული", "ივერია", 1886 წელი, 139). კატო ჯავახიშვილიც სწორედ ამ უცნაური მაღლით მოსილია. მისი ყოველი ლექსი არის ერთგვარი ექსტაზი, როდესაც პოეტი შთაგონებით ავსებული, უცნაური ენერგიით დამუხტული, თვალაბილული, სმენაგაფაქიზებული და გულგახსნილი სამყაროს იღვმალ ხმებს მიაყურადებს. იგი გრძნობს სიცოცხლის მფთქებით ძარღვის რიტმს. ეს არის მოულოდნელი „ავსება“ — სწორედ ასე ჰქვია კრებულის პირველ ლექსს, ავსება მოულოდნელი განცდით, რომელიც სკვდილის შიშს დააძლევინებს:

„წუ გემინია, ყველა კართან მგია სიკვდილი, — ამ სიტყვებით პოეტი დედამიწას ამწვივდებს. საგულისხმოა, რომ მკითხველი შედგა არა პატარა და კერძო, არამედ კოსმორი ტკივილის მონანივ. ეს კი მას წინასწარმეტყველოვით ქვეყნიერებისთვის რაღაც მნიშვნელოვანის საქებადგებლად აღძრავს. ამ დროს უძველეს მისან-ქურუმებს ემსგავსება, პატივზე ნაკურთხებლად რომ უსწვრივად სიტყვები: „ყველა გზასა და გზაზე ყველა ნასახლარს სმენა ყველა ველსა და სოფლებს და ქალაქებსა სმენა!“ ცნობილი ფაქტი, დედამიწის გადაგარა ორბიტიდან 8 სმ. იქცა მისი შთაგონების წყაროდ, იმპულსად, რომ დაფრინებულიყო. „შეტატახაზეთი დაფეხილი დიდი გლოუსის“ ბედსაც.

როგორც პოეტი ფიქრობს, დედამიწა ადამიანებმა დააფუძვ, სიმსივნეებით გაიდგეს მასში ფესვები, „დაიძრინეს სულიდან“ და „ყოფაქცევაში ორიანი“ დაიმსახურეს. აქ არის გადაძახილი ნიღვეს ზარატუსტრასთან, რომელმაც ზუსტად შეაფასა ადამიანის ამგვარი მდგომარეობა: „ძინას, — თქვა მან, — გარსი აქვს და ამ გარსს სწეულბანი. ერთ ამ სწეულბათაგანს, მაგალითად, აადამიანი“ ეწოდება“.

ეს ლექსი, აგრეთვე, გვაგონებს ემილ ვერპარნის ლექსს „სამგლოვიარო მარში მიწის გარდაცვალებაზე შეწყობინება“. შავ სიწყურში „ოქროქიანი ვარსკვლავების კორტეჟი ვაზე“ მიაცილებს გარდაცვლილ დედამიწას: „შენ არ ყოფილხარ! შენ იყავი მხოლოდ ჩვენება!“ (კალდერონი გაფრინდავილის თარგმანი). კატო ჯავახიშვილის ლექსშიც ამგვარი განცდაა: „იყო ამბავი — ჩვენ რომელიც გამოვიკონეთ“.

ლექსში გაიხმის მონოდება: სწორება „მარცხისაკენ“ რატომ მარცხისაკენ? ალბათ, იმიტომ, რომ გული მარცხნივ არის და გულია ადამიანის ჯოჯოხეთიცა და სამოთხეც.

პოეზია, ხელოვნება კი ნუთისოფლის გულია, საიდანაც დროდდარი ამოიფრქვევა ცეცხლი, არა დამწველი, არამედ განმწმენდი. ქემპერიტ ხელოვნებას ხომ მუშუღლია კაიარზისის გამოწვევა. სწორედ ამიტომაც გაიაზრებო-



და პოეზია ყოველთვის რელიგიის უახლეს ნათესავად, ხოლო ზიზღის შემქმნელი — პოეტებად. დედამიწის დაღუპვის სურათი იხატება სხვა ლექსშიც „პოკალიპსის“: „ანგელოზები აფარებენ შავ მემორანდუმს მემუივე ცასთან“, ან „პირველსახეს იბრუნებს ფერი გულამოჭმული საკუთარი უსასრულობით“.

„მარცხნივ“ — კრებულსაც ასე ჰქვია და ბოლო ლექსსაც, რომლის ლირიული გმირი მარადქალურია, ნაყოფიერი სანების სამყაროს, რომელიც თვითონ სიცოცხლე, რომელიც მიმართავს შემოქმედს, მისცეს ძალა, გადაურჩეს სიკვდილს, რომელიც ასე შთამბეჭდავდა და ორიგინალურადაა დახასიათული „ქვე გზისპირას ზის უმწი კაცია და სველ ზღვრებს უშლავს“. ცხოვრება კი სათონვა (ეს ეხმინება ვაჟა-ფშაველას: „ამ ნუთისოფლის თორნეში ბევრი სხვა გამოცხობილა“. ლექსი ასოციაციებით არის დაწნული, სიმბოლოები ერთმანეთს ჩრდილებს ჰფენენ. „თონეში პური ჩააყარი“ — მანამდე კი ნუთისოფლის დღაბაზე დაიფუჯა სული, რომელიც პურად უნდა იქცეს (თუნდაც უტყდა), რათა მერე ვივლავს „საზრდოდ“ ექვეს:

„გულზე დამა-მე, გულზე დამისი, მკერდმოჭრილი სხეულიდან ტკივილი რომ ვანოვო პირმშოს“. ჩნდება სახარებისული „არა პურითა ხოლო ციხინების კაცო“. აქ სწორედ ამ ტკივილი ნაშობ, დასიერი, თუნდაც უფარცმულ — სიტყვა პურით საზრდობაზე შეიძლება მიგვანიშნებდეს პოეტი, რომლის პოეზიამ სიტყვების მიერ მოქსოვილი მზატურული სახეები მისგან დამოკიდებულია იქნენ მნიშვნელობებს. ამ ლექსში თითქოს საშოთხიდან გამოძევებული ევა ევედრება შემოქმედს.

კატო ჯავახიშვილის ლექსები ძალიან მდიდარია სიმბოლოებითა და სხვა მზატურული სახეებით; ეს კი მკითხველს მრავალფეროვანი ინტერპრეტაციის საშუალებას უქმნის. შესაძლოა ხშირად ცალკეული სიმბოლოს ახსნა არც დაემთხვეს ავტორის თავმარრველ ჩანაფიქრს, ეს ჩვეულებრივი ამბავია, მთავარია, რომ სწორედ ამ ინტერპრეტაციათა წყალობით ლექსი იქნეს სიცოცხლეს. ყოველი მკითხველი, შეიძლება ითქვას, თავისი სულიერი სამყაროთი ახალი მოქმედსკი, რომელშიც, ვინ იცის, როგორ გადაიშლება ლექსის პოეტური ხატები.

კრებულის ოთხ ციკლში: „მლაშე ტბა“, „შუშის ქალაქი“, „მარტონი“, „მარცხნივ“, როგორც სულიერი ქვეყნიერების ოთხ კიდეში მოგზაურობს პოეტი. ორ ციკლს შორის არის მყოფიება, სახელწოდებით „თუზის (მედიტაცია)“. თუმცა მილიანობაში ეს არის მედიტაციური პოეზია — პოეტის მზერა მუდმივად მიმართულია არსებობის სიღრმისკენ, სიცოცხლის ფესვებისკენ.

ამ ლექსების ლირიული გმირი „თავისა ცნობისაგან“ ხშირად ვარდება „ჭირში“. ერთ ლექსს, სახელწოდებით „გამოვლდა“, ვივლიანობის სიტყვები აქვს ემიგრირადაც: „აუ თავი შენი შენ გახალისე, ღარიბად არ ისხებნი“. თუმცა ეს „თავის ხლება“ ხანდახან გაუსაძლისად

მტიკინეულია და ჩნდება წარმოსახვაში ბრეიგელისა თუ ზოსიმის ნახატთა მსგავსი კომპარული ხილვები: „წაიღე ჩემი თავი მიხსენი ცოცხლადყოფნისგან, მკვდარი რომ უფრო შემეყვარა“.

აქ გავსივნივება პავლე მოციქულის სიტყვები: „მკვდრებზედ მრავალხეუთ თვენი თავი ცოცხლებსათვის, და ცოცხლებზედ — ღმერთისათვის“ (რომაელთა, 6, 11). ცოცხლებზედ ყოფნა ცოცხლად არის დაკავშირებული, ამიტომაც სურს პოეტს მისგან გათავისუფლება. ამ ლექსშიც და სხვაგანაც, როგორც აღვნიშნეთ, ირველება რელიგიურ-ფილოსოფიური განცდვები. სხვანაირად შეუძლებელიცაა, რადგან ფეხისტინციალურ საკითხებზე ფიქრობს პოეტი:

ყველა ღამიდან გამოვიდე იქნებ ოდესმე —
რომ შეგაყვარო...
ყველა კედლიდან გამოვიდე
იქნებ ოდესმე,
ყველა სიხშირიდან გამოვიდე
იქნებ ოდესმე,
ყველა დროიდან გამოვიდე იქნებ ოდესმე
...
რომ დაგიბრუნო

(„მგ ზაერი“)

აქ სიტყვები გამეორების გზით მაგორად იმუხტებიან. სულის ღმერთთან შეერთების წყურვილად აღვიქვამ ამ ლექსს.

კრებულის ზოგადი შთაბეჭდილების მიხედვით კი პოეტის წარმოსახვისა თუ ცხოვრების უპირველესი საყრდენი ქრისტიანული ფასეულობანია.

ამ პოეზიაში ერთი გამოკვეთილი თემა ძიებაა, რომელიც სხვადასხვა ლექსში განხვავებულია განიტოტება. იგი მარადიული მგ ზაერია:

დღეს უფრო მეტი უნდა იარო,
გზაზე ქარისგან დაწიხლული ნღები შემოგზვდეს
მტკერი ავარდეს და ქუდმოხდილი ცაში აგროვო,
და როცა დრუბლებს მოშივდებათ ნვიმის სიმშრალე,
თვალთ შეაყარო.
შენ ჩაიარო და არ გაჩერდე

(„მგ ზაერი“)

გამეორება აქაც ლექსს ლოცვასა თუ შელოცვას ამსგავსებს ერთდროულად. აქ სრულიად მოულოდნელია პოეტური სახე „წვიმის სიმშრალე“, ისინი ზომ ერთმანეთს გამოირიცხავენ, მაგრამ პოეზიაში ხდება ამგვარი სასწაულები, ხილვები, მატერიალურ სამყაროში დაუკავშირებელი საგნები და მოვლენები აქ თამამად და თავისუფლად წყვილდებიან. ამგვარი ოქსიმორონები ხშირად გვხვდება კატოს პოეზიაში და ისინი ქმნიან, ერთი მხრივ, მოულოდნელ დაძაბულობას, მეორე მხრივ კი, პოეტის ოსტატობას ამხელენ.

ეს „წვიმის სიმშრალე“ უცრემლო ტირილს მაგონებს. „შენ ჩაიარო და არ გაჩერდე“... კი ასოციაციებს ააფეთქებს — მაგონებს მაცხოვარსაც, რომელსაც „არა აქუს, სადა თავი მიდროვოს“.

საზოგადოდ, კატო ჯავახიშვილის პოეზია ასოციაციური — ფიქრთა ნაკადები გამოდგებით ეხლებიან და განიზიებებიან ერთმანეთისაგან და მკითხველიც მის ლექსში ისე ვარდება, როგორ მორევში, რომლის თავბრულდამხვერი ტალღები, არ იცი, სად გამოგრიყავენ. თანამედროვე ქართულ პოეზიაში იგი, ამ თვალსაზრისით, ღია სტრუქტურას ენათესაება.

